ლელო 80 წლისაა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 მაისი პარასკევი 2014

№083 (14 304) ფასი 80 თეთრი

# ტურინში სხვები მიდიან





უგოლო იუვენტუსი და ფინალის ავტობუსიდან ჩამოგდებული ვალენსია

14 მაისი. ფინალი. ბენფიკა–სევილია

↳9



↳3

## მინისტრის პოზიცია: უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა არ გაიზრდება

გუშინდელი პრესკონფერენციის ამბები:
- კონკრეტული პირების ინტერესი
- სახელმწიფო მეწველი ძროხა არ არის
- კალაძისგან განსხვავებული აზრი

## საჩემპიონო ტურის მოლოდინში

ხვალ დინამო, შესაძლოა, ჩემპიონი გახდეს



↳2

## ახალი ლელო week

შაბათიდან ახალ „ლელო WEEK-ში“ წაიკითხეთ:

ქართველმა ძიუდოისტებმა ევროპიდან მსოფლიოს მუშტი მოუღერეს...
მურთაზ შელია: მხოლოდ ფეხბურთით უნდა მეცხოვრა...
ცხოვრების წესი და გაშიფრული ტიკი-ტაკა...
ვახტანგ ქორიძე: არ ვიცი, რუსებმა რა ნემსი გამიკეთეს, მაგრამ ფაქტია, კარიერა მალე დავასრულე...
მუნდიალის მონაწილეთა წარდგენა: ოსკარ ტაბარესმა ურუგვაი აგრესიულ ტაქტიკას მიაჩვია...
შეცვლის თუ არა ტაქტიკას როი ჰოჯსონი...
ჩეზარე პრანდელიმ კატენაჩო წარსულს ჩააბარა...




# 20 წელი ჯადოქრის გარეშე

## უცნობი ფაქტები აირტონ სენას შესახებ

↳14



## I-VI ადგილები

**03.05. თბილისი. მიხეილ მესხი — 16:00**
**სიონი — გურია**
ურთიერთშეხვედრები: 16: +9 =4 -3 (26:13)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სიონი-ჩიხურა | 3:2 (სჩ) |
| სიონი-ზესტაფონი | 2:1 (სჩ) |
| დინამო-სიონი | 0:1 (სჩ) |
| გურია-სიონი | 1:2 (სჩ) |
| სიონი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| გურია-დინამო | 1:2 (სჩ) |
| ჩიხურა-გურია | 3:0 (სჩ) |
| გურია-მეტალურგი | 1:3 (სჩ) |
| გურია-სიონი | 1:2 (სჩ) |
| ზესტაფონი-გურია | 1:0 (სჩ) |

**03.05. ივანწმინდა — 16:00**
**ჩიხურა — მეტალურგი**
ურთიერთშეხვედრები: 7: +1 =2 -4 (5:16)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სიონი-ჩიხურა | 3:2 (სჩ) |
| ჩიხურა-შუქურა | 3:1 (სთ) |
| ჩიხურა-გურია | 3:0 (სჩ) |
| ზესტაფონი-ჩიხურა | 2:1 (სჩ) |
| შუქურა-ჩიხურა | 1:2 (სთ) |
| მეტალურგი-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| მეტალურგი-დინამო | 0:2 (სჩ) |
| გურია-მეტალურგი | 1:3 (სჩ) |
| სიონი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| მეტალურგი-ჩიხურა | 2:0 (სჩ) |

**03.05. ზესტაფონი. დავით აბაშიძე — 19:00**
**ზესტაფონი — დინამო თბ**
ურთიერთშეხვედრები: 32: +8=6 -18 (28:46)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| მეტალურგი-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| სიონი-ზესტაფონი | 2:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-ჩიხურა | 2:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-გურია | 1:0 (სჩ) |
| დინამო-ზესტაფონი | 1:0 (სჩ) |
| გურია-დინამო | 1:2 (სჩ) |
| დილა-დინამო | 2:4 (სთ) |
| მეტალურგი-დინამო | 0:2 (სჩ) |
| დინამო-სიონი | 0:1 (სჩ) |
| დინამო-დილა | 1:0 (სთ) |

## VII-XII ადგილები

**02.05. თბილისი. მ. მესხი (სათ. მ) — 16:00**
**ტორპედო — ზუგდიდი**
ურთიერთშეხვედრები: 15: +8 =3 -4 (18:9)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| ტორპედო-მერანი | 5:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 1:1 (სჩ) |
| ტორპედო-დილა | 0:4 (სჩ) |
| ზუგდიდი-ტორპედო | 0:1 (სჩ) |
| ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია | 2:3 (სჩ) |
| ზუგდიდი-დილა | 2:1 (სჩ) |
| მერანი-ზუგდიდი | 2:1 (სჩ) |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 1:1 (სჩ) |
| ზუგდიდი-ტორპედო | 0:1 (სჩ) |

**02.05. მცხეთა. მცხეთა პარკი — 16:00**
**ვიტ ჯორჯია — დილა**
ურთიერთშეხვედრები: 31: +23=3 -5 (65:24)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ზუგდიდი-ვიტ ჯორჯია | 2:3 (სჩ) |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 2:0 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 1:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-მერანი | 1:0 (სჩ) |
| დილა-ვიტ ჯორჯია | 1:2 (სჩ) |
| მერანი-დილა | 0:3 (სჩ) |
| დილა-დინამო | 2:4 (სთ) |
| ზუგდიდი-დილა | 2:1 (სჩ) |
| დილა-სპარტაკი | 1:3 (სჩ) |
| დინამო-დილა | 1:0 (სთ) |

**02.05. თბილისი. მიხეილ მესხი — 19:00**
**სპარტაკი — მერანი**
ურთიერთშეხვედრები: 5: +1 =1 -3 (3:6)

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| სპარტაკი-ტორპედო | 1:2 (სჩ) |
| სპარტაკი-ვიტ ჯორჯია | 2:0 (სჩ) |
| დილა-სპარტაკი | 1:3 (სჩ) |
| სპარტაკი-ზუგდიდი | 1:1 (სჩ) |
| მერანი-სპარტაკი | 0:0 (სჩ) |
| მერანი-დილა | 0:3 (სჩ) |
| ტორპედო-მერანი | 5:1 (სჩ) |
| მერანი-ზუგდიდი | 2:1 (სჩ) |
| ვიტ ჯორჯია-მერანი | 1:0 (სჩ) |
| მერანი-სპარტაკი | 0:0 (სჩ) |

# მაშინაც 3 მაისი იყო...

### I_VI-ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 28 | 19 | 4 | 5 | 60 | 20 | 61 |
| 2 | ზესტაფონი | 28 | 16 | 4 | 8 | 37 | 19 | 52 |
| 3 | სიონი | 28 | 15 | 6 | 7 | 39 | 28 | 51 |
| 4 | ჩიხურა | 28 | 12 | 6 | 10 | 48 | 43 | 42 |
| 5 | მეტალურგი | 28 | 11 | 6 | 11 | 31 | 33 | 39 |
| 6 | გურია | 28 | 11 | 0 | 17 | 28 | 43 | 33 |

### შინ

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 14 | 9 | 3 | 2 | 23 | 9 | 30 |
| 2 | დინამო თბ | 14 | 9 | 1 | 4 | 28 | 12 | 28 |
| 3 | ჩიხურა | 14 | 8 | 2 | 4 | 28 | 17 | 26 |
| 4 | მეტალურგი | 14 | 7 | 4 | 3 | 18 | 9 | 25 |
| 5 | გურია | 14 | 8 | 0 | 6 | 19 | 14 | 24 |
| 6 | სიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 21 | 18 | 23 |

### სტუმრად

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო თბ | 14 | 10 | 3 | 1 | 32 | 8 | 33 |
| 2 | სიონი | 14 | 8 | 4 | 2 | 18 | 10 | 28 |
| 3 | ზესტაფონი | 14 | 7 | 1 | 6 | 14 | 10 | 22 |
| 4 | ჩიხურა | 14 | 4 | 4 | 6 | 20 | 26 | 16 |
| 5 | მეტალურგი | 14 | 4 | 2 | 8 | 13 | 24 | 14 |
| 6 | გურია | 14 | 3 | 0 | 11 | 9 | 29 | 9 |

### VII-XII ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ვიტ ჯორჯია | 28 | 11 | 6 | 11 | 36 | 37 | 39 |
| 8 | ტორპედო | 28 | 11 | 6 | 11 | 33 | 39 | 39 |
| 9 | დილა | 28 | 10 | 8 | 10 | 39 | 31 | 38 |
| 10 | სპარტაკი | 28 | 9 | 4 | 15 | 28 | 36 | 31 |
| 11 | ზუგდიდი | 28 | 7 | 6 | 15 | 20 | | 27 |
| 12 | მერანი | 28 | 6 | 4 | 18 | 21 | 52 | 22 |

### შინ

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ვიტ ჯორჯია | 14 | 7 | 2 | 5 | 22 | 14 | 23 |
| 8 | სპარტაკი | 14 | 6 | 2 | 6 | 15 | 15 | 20 |
| 9 | დილა | 14 | 5 | 4 | 5 | 22 | 17 | 19 |
| 10 | ზუგდიდი | 14 | 5 | 4 | 5 | 13 | 17 | 19 |
| 11 | მერანი | 14 | 5 | 2 | 7 | 14 | 20 | 17 |
| 12 | ტორპედო | 14 | 4 | 4 | 6 | 16 | 19 | 16 |

### სტუმრად

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | ტორპედო | 14 | 7 | 2 | 5 | 17 | 20 | 23 |
| 8 | დილა | 14 | 5 | 4 | 5 | 17 | 14 | 19 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 14 | 4 | 4 | 6 | 14 | 23 | 16 |
| 10 | სპარტაკი | 14 | 3 | 2 | 9 | 13 | 21 | 11 |
| 11 | ზუგდიდი | 14 | 2 | 2 | 10 | 7 | 22 | 8 |
| 12 | მერანი | 14 | 1 | 2 | 11 | 7 | 32 | 5 |

**ისეთი** ტური გველოდება, რომლის შედეგებმაც, დიდი ალბათობით, ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებს, შესაძლოა, აზრიც დაუკარგოს! მართალია, როგორც ზედა, ასევე ქვედა ექვსეულშიც თითქმის ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ ოფიციალურად ხომ ჯერ არც ჩემპიონი გამოვლენილა და არც ის ორი გუნდი, მომავალი სეზონიდან პირველ ლიგაში რომ უნდა დაქვეითდეს.

ერთადერთი, რაც უკვე ცნობილია და ვერაფერი შეცვლის, წლევანდელ ევროტურნირებზე საქართველოდან მოასპარეზე გუნდების ვინაობაა: თბილისის „დინამო", „ზესტაფონი", „სიონი" და „ჩიხურა"; ჰოდა, პარასკევის და შაბათის მატჩებით, შესაძლოა ყველა არსებული თუ არარსებული ინტრიგაც მორჩეს: „დინამომ" ჩემპიონობა „იურიდიულად" გაიფორმოს, ისე როგორც ქვედა ექვსეულის რამდენიმე გუნდმა - უმაღლეს ლიგაში დარჩენა!

აქვე, ერთი განმარტებაც: რეგლამენტის თანახმად, მაისის თვეში თამაშები 17 საათზე უნდა დაიწყოს, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტში თავი დაიზღვიეს და ამ თვეში ჩასატარებელი პირველი ტურის მატჩები ერთი საათით ადრე გადმოიტანეს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენთან მხოლოდ ერთეულ სტადიონებზე თუ არის შესაძლებელი პროჟექტორების შუქზე თამაში და მატჩის მსვლელობისას რომ არ ჩამობნელდეს, აი, ამიტომაც იწყება ტურის 4 მატჩი 16 საათზე.

სამწუხაროდ, ისე როგორც მეორე ეტაპის პირველ წრეში, ფეხბურთის გულშემატკივრებს კვლავაც არ ექნებათ საშუალება, რომ ტელევიზორში უცქირონ ლიდერთა მატჩს („ზესტაფონი"-"დინამო"). თანაც, ისე როგორც წინა შემთხვევაში, ჩვენი ტელეკოლეგებისკენ ხელს ნურავინ გაიშვერს: უბრალოდ, სასურველი იქნებოდა, რომ ამა თუ იმ კლუბმა ტელევიზიის (ისე როგორც - ნეიტრალური გულშემატკივრის) ინტერესებიც გაითვალისწინოს.

საერთოდაც, სურვილს გამოვთქვამთ, რომ ახალი სეზონიდან ჩვენი კლუბებიც წავლენ გარკვეული „დათმობებზე" და ისიც გვჯერა, რომ უმაღლესი ლიგის კალენდრის შედგენისასაც გათვალისწინებული იქნება სატელევიზიო ინტერესები. არადა, მართლაც საინტერესო მატჩი უნდა შედგეს ზესტაფონში, რომელსაც „საჩემპიონო ინტრიგაც" თან ახლავს. აქვე, ვსარგებლობთ შემთხვევით და „ლელოს" სახელით „ზესტაფონის" მთავარ მწვრთნელს გია გეგუჩაძეს გვინდა სამძიმარი ვუთხრათ მამის გარდაცვალების გამო.



ზესტაფონი-დინამოს მატჩმა, შესაძლოა, ჩემპიონის ვინაობა გაარკვიოს
ფოტო: fcdinamo.ge

## ვაკიდან ფეხი არ მოიცვალოთ!

სეზონის დაწყებიდან არაერთხელ გვითქვამს, რომ საიუბილეო, XXV ჩემპიონატს უამრავი უცნაურობა „დაებედა"; შორს წაგვიყვანს აქამდე მომხდარი კურიოზული (რამდენიც გნებავთ, იმდენი იყო), ნეგატიური (სამწუხაროდ, ბევრი იყო) თუ დადებითი (საბედნიეროდ, ასეთი „გამონათებებიც" იყო) ფაქტების ჩამოთვლა, 2013 წლის აგვისტოდან დღემდე რაც ყოფილა.

აი, ახლაც, არანაკლებ უცნაურობასთან გვაქვს საქმე, ოღონდ, ამ შემთხვევაში ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობით არის გამოწვეული. საქმე იმაშია, რომ XXIX ტურის ექვსი მატჩიდან სამი... ერთსა და იმავე სტადიონზე უნდა გაიმართოს: თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დღეს ქვედა ექვსეულის ორი (!) შეხვედრაა, ხვალ კი - ზედა ექვსეულის ერთი მატჩი!

მოგეხსენებათ, რომ „ტორპედოს" სეზონის ბოლომდე თავისი საშინაო მატჩების ჩატარება „მიხეილ მესხზე" უწევს (თანაც, უმაყურებლოდ); ამავე არენაზე ატარებს თავის საშინაო შეხვედრებს ცხინვალის „სპარტაკიც" და ისე მოხდა, რომ ამ ტურში ორივე მასპინძლის როლშია! ჰოდა, ისე გადაწყდა, რომ „ტორპედოს" „საშინაო" მატჩი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე (უმაყურებლოდ) 16 საათზე დაიწყება. ამ შეხვედრის დასრულებიდან ერთ საათში კი, უკვე მთავარ არენაზე, „სპარტაკი" და „მერანის" მეტად და მეტად საინტრიგო დაპირისპირება პროჟექტორების ქვეშ ჩატარდება!

აბა, რა - მხოლოდ ზედა ექვსეულის გუნდებმა უნდა ითამაშონ „ღამის განათებაზე"? მით უმეტეს, რომ „სპარტაკი"-"მერანის" მატჩის შედეგი ძალიან ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს: მარტვილელებს ხომ ისედაც თეორიული შანსი დარჩათ უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად და დღევანდელი შეხვედრის ვერმოგების შემთხვევაში ოფიციალურად გაიფორმებენ პირველი ლიგის საგზურს.

თავის მხრივ, **კახა კაჭარავას** გუნდისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება ამ მატჩში 3 ქულის მოპოვება: ასეთ შემთხვევაში ხომ, სულ მცირე, შეინარჩუნებენ კიდეც უშუალო კონკურენტ „ზუგდიდთან" დღემდე არსებულ 4-ქულიან უპირატესობას. „ტორპედო"-"ზუგდიდის" შეხვედრაც არანაკლებ მნიშვნელოვანია: წარუმატებლობის შემთხვევაში სტუმრები ერთობ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და უმაღლეს ლიგაში ადგილი რომ შეინარჩუნონ, დარჩენილ მატჩებში უკვე სხვა (თანაც, უმოტივაციო) გუნდებზე იქნებიან დამოკიდებული.

ისე, მართლაც საინტერესოა, თუ როგორ წარიმართება „ოსტატისა და შეგირდის" კიდევ ერთი დაპირისპირება" „ზუგდიდის" მთავარი მწვრთნელი **გიორგი დარასელია** ქართულმა საფეხბურთო საზოგადოებამ ხომ 1988 წელს გაიცნო, როცა იმდროინდელ საკავშირო პირველ ლიგაში მოასპარეზე ქუთაისის „ტორპედოში" ჩაირიცხა, რომელსაც მაშინაც **რევაზ ძოძუაშვილი** წვრთნიდა...

აი, რაც შეეხება ქვედა ექვსეულის კიდევ ერთ მატჩს, ამ შემთხვევაში ყველაფერი გარკვეულია: „ვიტ ჯორჯიამ" წინა ტურში გაინაღდა უმაღლეს ლიგაში დარჩენა, ხოლო „დილას" რომ პირველ ლიგაში დაქვეითება არ ემუქრება, ყველასათვის ცხადია.

## საჩემპიონო ინტრიგა

შაბათს ვაკეში კიდევ ერთი მატჩია: ზედიზედ 6 მატჩის მომგები „სიონი" უამრავ პრობლემა მოძალებულ „გურიასთან" შეხვედრის წინ რომ წყვილის უეჭველი ფავორიტია, ამაში, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება. თანაც, **ლადო ბურდულის** გუნდს იმის ჯანსაღი ამბიციაც გააჩნია, რომ რაც შეიძლება მაღალი ადგილი დაიკავოს ჩემპიონატში (ანუ, აბსოლუტურად ლოგიკურად გვეჩვენება ბოლნისელთა გუნდის პრეტენზიები ვერცხლის მედლების მოსაპოვებლად).

„სიონი"-"გურიას" წყვილისგან განსხვავებით, „ჩიხურა"-"მეტალურგის" დაპირისპირებაში ვერანაირ ინტრიგას ვერ ვხედავთ იმის გარდა, რომ საჩხერელები ჩემპიონატის დარჩენილ მატჩებს თასის ფინალისათვის მოსამზადებლად თუ გამოიყენებენ...

და აი, ტურის მთავარი მატჩიც: „ზესტაფონი"-"დინამო", ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დაპირისპირება და იმის მიუხედავადაც, კონკრეტული მომენტისათვის თუ რომელ ადგილებზე იმყოფებიან ან კონკრეტულ მომენტში რა მიზნები აქვთ ამ გუნდებს!

იმის გარდა, რომ ტურის ამ ცენტრალურ მატჩს უმცირესი „საჩემპიონო ინტრიგა" მაინც აქვს შემორჩენილი, არანაკლებ საინტერესოა სხვა გარემოებებიც; აი, თუნდაც, უმთავრესი: გამარჯვების შემთხვევაში „დინამო" სამი ტურით ადრე გაინაღდებს ჩემპიონობას! სხვა შემთხვევაში, ჩვენს ყველაზე ტიტულიან გუნდს ოთხი დღით მოუწევს საჩემპიონო ზეიმის (შესაბამისად, საჩემპიონო სუფრის) გადადება: „ზესტაფონთან" თუ ვერ მოიგო, მაშინ მომდევნო ტურში „ჩიხურასთან" გამარჯვების შემდეგ ჩამოიკიდებენ ოქროს მედლებს „დინამოს" მწვრთნელ-ფეხბურთელები!

არადა, ბოლო წლების ამ ორი გამორჩეული გუნდის ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში ორჯერ მოხდა, როცა სეზონის ფინიშისკენ, სწორედ ზესტაფონში გარკვეულა ჩემპიონის ვინაობა. აი, თუნდაც ის მატჩი გავიხსენოთ, 2011 წლის 1 აპრილს რომ ჩატარდა, როცა მატჩის დამატებულ წუთებზე გამარჯვების მომტანი გატანილი გოლით „ზესტაფონმა", ფაქტობრივად, საჩემპიონო განაცხადიც გააკეთა.

აღსანიშნავია, რომ სამი წლის წინანდელი იმ შემადგენლობებიდან „ზესტაფონში" დღესდღეობით მხოლოდ **გიორგი ქანკოტაძე** შემორჩა (იმ ერთადერთი გოლის ავტორი), „დინამოში" კი - მხოლოდ **გიორგი ლორია**. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გია გეგუჩაძის ხელმძღვანელობით მოასპარეზე იმდროინდელი „ზესტაფონის" წარმატების ერთ-ერთი სულისჩამდგმელები **ირაკლი ძარია, გიორგი ხიდეშელი** და **თორნიკე გორგიაშვილიც** იყვნენ, დღესდღეობით „დინამოს" ღირსებას რომ იცავენ. ხოლო „დინამოს" იმდროინდელი ცენტრფორვარდი **დიმიტრი ტატანაშვილი** კი, როგორც იცით, ამ ზამთრის პაუზის მერე „ზესტაფონში" ასპარეზობს.

...კიდევ ერთი მატჩი, როცა ჩემპიონობის ბედი სწორედ „ზესტაფონისა" და „დინამოს" პაექრობაში (ოღონდ, მაშინ „ვიტ ჯორჯიაც" ჩართული იყო „საჩემპიონო რბოლაში") გადაწყდა, 2008 წლის... 3 მაისს ჩატარდა. ჰო, მაშინაც 3 მაისი იყო, **დუშან უჰრინი (უფროსის)** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამომ" **მათე ვაწაძის** ერთადერთი გოლით უშუალო კონკურენტი სტუმრად რომ დაამარცხა და სამწლიანი პაუზის მერე ჩემპიონიც გახდა.

დაბოლოს, კიდევ ერთ „ინტრიგაზეც": წინა ხუთი სეზონის განმავლობაში „ზესტაფონი" ჩემპიონატის მსვლელობისას ერთხელ მაინც ახერხებდა „დინამოს" დამარცხებას, ამჟამად კი იმერულ კლუბს ამ სეზონში სამივე მატჩი წაგებული აქვს...

**გია ტუხაშვილი**

### I ლიგა. XXIII ტური

**B ზონა**

| | |
|---|---|
| სულორი-სამტრედია | 2:4 |
| ლოკომოტივი-ბეთლემი | 5:0 |
| დინამო (ბთ)-მაჭახელა | 4:0 |
| სამგურალი-ბახმარო | 5:2 |
| სტუ-ჭიათურა | 3:3 |
| საბურთალო-სასკო | 3:0 |
| კოლხეთი (ხ)-დილა 2 | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 24 | 19 | 2 | 3 | 59-23 | 59 |
| 2. დინამო (ბთ) | 24 | 18 | 1 | 5 | 57-15 | 55 |
| 3. მაჭახელა | 24 | 15 | 6 | 3 | 41-18 | 51 |
| 4. სასკო | 24 | 14 | 3 | 7 | 45-26 | 45 |
| 5. ლოკომოტივი | 24 | 13 | 2 | 9 | 65-35 | 41 |
| 6. ჭიათურა | 24 | 12 | 4 | 8 | 42-35 | 40 |
| 7. სამგურალი | 24 | 10 | 5 | 9 | 44-47 | 35 |
| 8. საბურთალო | 24 | 8 | 5 | 11 | 34-31 | 29 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 24 | 7 | 6 | 11 | 30-53 | 27 |
| 10. სტუ | 24 | 7 | 3 | 14 | 40-57 | 24 |
| 11. ბეთლემი | 24 | 7 | 3 | 14 | 26-44 | 24 |
| 12. დილა 2 | 24 | 5 | 5 | 14 | 27-50 | 20 |
| 13. ბახმარო | 24 | 4 | 7 | 13 | 31-63 | 19 |
| 14. სულორი | 24 | 2 | 2 | 20 | 14-58 | 8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

## ლევან ყიფიანი

# უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა არ გაიზრდება

**უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა არ გაიზრდება. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანიც ამ პროცესის წინააღმდეგია, მისი სიტყვა კი საფეხბურთო სამყაროსთვის გადამწყვეტი თუ არა, მნიშვნელოვანი ნამდვილად არის. კი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ რომ მოინდომოს, გუნდების რაოდენობას სპორტის მინისტრის დაუკითხავადაც გაზრდის, მაგრამ სპორტის მინისტრი ხომ სახელმწიფოს წარმოადგენს, სახელმწიფოს უგულებელყოფა კი ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა პრეზიდენტმა თავის თავზე გამოსცადა, რასაც ნიშნავს...**

**მოკლედ, სპორტის მინისტრმა გუშინდელი სამთავრობო სხდომის შემდეგ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და თქვა, რომ ის წინააღმდეგია უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდის. სახელმწიფო „მეწველი ძროხა" არ არისო, ბრძანა მინისტრმა და ამ სიტყვებს, ვფიქრობთ, განმარტება აღარ სჭირდება:**

### გუნდების რაოდენობის გაზრდა კონკრეტული პირების ინტერესია

- ადრე ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რომ საქართველოს ჩემპიონატში გუნდების რაოდენობის გაზრდა არარეალურია. იმ პრობლემების ფონზე, რაც ფეხბურთშია, ამაზე ლაპარაკი სპეკულაციაა. სახელმწიფოს პოზიცია ასეთია - მას ფეხბურთის დახმარება სურს, მაგრამ გუნდების რაოდენობის გაზრდა არ განიხილება. ჩემი აზრიც ეს არის. მსურს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოს იმ სპეკულაციებს, რომელიც ხალხს სიმშვიდეს ურღვევს და პროვოკაციადაც კი შეგვიძლია შევაფასოთ. გუნდების რაოდენობის გაზრდა - ეს არის კონკრეტული პირების ინტერესი, რომლებიც ქართულ ფეხბურთში საქმიანობენ...

...სამთავრობო კომისიას ქვეკომისიამ უნდა წარუდგინოს ფეხბურთის განვითარების პროექტი. ამ შემთხვევაში საუბარი არ არის იმაზე, თუ როგორი ჩემპიონატი სჯობს. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას პროექტი არ აქვს და მხოლოდ თეზისებით შემოიფარგლება. უნდა შევიმუშაოთ პროექტი, სადაც ჩამოყალიბებული იქნება, თუ რა უნდა გაკეთდეს ბავშვთა ფეხბურთის, ჩემპიონატის, ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებების განვითარებისთვის. ამ სპეკულაციებით კი მავანს სურს, სამინისტროსა და კლუბებს შორის ურთიერთობა დაძაბოს...

...მალე ფეხბურთის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტი დაიდება, რომელიც გამჭვირვალე იქნება. ჩვენი პოზიცია არაერთხელ გამოგვითქვამს, რომ 16 ან 18-გუნდიანი ჩემპიონატი არარეალურია. ეს ყოველდღიური შეხვედრები და მითქმა-მოთქმა გვერდით უნდა გადავდოთ. პროექტი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ფეხბურთის ფედერაციამ და იმ სუბიექტებმა უნდა მოამზადონ, რომლებიც ჩართულები არიან ამ საქმეში. მთავრობის სხდომაზე ეს საკითხი იმიტომაც წამოვწიე და შემდეგ სპეციალური განცხადებაც გავაკეთე, რომ გუნდების რაოდენობის გაზრდა-არგაზრდაზე სპეკულაციები დასრულებულიყო...

### სახელმწიფო მეწველი ძროხა არ იქნება

ყიფიანმა ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფო „მეწველი ძროხა" არასოდეს გახდება და მხოლოდ იმ პროექტს დააფინანსებს, რომელიც რეალურად იქნება ორიენტირებული ფეხბურთის განვითარებაზე:

- დიახ, სახელმწიფო არასოდეს გახდება „მეწველი ძროხა". სახელმწიფო დააფინანსებს იმ პროექტს, რომელიც სიცოცხლისუნარიანი და რეალურად ფეხბურთის განვითარებაზე ორიენტირებული იქნება. ჯერ არავინ არაფერს აფინანსებს. განვითარება იმ ნიშნულიდან უნდა დავიწყოთ, რაც გვაქვს. რამდენი პრობლემაა გარიგებულ თამაშებთან დაკავშირებით! ყველა გუნდი თამაშების ჩაწყობაზე ლაპარაკობს...

..."ზესტაფონის" მფლობელმა ილია კოკაიამ თავისი შეხედულება გამოთქვა ფეხბურთის განვითარებაზე და თავს დაესხნენ - სპორტის სამინისტრო კოკაიას პროექტის დაფინანსებას აპირებსო. ჩვენ ყველას მოვუსმენთ. საჭიროა, დეტალებამდე ჩავიდეთ. გლობალურად უნდა შევაფასოთ, რა გვიჭირს, რა გვჭირდება, რა რესურსები გვაქვს. ასე არ გამოვა, რომ სახელმწიფომ ფული გამოყოს, კლუბის ხელმძღვანელი კი მუნიციპალიტეტში მივიდეს და თქვას - სახელმწიფო ფულს მაძლევსო. ყოველივე მიზანმიმართულადაა განსახორციელებელი და ამაში სახელმწიფოც მიიღებს მონაწილეობას. ვინც ამ მიმართულებით არ წამოვა, თავისი გზით წავიდეს...


თამაზ თევზაძე (მარცხნივ) და ლევან ყიფიანი პრესკონფერენციაზე
**თამუნა ყულუმბეგაშვილის** ფოტო

...საერთოდ, პრობლემებია კლუბების მენეჯმენტში და საფეხბურთო მეურნეობაში. უეფასთან შეთანხმებულები ვართ, რომ სამი სუბიექტი - უეფა, ფეხბურთის ფედერაცია და სამინისტრო - განახორციელებს განვითარების პროექტს. ვაპირებთ, უეფას წერილი მივწეროთ და შევატყობინოთ სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. პრობლემების გადასაწყვეტად უეფას წარმომადგენელსაც მოვიწვევთ. ამ ფორმატში მუშაობა სწორედ უეფამ შემოგვთავაზა...

### კალაძეს თავისი აზრი აქვს და მე კი ჩემი, მაგალითად, ხუდონჰესთან დაკავშირებით

ყიფიანისთვის თბილისის „დინამოს" პრეზიდენტ **რომან ფიფიას** შეხედულებაც ცნობილია საქართველოში ფეხბურთის განვითარების შესახებ.

- ფიფიას ვხვდები ხოლმე და ვიცი, რომ ის მზადაა, თავისი შეხედულება წარმოადგინოს. თუმცა, არა მგონია, დილმის ბაზაზე ერთ კვირაში დაწერილი პროგრამა სრულყოფილი იყოს...

მინისტრმა განმარტა, რომ სამთავრობო კომისიისთვის წარდგენილი პროექტი ხუთწლიანი უნდა იყოს და, საბოლოო ჯამში, კლუბები კერძო უნდა გახდნენ, მათთან საფეხბურთო აკადემიები შეიქმნას და მწვრთნელებს განვითარების საშუალება ჰქონდეთ...

გუშინ ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო კომისიაც უნდა შეკრებილიყო, მაგრამ...

- ჩემი მოადგილე ლოდია, „საბურთალოს" პრეზიდენტი ხეჩიკაშვილი და „ზესტაფონის" მფლობელი კოკაია თბილისში არ იმყოფებიან და სხდომა ამის გამო გადაიდო, - განმარტა მინისტრმა.

პრესკონფერენციაზე ყიფიანს ენერგეტიკის მინისტრ **კახა კალაძის** განცხადებაზეც ვკითხეთ. შეგახსენებთ, რაც კალაძემ თქვა - **ლევან კობიაშვილი** ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს.

- კობიაშვილს ვესაუბრე და მას ჯერ არ გადაუწყვეტია, მიიღებს თუ არა არჩევნებში მონაწილეობას. ისე, კალაძეს თავისი აზრი აქვს და მე - ჩემი, მაგალითად, ხუდონჰესთან დაკავშირებით.

ბოლოსკენ, ყიფიანმა **მურთაზ ხურცილავასთან** მის შეხვედრასა და საჩხერის „ჩიხურას" დაფინანსების თაობაზეც თქვა:

- მურთაზ ხურცილავას რამდენჯერმე შევხვდი და გუნდების რაოდენობის გაზრდის თაობაზე ვესაუბრე. როგორც ცნობილია, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდის ერთ-ერთი მოთავე სწორედ მურთაზ ხურცილავაა. ვუთხარი, რომ ოთხი თვის წინ ამ თემაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა. ისე კი, მაქვს ჩემი აზრი, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდა ვის, რატომ და როგორ უკავშირდება, თუმცა ამას ხმამაღლა ვერ ვიტყვი...

...რაც შეეხება საჩხერის „ჩიხურას", მისი დაფინანსების შემთხვევაში, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო, უბრალოდ, გამტარია. „ქართუ ფონდიდან" ფული სწორედ სამინისტროს გავლით ერიცხება „ჩიხურას". ეს არის ჩვეულებრივი გრანტი. ასე, მაგალითად, კულტურის მოღვაწეებს ასეთივე გზით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აფინანსებს, სპორტს - ჩვენ. ეს ყველაფერი სათანადო განკარგულებითაა დამტკიცებული.

**კობა ინასარიძე**

ფეხბურთის ფედერაცია

# აბა, მოვიდა ლიცენზიები!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სალიცენზიო კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2014/15 წლების სეზონის უეფასა და ეროვნული დონის ლიცენზიები თბილისის „დინამოს", „ზესტაფონს", ბოლნისის „სიონსა" და საჩხერის „ჩიხურას" გადაეცათ. უკვე გარკვეულია, რომ ეს კლუბები ევროთასებზე ითამაშებენ და ამ მხრივ, ფეხბურთის ფედერაციისგან დაბრკოლება არ შეხვდებათ.

გარდა ამისა, მომავალი სეზონისთვის ეროვნულ ლიცენზიებს „ვიტ ჯორჯია", ცხინვალის „სპარტაკი", ფოთის „კოლხეთი", ქობულეთის „შუქურა" და „გაგრაც" მიიღებენ. საფეხბურთო კლუბების მიერ სანქცირებადი კრიტერიუმების დარღვევის ფაქტები განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად, მომდევნო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ვინაობის გარკვევის შემდეგ გადაეცემა ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს.

კლუბები, თურმე, უკვე ინფორმირებულები არიან გადაწყვეტილებების შესახებ და მათ, ვინც ლიცენზია ვერ მიიღო, 5 მაისამდე შეუძლიათ, გაასაჩივრონ საპელაციო კომიტეტში, რომლის თავმჯდომარე **დავით კალანდაძე** გახლავთ. სიტყვამ მოიტანა და, ლიცენზირების კომიტეტის ხელმძღვანელი **ნარგიზ ჩხიკვაძეა**, წევრები კი - **რევაზ შენგელია, დიმიტრი ბოკერია** და **თამარ ჭიჭინაძე**.

**კობა ინასარიძე**

გურია

# ცალი ბუცით ფეხბურთს ვერ ვითამაშებთო!..

ხუთშაბათს, საფეხბურთო კლუბ „გურიას" ოფისში საპროტესტო აქცია-ბრიფინგი ჩატარდა. როგორც ცნობილია, კლუბში არსებობს სახელფასო და საპრემიო დავალიანება. არსებული ინფორმაციით, „გურიას" თავკაცებს უფლებას აძლევენ, რომ მხოლოდ ხელფასები გაიცეს და ისიც მხოლოდ ფეხბურთელებზე. გაურკვეველია სამწვრთნელო შტაბის, დუბლებისა და ადმინისტრაციის ანაზღაურება. ფეხბურთელები, პირველ რიგში, პრემიალურის მიღებას მოითხოვენ, რადგანაც მათ შემდგომში ოფიციალურად მხოლოდ ხელფასის მოთხოვნის უფლება აქვთ და, შესაბამისად, ალბათობა დიდია, პრემიები ვერ მიიღონ.

მათი განცხადებით ბიუჯეტში არის ფინანსები, მაგრამ კლუბის თავკაცებს მისი გაცემის უფლებას არ აძლევენ. კულუარული ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, ეს ყველაფერი კლუბის დირექტორ **კობა მირზაშვილის** წინააღმდეგ იყოს მიმართული. არადა, ასევე ცნობილია, რომ მისმა ოჯახმა ფინანსური დახმარება გაუწია კლუბს.

თავის მხრივ, მოთამაშეები აცხადებენ, რომ სამწვრთნელო შტაბი და ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით კლუბის დირექტორი, მათ ყველანაირად გვერდში უდგანან.

*„მას შემდეგ, რაც ახლახან შვილი დამეღუპა, ერთადერთი „გურია" დამრჩა, რომლისთვისაც ბოლომდე ვიბრძოლებ. ყველას ვაფრთხილებ, ნურავინ გამოიშვერს ჩვენკენ ხელს. ამდენი ტყუილის მოსმენა შეუძლებელია. ერთხელ და სამუდამოდ, უნდა ითქვას სიმართლე. ბიჭებს ათასობით დავალიანება აქვთ მისაღები... ვისაც ევალება, გააკეთოს, რაც საჭიროა!"* - განაცხადა კობა მირზაშვილმა.

„გურიას" მეკარისა და კაპიტნის **მინდია ბობლიაშვილის** თქმით, ასე გაგრძელება შეუძლებელია:

*„როცა ფედერაციამ გადმორიცხა 200 ათასი, ასევე ბიუჯეტში არის ფული და ამ დროს ვერ ვიღებთ პრემიალურს, ხელფასს და ბუცის ფულიც კი ნახევარი მოგვცეს... ცალი ბუცით ფეხბურთს ვითამაშებთ? ტრავმირებული გვყავს გუნდში, ზოგს ოპერაცია სჭირდება, წესით კლუბმა უნდა უზრუნველყოს დაფინანსება, მაგრამ საკუთარ ფულსაც არ გვაძლევენ. ელემენდარული პირობა არ არის და რაზე უნდა ვილაპარაკოთ. რატომღაც მიიჩნიეს, რომ ჯერ სასტუმროსა და ეკიპირების ფული უნდა გადაეხადათ. შეხედეთ, რა აცვიათ ფეხბურთელებს, რა გვიგავს ეკიპირებულს"?*

ასევე პრეტენზია გამოთქვეს სხვა მოთამაშეებმაც: *„დღემდე არ ამიღია ხელფასი და სადღაც 5 ათას ლარამდეა ასული. გვპირდებიან, დღეს იქნება, ხვალ იქნება და სულ ტყუილი გვესმის. მწვრთნელები და კობა მირზაშვილი გვერდში გვიდგანან"*, - განაცხადა ფეხბურთელმა **გიგა ჭეიშვილმა**.

როგორც კლუბის ოფისში გვითხრეს, „გურია" თბილისში მაინც გაემგზავრება ბოლნისის „სიონთან" სათამაშოდ. არადა, იყო იმის საშიშროება, პროტესტის ნიშნად ფეხბურთელებს 3 მაისს დანიშნულ მატჩში არ ეთამაშათ. თუ პრობლემა არ მოგვარდა, ისინი ირწმუნებიან, რომ გაიფიცებიან.

**მათე გურული**
ლანჩხუთიდან


საპროტესტო აქცია-ბრიფინგი გურიას ოფისში

ინტერვიუ

## ლევან სილაგაძე

# ...მხოლოდ ასე შევინარჩუნებთ სტადიონებს

**რამდენი გუნდია ოპტიმალური უმაღლეს ლიგაში - 12 თუ 16? ამის შესახებ დავა ბოლო დროს გამწვავდა. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციის მიერ წარდგენილი პროგრამები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება.**

**უმაღლესი ლიგის კლუბების დიდი ნაწილი პოზიციას არ იცვლის და ლიგის 16 გუნდამდე გაზრდა სურს. მათ მოსაზრებას იზიარებს საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი ლევან სილაგაძე, რომელიც ბოლო ორი წელია გორის „დილას" მენეჯერია.**

**თუმცა სილაგაძის პოზიცია მაინც განსხვავებულია, რადგან საკითხს ახლებური კუთხით წარმოაჩენს:**


ლევან სილაგაძე

- 12-გუნდიანმა ჩემპიონატმა რომ არ გაამართლა, საკამათო აღარ არის. ლიგის ექვსეულებად გაყოფას არაერთი მინუსი აქვს და მათ აღარ ჩამოვთვლი. 16-გუნდიან ჩემპიონატს კი ბევრი პლუსი აქვს - ჯერ ის, რომ მეტი მწვრთნელი და მოთამაშე დაკავდება, მეტ მენეჯერს, ფიზმომზადების სპეციალისტსა და პერსონალს მიეცემა გაზრდის და თავის წარმოჩენის საშუალება. ფეხბურთის მასობრიობისთვის კი სჯობია, უმაღლეს ლიგაში რაც შეიძლება ბევრი ქალაქის გუნდი მონაწილეობდეს. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რაზეც ხმამაღლა ლაპარაკს, რატომღაც, ბევრი ერიდება - მეტი გუნდით საფეხბურთო სტადიონების შენარჩუნებას მოვახერხებთ.

**- ეს საკითხები ერთმანეთთან რა კავშირშია?**

- პირდაპირ კავშირშია და გორის მაგალითზე რამდენიმე წლის წინანდელ ამბავს გაგახსენებთ. როცა გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა, პატრონი არ ჰყავდა და მეორე ლიგაში დაქვეითდა. მაშინ ფეხბურთის მიმართ ინტერესი ისეთი შემცირებული იყო, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის მორაგბეებისთვის გადაცემას აპირებდნენ. მაგრამ სრულიად შემთხვევით შეინარჩუნეს, რადგან კლუბს პატრონი გამოუჩნდა და მერე მისი რეკონსტრუქციაც დაიწყო. მორაგბეებზე ყოველი ახალი სტადიონი ალალია, მაგრამ ეს ფეხბურთის ინფრასტრუქტურის ხარჯზე არ უნდა კეთდებოდეს. ამიტომაც ვემხრობი აზრს, რომ უმაღლეს ლიგაში ჰყავდეთ გუნდები შედარებით დიდ საფეხბურთო ქალაქებს - ბათუმს, ფოთს, ზუგდიდს, სამტრედიას, მარტვილს და სხვებს, რადგან სტადიონების გასხვისების პროცესი მხოლოდ ასე შეჩერდება.

**- ტრადიცია არ ნიშნავს, რომ უმაღლეს ლიგაში გუნდს ადგილი დავუჯავშნოთ. ეს სპორტულ პრინციპებს ეწინააღმდეგება...**

- არც ვამბობ, რომ უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ტრადიციული კლუბები უნდა გვყავდეს, მაგრამ გუნდების რაოდენობის გაზრდა უფრო მეტი დიდი ქალაქის გუნდს გაუხსნის უმაღლესის კარს და სტადიონებსაც შევინარჩუნებთ.

**- ვთქვათ და ასე მოხდა, მაშინ უეფას ლიცენზირების გამკაცრებულ მოთხოვნებს რა ვუყოთ? თვალები დავხუჭოთ?**

- მეეჭვება, ნიგერიასა და კამერუნში ამ მოთხოვნებს პასუხობდნენ. მაშ, რა გამოდის, ფეხბურთი უნდა აკრძალონ? რაღა შორს მივდივართ - უეფას სტანდარტებს ჩვენი უმაღლესი ლიგის ყველა მონაწილეც ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ მაინც თამაშობენ. ამ პრობლემას ვხედავ, მაგრამ მისი მოგვარება არა თვალის დახუჭვით, არამედ გამომზეურებით წარმომიდგენია. იყოს 16 გუნდი, რომელთაც ხარვეზების აღმოფხვრა აქედანვე დაევალებათ. მაგრამ ასეთ კლუბებში ხომ იზრდებიან მწვრთნელები, საკლუბო პერსონალი და მოთამაშეები? ამავე დროს, ახლა სახელმწიფო ფულს იძლევა და ეს სახსრები უნდა გამოვიყენოთ კლუბების მოსალონიერებლად, მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად და კადრების გასაზრდელად. მარტივი გათვლაა. დღეს პრობლემა ისაა, რომ ბავშვები საფეხბურთო სკოლას ამთავრებენ და კლუბებს ვერ პოულობენ. იმავეს ვიტყვი მწვრთნელებზეც, რადგან გუნდების სიმცირე მათ სამუშაო ადგილის გარანტიასა და წინსვლის საშუალებას ვერ აძლევს. 12-გუნდიან ჩემპიონატში, უმაღლესი ლიგის გუნდების ძირითად და დუბლშემადგენლობაში, 600-მდე მოთამაშე და მინიმუმ 96 მწვრთნელია დასაქმებული. 16-გუნდიან ჩემპიონატში კი ეს რაოდენობა, შესაბამისად, 800-მდე და 128-მდე გაიზრდება. 200-ით მეტი ფეხბურთელისა და 32-ით მეტი მწვრთნელის დასაქმება პატარა საქმე იქნება? მხოლოდ უმაღლეს ლიგას არ ვგულისხმობ, გუნდი უნდა გვყავდეს ყველა ქალაქსა და სოფელში, გუნდების, მოთამაშეთა და მწვრთნელ-პერსონალის სასურველი რაოდენობა და ხარისხი რომ მივიღოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ტორპედო

**ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილმა მეპატრონე გიორგი ხურციძემ „ლელოს" გასულ წელს უთხრა, რომ კლუბის დასაბრუნებლად სასამართლოში ბრძოლას აპირებდა. ის გუნდს პრობლემების მოგვარებაში ახლაც ეხმარება, მაგრამ დაანონსებული სასამართლო პროცესის შესახებ ჯერ არაფერი გვსმენია. საერთოდაც, ხურციძისა და „ტორპედოს" გარშემო ბოლო დროს არაერთი კითხვა გაჩნდა და დავინტერესდით, რა როლი აქვს დღეს კლუბში, რა ელის „ტორპედოს", რატომ ახსენებენ გუნდს საეჭვო მატჩების სიაში და ასე შემდეგ...**

## გიორგი ხურციძე

# ვიცი, ვინც ამიგორა ეს ხმები...

**- შევთანხმდეთ, რომ გულახდილად ვილაპარაკებთ. თქვენი და „ტორპედოს" მისამართით ბევრი კითხვა დაგროვდა...**

- სიამოვნებით. ამით თქვენზე ნაკლებად არ ვარ დაინტერესებული, რადგან ბევრი ჭორი მესმის, რომელსაც არანაირი საფუძველი არ აქვს.

**- კლუბის დასაბრუნებლად აპირებდით ბრძოლას, მაგრამ ამაზე არაფერი ისმის. ითქვა, თითქოს, არაოფიციალურად გირჩიეს გაჩერება...**

- ტყუილია, მსგავსი რამ არავის უთქვამს. უბრალოდ, არის სხვა მიზეზები, რის გამოც გაჩერებული ვარ. კლუბთან დაკავშირებით მაისში ბევრი რამ უნდა გაირკვეს და მეც ველოდები.

**- მაგრამ ახლაც „ტორპედოსთან" ტრიალებთ, მისი სახელით მოლაპარაკებებს ესწრებით...**

- ქუთაისელი ვარ და როცა „ტორპედოს" დახმარება შემიძლია, ამაზე უარს ვერ ვიტყვი. ვცდილობდი, ფეხბურთელები მომეზიდა, გუნდი უმაღლესიდან რომ არ გავარდნილიყო. ადრეც ასე იყო - როდესაც ფული მქონდა, ბიჭებს და მწვრთნელებს შეძლებისდაგვარად გვერდში ვედექი. ეს დანაშაულია?! მერე, კლუბში რომ მოვედი, უფასო სკოლა გავხსენი და მწვრთნელებს ხელფასს ვუხდიდი, ბავშვებისგან ფული რომ არ აეღოთ. ამის შემდეგ კი, იცით, რაც მოხდა - დამსაჯეს, მაგრამ რეალური საფუძველი რომ ვერ მომინახეს, გამომიშვეს. თუმცა „ტორპედო" ციხიდან სხვაზე გადამაფორმებინეს. სიმართლის თქმა ახლა ბევრს არ სურს და ისეთი შავი „პიარი" ამიგორეს, თითქოს, ქვეყნის დამაქცევარი ვიყავი.

**- ამაზე მსურდა, მეკითხა. თქვენი სახელი ქუთაისის კრიმინალურ სამყაროსთან იყო გაიგივებული...**

- ვიცი და ეს მაოცებს სწორედ - რატომ და რის საფუძველზე? რეალურად, წინა ხელისუფლებამ სწორედ ამ მოტივით დამაკავა. ხალხს უსაფუძვლოდ იჭერდნენ და ხელშესახები რომ ჰქონოდათ, გამომიშვებდნენ? ბრალდებაც კი ვერ წამიყენეს.

**- ანუ, ხმები აბსოლუტურად უსაფუძვლოა?**

- აბსოლუტურად უსაფუძვლო. „ქურდულ სამყაროსთან" კავშირებში თუ იმას გულისხმობენ, რომ ჩემი თანაქალაქელი ან უბნელია კრიმინალი და ვიცნობ, ეს ჩემი ბრალია? ქუთაისში ყველა ვიღაცის ნაცნობია და რა ვქნათ ახლა, გადავსახლდეთ? ხუთოსანი ვიყავი, კლასელებიდან უმაღლესში პირველმა


გიორგი ხურციძე

მე ჩავაბარე და ამ ბრალდებაზე მაგრად მეცინება.

**- მაგრამ ვაღიაროთ, რომ სწორედ ამ სახელის გამოა, კლუბში ოფიციალურ პოსტზე მისვლას რომ ვერ ახერხებთ.**

- დიახ, ასეა და კარგად ვიცი, ამ ხმებს ვინ და რა მიზნით მივრცელებს. სადაც ვარ, მიყვარს წესრიგი და რა დასამალია, რომ ეს ბევრს არ მოსწონს. მღვრიე წყალში თევზის ჭერის მოყვარულებს კი გასაქანს ვერ მივცემ. გამგები ყველაფერს გაიგებს.

**- მღვრიე წყალზე გამახსენდა. ითქვა, რომ მიმდინარე სეზონში „ტორპედომ" რამდენიმე საეჭვო მატჩი ითამაშა...**

- ეს მეც გავიგე და „ლელოსთან" ინტერვიუშიც ვთქვი - ეს საკითხი მეც ძალიან მაინტერესებს და ღმერთმა არ ქნას, გამართლდეს. კლუბი დაინტერესდა და ფედერაციასაც დახმარებას ვთხოვთ. ეს ხელმძღვანელობას არანაირად არ ეხება. თუ რატომ შეიცვალა ამდენჯერ პირველ ტაიმში ფეხბურთელი, ეს მწვრთნელის შეხედულებაზეა დამოკიდებული და ნორმალურ კლუბში, კლუბის პრეზიდენტი ან დირექტორი ამაში ვერ ჩაერევა. იქნებ, მოთამაშემ ტაიმი ჩააგდო? არ ვიცი, მიჭირს პასუხის გაცემა.

**- რევაზ ძოძუაშვილი „ტორპედოში" მომავალ სეზონშიც დარჩება?**

- კონტრაქტი ყველას ზაფხულამდე აქვს და ვინ დარჩება და ვინ არა, ეს ჯერ არავინ იცის. ყველაფერი დამოკიდებულია დაფინანსებაზე და იმაზე, თუ რა მოხდება მაისში.

**- და რა უნდა მოხდეს მაისში?**

- ახალი მეპატრონის ვინაობა უნდა გაირკვეს. ბოლოს და ბოლოს, „ვისოლმაც" უნდა თქვას, რას აპირებს.

**- დაბოლოს: მართალია, რომ ქუთაისის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" ფანების შერიგება მოახერხეთ?**

- მარტო მე არა, ამაში ძალიან დიდი როლი „დინამოს" მეპატრონე რომან ფიფიამაც შეასრულა. ამ ორი გუნდების ფანებს ერთმანეთთან ისედაც არ ჰქონდათ ტკბილი დამოკიდებულება, მაგრამ რაც ჩვენი გუნდების ბოლო შეხვედრისას მოხდა, ეს ქართული ფეხბურთის სირცხვილი იყო. მაშინ მოედანზე მეც გავედი და გულშემატკივრებს ვთხოვდი, ტრიბუნებზე დაბრუნებულიყვნენ... თუმცა ეს სამწუხარო ამბავი მაინც მოხდა. „დინამოსა" და „ტორპედოს" ერთმანეთში გასაყოფი არაფერი გვაქვს. მე ქუთაისელი ვარ, მაგრამ სანახევროდ თბილისში ვცხოვრობ, მეგობრები და ნათესავები მყავს და ძალიან მინდოდა, ფანების მტრობისთვის წერტილი დაგვესვა. ფიფიას ამ თხოვნით რომ მივმართე, აღმოჩნდა, რომ ჩემზე არანაკლებ ყოფილა ამ პრობლემის მოგვარებით დაინტერესებული. ფანკლუბების წარმომადგენლები სტადიონზე შევახვედრეთ, ერთმანეთის გულისტკივილი მოისმინეს... მოკლედ, ბიჭები შერიგდნენ. რომ იცოდეთ, ასეთი ბედნიერი დიდი ხანია არ ვყოფილვარ. მჯერა, ამ შეხვედრის შემდეგ მათ შორის ასეთი დაპირისპირება არასოდეს მოხდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

## ნუკრი რევიშვილი

# რუსეთი? ჯერ გადაწყვეტილი არ არის



**„ვალეტა" და მის შემადგენლობაში მოთამაშე ჩვენებურები - ნუკრი რევიშვილი, ირაკლი მაისურაძე და „გაგრის" თავდამსხმელი აბაიომი ოვონიკოკო მალტის ჩემპიონები გახდნენ. გუშინ კი გუნდმა ქვეყნის თასის ფინალში „სლიმა უონდერერს" 1:0 მოუგო და ეს ჯილდოც დაისაკუთრა. გამოცემა „თაიმს ოფ მალტა" წერს, რომ ქართველმა მეკარემ „ვალეტას" ჩემპიონობაში დიდი წვლილი შეიტანა. მადლიერების ნიშნად, რევიშვილს კლუბმა ახალი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ საქართველოს ნაკრების კიპერმა გამოცემასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ერთ-ერთ რუსულ კლუბში აპირებს გადასვლას.**

**„მომდევნო სეზონს დავიწყებ რუსეთში, სადაც კარიერის უმეტესი ნაწილი გავატარე. ახლა კი ბედნიერი ვარ, „ვალეტას" ჩემპიონობაში ჩემი წვლილი რომ შევიტანე. თქვენს ქვეყანაში ბევრი მეგობარი შევიძინე, ჩემს თანაგუნდელებს მომავალში წარმატებას ვუსურვებ და გულწრფელად ვამბობ, მალტა არასოდეს დამავიწყდება", - თქვა რევიშვილმა, რომელსაც მალტაში დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ...**

**- მალტურ გამოცემასთან საუბარში არ დაგიკონკრეტებიათ, რომელ რუსულ გუნდში აპირებთ გადასვლას?**

- იცით, ჩემი პასუხი მთლად სწორად არ დაიბეჭდა, რაც აზრის დასამახინჯებლად საკმარისი აღმოჩნდა. სინამდვილეში, მე ვთქვი, რომ მალტაში გატარებული დრო დაკარგულად არ მიმაჩნია, მაგრამ მირჩევნია, რუსეთში გავაგრძელო კარიერა და ამის დიდი შანსი მაქვს-მეთქი.

**- ხომ არ გაგვიმხელთ, რომელ კლუბთან გაქვთ მოლაპარაკება?**

- ჯერ კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, რადგან ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის. წინასწარ ლაპარაკი არ მსურს.

**- გულწრფელად გვითხარით, მალტურმა ფეხბურთმა და ჩემპიონატმა იმედები გაგიმართლათ?**

- კი, რატომაც არა?! ქვეყანაც კარგია და გარემოც. კარგ პირობებში ვვარჯიშობდი და ფორმა შევინარჩუნე.

**- მალტის ფეხბურთზეც იმავეს იტყვით?**

- ტყუილს არ ვიკადრებ, მალტის ჩემპიონატი ჩვენსას ნამდვილად ვერ შეედრება. საქართველოს ჩემპიონატი უფრო მაღალი დონისაა. მაგრამ ამის მიუხედავად, უცნაური იცით, რა არის? აქ უფრო საფეხბურთო გარემოა და თამაშებს საკმაოდ ბევრი მაყურებელიც ესწრება.

**- მალტაში რომელიმე უცნობი ქართველი თუ თამაშობს?**

- დიდ ფეხბურთში ასეთი არავინ გამიგია, თორემ ფუტსალში ჩვენი ნაკრების ორი წევრი თამაშობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატლეტიკო

# ზღაპრული სეზონი

## ატლეტიკო მომენტით ტკბება



„ატლეტიკოს“ ფეხბურთელებს თავადაც ძლივს სჯერათ - მათი გუნდი ფინალშია

მადრიდის „ატლეტიკოს“ მართლაც ზღაპრული სეზონი აქვს. **დიეგო სიმეონემ** „ათლეტები“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ნაუგებლად გაიყვანა და „ჩოლოს“ ლა ლიგის მოგების ძალიან კარგი შანსიც აქვს. „როხიბლანკოს“ დუბლს სეზონის დასაწყისში ალბათ ცოტა თუ წარმოიდგენდა. თუმცა ფაქტია, რომ გუნდი „სტემფორდ ბრიჯზეც“ ძალიან დამაჯერებელი იყო და თავის ისტორიაში პირველად, უშუალოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, სადაც თანაქალაქელ „რეალს“ დაუპირისპირდება და ეს ასევე პირველი შემთხვევაა, როდესაც ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ფინალში ერთი ქალაქის გუნდები ითამაშებენ. შეგახსენებთ იმასაც, რომ ჩემპიონთა თასის (და არა ლიგის) ფინალში „ატლეტიკო“ ერთხელ ნამყოფია, 40 წლის წინ, როდესაც ტიტული „ბაიერნს“ დაუთმო.

დიეგო სიმეონე: „ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ ფინალში გავსულიყავით და ჩვენ ამას ვიმსახურებთ, ისევე როგორც მადრიდის „რეალი“. ფერნანდო ტორესმა ანგარიში გახსნა, მაგრამ მატჩის მობრუნება მოვახერხეთ. ვიცოდით, რომ ჩვენი ერთი გოლი ლამის ორს უდრიდა და ბევრ რამეს შეცვლიდა. ასევე დიდი ბრძოლა დაგვჭირდა იმისთვის, რომ თამაში ისე წასულიყო, იმ სტილში, როგორც ჩვენ გვსურდა - ეს მას მერე მოხდა, რაც მეორე გოლი გავიტანეთ. ამ შედეგს კოლექტიური, გუნდური მუშაობით მივაღწიეთ. ძალიან დაძაბული თამაში გამოვიდა, თავიდან სუფთა ტაქტიკური დუელი მიდიოდა, მერე კი, როდესაც მეტოქემ პირველივე შანსი გამოიყენა და გოლი გაიტანა, თამაში ცოტა გაიხსნა. შემდეგ კი, საკმაოდ მალევე მოვახერხეთ გათანაბრება და სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ მოვაბრუნეთ. ახლა კი შესანიშნავი ფინალი გველოდება“.

ცხადია, ბედნიერები და კმაყოფილები იყვნენ ფეხბურთელებიც. **ადრიანმა** და **დიეგო კოშტამ** უმნიშვნელოვანესი გოლები გაიტანეს, წერტილი კი **არდა თურანმა** დასვა. შესანიშნავი იყო **ტიბო კურტუა**, ძალიან დახვეწილი და სასარგებლო **კოკე**, ხოლო შეუჩერებელი გახლდათ **ხუანფრანი**. მოკლედ, მთელი გუნდი ბრწყინავდა.

„ლონდონში მოგება ადვილი არ არის. ჩვენ კარგად ვითამაშეთ, ძალიან ძლიერი გუნდის წინააღმდეგ და ბედნიერები ვართ იმით, რომ ფინალში გავედით. ვიცოდით, რომ თუ გოლს გავიტანდით ეს „ჩელსის“ საქმეს უაღრესად გაურთულებდა და ამ მხრივ ვერც ტორესის გოლმა შეცვალა ბევრი ვერაფერი. ვიცოდით, რომ მეტოქე „სტემფორდ ბრიჯზე“ ყველანაირად ეცდებოდა გატანას და მზად ვიყავით ამისთვის. მთავარია, რომ გათანაბრება შესვენებამდევე მოვახერხეთ, ამან თავდაჯერება შეგვმატა. მეორე ტაიმში კი მეტი სივრცე გვქონდა და თამაში უფრო გაგვიადვილდა, ასეთ დროს თავს კარგად ვგრძნობთ და სოლიდურად გამოვიყურებით. ვფიქრობ, მთლიანობაში მატჩის მსვლელობას ვაკონტროლებდით და უკეთესები ვიყავით. განსაკუთრებით მას მერე, რაც გავიტანეთ, ხოლო მეორე გოლით მატჩი მოვკალით. ფინალში დამსახურებულად გავედით და კვირას „ლევანტესთან“ კიდევ ერთი „ფინალი“ გველის, რომელმაც ლა ლიგის მოგებასთან უნდა მიგვაახლოოს. ეს სეზონი ჩვენთვის ახდენილ ოცნებასავითაა. ჩემპიონთა ლიგის ფინალს კი უფრო განსაკუთრებულს ის არ ხდის, რომ იქ „რეალი“ გველოდება, ლიგის ფინალი თავისთავადაა განსაკუთრებული. ამ შეხვედრაზე ბევრი უნდა ვიფიქროთ და სერიოზულად მოვემზადოთ, მაგრამ იქამდე სრულად „ლევანტესთან“ თამაშზე უნდა მოვახდინოთ კონცენტრაცია“ - აღნიშნა „ჩელსის“ ყოფილმა და „ატლეტიკოს“ ამჟამინდელმა ნახევარმცველმა **ტიაგომ**.

„ვიცოდით, რომ „ჩელსი“ შედარებით უფრო გაიხსნებოდა და შეუტევდა, ლონდონელები შინ თამაშობდნენ. თუმცა ამ ყველაფერს მომზადებულნი შევხვდით და უკეთ ვითამაშეთ. ჩემპიონთა ლიგის ფინალში ყოფნა დიდი პრივილეგიაა და ეს ყოველდღე არ ხდება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საბოლოო გამარჯვებას მივაღწიოთ. ის ფაქტი, რომ ფინალში „რეალი“ იქნება, გამოწვევას კიდევ უფრო გამორჩეულს ხდის“ - განაცხადა „ლურჯების“ კარში მეორე გოლის ავტორმა დიეგო კოშტამ.

„ათლეტების“ მცველი **ფილიპე ლუიში**: „მეტოქემ კარგად დაიწყო, მაგრამ ტაიმის მიწურულს გათანაბრება შევძელით და ეს გოლი გადამწყვეტი გამოდგა. ჩვენ ყოველთვის ამ სტილით ვთამაშობთ - თავს კარგად ვიცავთ და მწვავე კონტრიერიშებს ვახორციელებთ. ფინალში ღირსეულად გავედით და წესით, ძალიან სანახაობრივი თამაში უნდა გამოვიდეს. „რეალს“ მსოფლიოში საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს და გამარჯვება ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ მატჩის მოსაგებად“.

„ასეთი რამ ხშირად არ ხდება, ამიტომაც, ძალიან ბედნიერები ვართ. კარგ ფორმაში ვართ და შევეცდებით კიდევ უფრო უკეთ მოვემზადოთ. ახლა კი მომენტით უნდა დავტკბეთ“ - განაცხადა **მირანდამ**.

**გიორგი პაპაბაძე**

იტალიის თასი. ფინალი

# კულმინაცია: ვის დარჩება თასი?

შაბათს „სტადიო ოლიმპიკოზე“ იტალიის თასის ფინალი გაიმართება, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ „ნაპოლი“ და „ფიორენტინა“ წარდგებიან. ტროფეის მოგება ორივე გუნდისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ შემთხვევაში, სეზონი ცალსახად დადებითად შეფასდება. **რაფაელ ბენიტესსა** და მით უმეტეს, **ვინჩენცო მონტელაზე** კლუბების მესვეურებს ძვირი ჯერ არ დასცდენიათ, მაგრამ პოზიციის გასამყარებლად მწვრთნელებს სეზონის მაჟორულ ნოტზე დასრულება, ანუ ტიტულის მოგება სჭირდებათ.

სეზონის გადამწყვეტ პაექრობას „ფიორენტინა“ განახევრებული შემადგენლობით ხვდება, განსაკუთრებით კი ეს შეტევის ხაზზე ითქმის. ბოლო ინფორმაციით, **მარიო გომესის** თამაში გამორიცხულია, **ჯუზეპე როსი** კი მეორე ტაიმში თუ ჩაერთვება თამაშში. ამას **ხუან კუადრადოს** დისკვალიფიკაცია დაემატა, რომელიც სეზონის მეორე ნახევარში გუნდის მთავარი დამრტყმელი ძალაა. მოკლედ, მონტელას პრობლემები თავზე საყრელად აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოპტიმისტურად არის განწყობილი:

„ვიცით, რა უნდა დავუპირისპიროთ მეტოქეს და როგორ უნდა მივიყვანოთ საქმე გამარჯვებამდე. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში გაგვაწამა ტრავმებმა, ჩვენ მაღალი მიზნებისთვის ვიბრძვით და თასს ნამდვილად ვიმსახურებთ“.

**რაფაელ ბენიტესს** ამდენი პრობლემა ნამდვილად არ აქვს და ფინალს თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით ხვდება. ესპანელი შეტევის წინა ხაზზე **გონსალო იგუაინს** გაამწესებს, რომელსაც **მარეკ ჰამშიკი**, **ლორენცო ინსინიე** და **ხოსე კალეხონი** დაეხმარებიან. ნეაპოლელი გულშემატკივრები ტროფეის ითხოვენ, რაფა კი მათ სურვილის ასრულებას ჰპირდება.

ბოლოს დავძინოთ, რომ პარასკევს, ორივე გუნდი მთელი შემადგენლობით რომის პაპს ესტუმრება, რომელიც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ფიორენტინა (4-3-3):** ნეტო - ტომოვიჩი, გონსალო, სავიჩი, პასკუალი - აკვილანი, პისარო, ბორხა ვალერო - ხოაკინი, ილიჩიჩი, მატრი.

**ნაპოლი (4-2-3-1):** რეინა - ენრიკე, ალბიოლი, ფერნანდესი, გულამი - ინლერი, ფრელო - კალეხონი, ჰამშიკი, ინსინიე - იგუაინი.

**ლაშა წიკლაური**



ფიორენტინა-ნაპოლი

ჩელსი

# პირველად ათი წლის შემდეგ

მადრიდული მატჩის შემდეგ „ჩელსის“ უკეთეს შანსებზე ბევრი დაიწერა და ბევრი ითქვა. მხოლოდ სტატისტიკა „ამბობდა“, რომ **ჟოზე მოურინიოს** ჩემპიონთა ლიგის 1/2-ფინალებში წაგების დიდი გამოცდილება ჰქონდა. რვა მცდელობიდან პორტუგალიელმა ამ ეტაპზე ექვსჯერ წააგო და მათ შორის 4-ჯერ ზედიზედ, რაც ევროთასების ანტირეკორდია. 2005-ში „ლივერპულმა“ „ჩელსის“ ორი შეხვედრის ჯამში 1:0 მოუგო; 2007-ში იმავე „ლივერპულმა“ საერთო ჯამში 1:1-ის შემდეგ პენალტების სერიაში იძალა 4:1; მომდევნო სამი ნახევარფინალი მოურინიომ „რეალთან“ ერთად დათმო - 2011-ში „ბარსელონასთან“ 1:3, 2012-ში - „ბაიერნთან“ 3:3, პენ: 3:4, 2013-ში - „დორტმუნდთან“ 3:4 და აი, ახლა უკვე „ატლეტიკოსთან“ - 1:3, 0:0.

ამ მარცხით „ჩელსიმ“ პრემიერლიგური კლუბების უნიკალური სერია შეწყვიტა. 2003/04 წლების სეზონის შემდეგ პირველად მოხდება, რომ ევროპული ტურნირების ფინალში არც ერთი ინგლისური კლუბი არ ითამაშებს. მკითხველს შეუძლია მშრალ სტატისტიკას გადაავლოს თვალი:

2004/05. ჩემპიონთა ლიგა. „ლივერპული“-“მილანი“.
2005/06. ჩემპიონთა ლიგა. „ბარსელონა“-“არსენალი“. უეფას თასი. „-“სევილია“-“მიდლსბრო“.
2006/07. ჩემპიონთა ლიგა. „მილანი“-“ლივერპული“.
2007/08. ჩემპიონთა ლიგა. „მანჩესტერ იუნაიტედი“-“ჩელსი“.
2008/09. ჩემპიონთა ლიგა. „ბარსელონა“-“მანჩესტერ იუნაიტედი“.
2009/10. ევროპალიგა. „ატლეტიკო“-“ფულჰემი“.
2010/11. ჩემპიონთა ლიგა. „ბარსელონა“-“ მანჩესტერ იუნაიტედი“.
2011/12. ჩემპიონთა ლიგა. „ჩელსი“-“ბაიერნი“.
2012/13. ევროპალიგა. „ჩელსი“-“ბენფიკა“.

„განსაკუთრებულმა კაცმა“ ამჯერადაც დაცვაზე გააკეთა უმთავრესი აქცენტი, თუმცა ცოტა უიღბლობამ და უფრო მეტად „როხიბლანკოს“ განსაკუთრებულმა მონდომებამ, მას მიზნის მიღწევის საშუალება არ მისცა. **ფერნანდო ტორესის** გოლის შემდეგ „სტემფორდ ბრიჯმა“ შეიძლება დაიჯერა კიდეც, რომ მის ფავორიტებს ლისაბონისკენ მიმავალი გზიდან ვერავინ გადაახვევინებდა, მაგრამ მოხდა ის, რასაც ძნელად თუ წარმოვიდგენდით. სტუმარმა **მარკ შვარცერის** კართან მომენტების შექმნა ერთიმეორის მიყოლებით დაიწყო. აშკარაა, რომ არა 41 წლის ავსტრალიელი, ლონდონელები კიდევ უფრო დიდი სხვაობით დამარცხდებოდნენ. აი, რა თქვა თამაშის დასრულების შემდეგ „ჩელსის“ თავკაცმა:

„ყველაფერი ერთმა წუთმა გადაწყვიტა, როცა კურტუამ ტერის სახიფათო თავური მოიგერია, საპასუხო შეტევაში კი სტუმარმა პენალტი მოიპოვა და ნაცვლად იმისა, რომ ანგარიშში დავწინაურებულიყავით, აღმოჩნდა, რომ უკვე ვაგებდით. სწორედ ასე გახდა 61-ე წუთი გარდამტეხი. 2:1-ის შემდეგ მოედანზე ფეხბურთს მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა, რომელმაც იგრძნო ძალების მოზღვავება და საკუთარი თავის რწმენა. ამ მომენტში გამიჩნდა შეგრძნება, რომ გამარჯვებულის ვინაობა თითქმის გარკვეული იყო. ჩემი ფეხბურთელები ღირსეულად გამოიყურებოდნენ, მაგრამ „ატლეტიკოს“ ფონზე მაინც დაიკარგნენ და თამაშის კონტროლი მთლიანად მეტოქეს ჩააბარეს. მიუხედავად სერიოზული საკადრო პრობლემებისა, ფინალამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა, რისთვისაც ჩემგან მათ მადლობა ეკუთვნით. მარცხი ძალიან გულდასაწყვეტია, თუმცა ბიჭებს შეუძლიათ თავი ამაყად დაიჭირონ, რადგან რაც ევალებოდათ, იმის მაქსიმუმი გააკეთეს და მხოლოდ ძალიან ძლიერ გუნდთან დამარცხდნენ.

ისევ მნიშვნელოვანი პრობლემები შეგვიქმნა პრემიერლიგის მატჩების განრიგმა. ამ პრობლემაზე ვლაპარაკობდი ყველგან, სადაც კი მიმუშავია. იტალიაში წესი შეიცვალა მხოლოდ მას მერე, რაც ამ ქვეყნიდან წამოვედი, ესპანეთშიც ვამბობდი, რომ ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში გასული გუნდებისთვის დასასვენებლად მეტი დრო იყო საჭირო. წავედი ამ ქვეყნიდან და წესი მხოლოდ ამის მერე შეცვალეს. ინგლისშიც დიდი ხანია იმავეს ვამბობ და ვილაპარაკებ იქამდე, ვიდრე ეს არ მოხდება ან იქამდე, ვიდრე ვინმე ჩემზე წონად არგუმენტებს არ წარმოადგენს“.

**ლევან ბიბილაშვილი**



ფერნანდო ტორესის გოლის შემდეგ ლონდონელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა

ამბები

## აპრილის საუკეთესონი

პრემიერლიგის ოფიციალურმა ვებგვერდმა გასული თვის საუკეთესო მწვრთნელების ოთხი პრეტენდენტი წარადგინა. საპატიო ტიტულისთვის იბრძოლებენ: **ტონი პულისი** (კრისტალ პალასი) - აპრილში 5თ, 4, 1 წ; **გუსტავო პოიეტი** (სანდერლენდი) - 5თ, 2მ, 1ფ, 2წ; **ჟოზე მოურინიო** (ჩელსი) - 4თ, 3მ, 1წ და **ტიმ შერვუდი** (ტოტენჰემი) - 4თ, 3მ, 1ფ.

## იუნაიტედის თავდამსხმელებზე მოთხოვნაა

„მანჩესტერს შემადგენლობაში უკვე ჰყავს ოთხი მაღალი კლასის თავდამსხმელი - **უეინ რუნი**, **რობინ ვან პერსი**, **დენი უელბეკი** და **ხავიერ ერნანდესი**, თუმცა „ეშმაკები“ შეტევის გაძლიერებას კიდევ ემურებიან. ლაპარაკია კლუბისთვის სარეკორდო 60 მილიონ ფუნტად პსჟ-დან **ედინსონ კავანის** შეძენაზე. ამ შემთხვევაში „ოლდ ტრეფორდიდან“ აბარგებაზე ალბათ ბოლო ორი აუცილებლად დაფიქრდება. იწერება, რომ უელბეკით „ნაპოლია“ დაინტერესებული, ერნანდესს კი ამ ეტაპზე უფრო მეტი შეთავაზება აქვს. მექსიკელს „ინტერი“, „მილანი“, „ატლეტიკო“, „ტოტენჰემი“ და „ასტონ ვილა“ სთავაზობენ სამსახურს. ბირმინგემელებს მზად აქვთ კონკრეტული წინადადებაც - „იუნაიტედს“ ისინი 12 მილიონ ფუნტს სთავაზობენ. აქვე გეტყვით, რომ პოლ ლამბერტს „ტოტენჰემიდან“ **ლუის ჰოლტბის** ყიდვაც აქვს ჩაფიქრებული.

**ლევან ბიბილაშვილი**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIII ტურის წინ

# ვილაც იტირებს!

## უმწეო ჰამბურგი, სასოწარკვეთილი ნიურნბერგი თუ უწყინარი ბრაუნშვაიგი?

**3 მაისი**

**დორტმუნდი–ჰოფენჰაიმი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** მოდესტე (ჰოფენჰაიმი)
**ტრავმა:** კელი, ბლაშჩიკოვსკი, ს. ბენდერი, სუბოტიჩი, გიუნდოგანი - კასტეელსი, ვუკჩევიჩი, შიპლოკი

ბოლო 6 მატჩი

+4=2-0 +2=3-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 11 თამაში: +3=4-4, (14:15)**

**გლადბახი–მაინცი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** შლიშკოვიჩი, ნ. მიულერი, პარკი (სამივე მაინცი)

ბოლო 6 მატჩი

+3=1-2 +3=0-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 15 თამაში: +6=4-5, (18:16)**

**შტუტგარტი–ვოლფსბურგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** იალჩინი, რ. ხედირა - ევსეევი, ჟუნიორ მალანდა

ბოლო 6 მატჩი

+2=2-2 +4=1-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 33 თამაში: +15=5-13, (47:48)**

**ვერდერი–ჰერტა 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ობრანიაკი, ილდირიმი, ლორენცენი - ლუსტენბერგერი, ფრანცი, გერსბეკი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +1=2-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 61 თამაში: +31=11-19, (109:75)**

**ნიურნბერგი–ჰანოვერი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** მარსელო (ჰანოვერი
**ტრავმა:** გებჰარტი, გინჩეკი - მილერი, დიუფი, ა. ჰოფმანი, ა. ზობიეხი

ბოლო 6 მატჩი

+1=0-5 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 35 თამაში: +11=13-11, (56:56)**

**ფრაიბურგი–შალკე 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** გიუნტერი - კოლაშინაცი
**ტრავმა:** მუიჯა - ფარფანი, ფუხსი, კ. პაპადოპულოსი, აოგო, უჩიდა, კლემენსი

ბოლო 6 მატჩი

+3=2-1 +2=2-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 29 თამაში: +11=5-13, (40:44)**

**ჰამბურგი–ბაიერნი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არსლანი - რაფინია
**ტრავმა:** ბაისტერი, რაიკოვიჩი, ლასოგა - შტარკე, შაჩირი, გრინი

ბოლო 6 მატჩი

+1=1-4 +3=1-2

ურთიერთშეხვედრები

**სულ 97 თამაში: +19=21-57, (99:212)**

**ბრაუნშვაიგი–აუგსბურგი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კორტე, ვაშაუზენი - მორავეკი, მილიკი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +2=1-3

ურთიერთშეხვედრები

**სულ 1 თამაში: +0=0-1, (1:4)**

**აინტრახტი–ლევერკუზენი 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბარნეტა, ფლუმი, ანდერსონი, როდე, კიტელი - კისლინგი, რაინარტცი, ჰეგელერი, ვოლშაიდი, კრუსი

ბოლო 6 მატჩი

+2=1-3 +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

**სულ 57 თამაში: +21=12-24, (84:94)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 32 | 27 | 3 | 2 | 89-22 | 84 |
| 2. დორტმუნდი | 32 | 20 | 5 | 7 | 73-36 | 65 |
| 3. შალკე | 32 | 17 | 7 | 8 | 57-42 | 58 |
| 4. ლევერკუზენი | 32 | 17 | 4 | 11 | 56-40 | 55 |
| 5. ვოლფსბურგი | 32 | 16 | 6 | 10 | 58-48 | 54 |
| 6. გლადბახი | 32 | 15 | 7 | 10 | 55-39 | 52 |
| 7. მაინცი | 32 | 15 | 5 | 12 | 48-49 | 50 |
| 8. აუგსბურგი | 32 | 13 | 7 | 12 | 44-46 | 46 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 32 | 10 | 11 | 11 | 67-66 | 41 |
| 10. ჰერტა | 32 | 11 | 8 | 13 | 40-42 | 41 |
| 11. აინტრახტი | 32 | 9 | 9 | 14 | 39-53 | 36 |
| 12. ფრაიბურგი | 32 | 9 | 9 | 14 | 41-56 | 36 |
| 13. ჰანოვერი | 32 | 10 | 6 | 16 | 41-57 | 36 |
| 14. ვერდერი | 32 | 9 | 9 | 14 | 39-64 | 36 |
| 15. შტუტგარტი | 32 | 8 | 8 | 16 | 48-59 | 32 |
| 16. ჰამბურგი | 32 | 7 | 6 | 19 | 48-68 | 27 |
| 17. ნიურნბერგი | 32 | 5 | 11 | 16 | 36-64 | 26 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 32 | 6 | 7 | 19 | 28-56 | 25 |

**ბომბარდირები:** 18 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 16 - იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი), ადრიან რამოსი (ჰერტა), მარკო როისი (დორტმუნდი); 15 - შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი)



ბრაუნშვაიგის ნახევარმცველი მირკო ბოლანდი

**„ჰამბურგი", „ნიურნბერგი", „ბრაუნშვაიგი" - ამ სამი გუნდიდან ორი მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდება, ერთი კი, გადარჩენისთვის რელეგაციაზე მეორე ბუნდესლიგის მესამეადგილოსანთან ორრაუნდიან დუელში იბრძოლებს. იმისათვის, რომ არა მარტო ეს სამი „გაჭირვებული", არამედ თვრამეტივე გუნდი თანაბარ პირობებში იყოს, ბუნდესლიგის ბოლო ორ ტურში ყველა შეხვედრა შაბათს და თანაც ერთ დროს დაიწყება. „ბრაუნშვაიგი" „აუგსბურგს" მასპინძლობს, „ნიურნბერგი" - „ჰანოვერს", „ჰამბურგი" კი - თვით მიუნხენის „ბაიერნს" ეთამაშება. დაძაბული და საინტერესოა ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის ბრძოლაც.**

### ბომბარდირობა როისსაც მოუნდა

დორტმუნდის „ბორუსიამ" მეორე ადგილი და ვიცე-ჩემპიონობა უკვე გაინაღდა. მიუხედავად ამისა, კლუბის სპორტული დირექტორი მიხაელ ცორკი ფეხბურთელებს მოუწოდებს, არ მოეშვან და დარჩენილ ორ მატჩშიც მაქსიმალურად დაიხარჯონ. მარკო როისს ამის თქმა არც სჭირდება, რადგან ისედაც ძალიან მოტივირებულია. ხუთი თამაშია, როისს მოედანი უგოლოდ არ დაუტოვებია, „დორტმუნდის" ბოლო 14 გოლიდან კი 11-ში უშუალო მონაწილეობა აქვს მიღებული. ამრიგად, 33-ე ტურის წინ მარკოს უკვე 16 გოლი აქვს გატანილი და მხოლოდ ორით ჩამორჩება თანაგუნდელ რობერტ ლევანდოვსკის (18), რომელიც ბაიერნელ მარიო მანჯუკიჩთან ერთად ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულისთვის იბრძვის. „ჰოფენჰაიმი" აბსოლუტურად მშვიდადაა, რადგან მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე აღარ ემუქრება. „სოფლელებს" „დორტმუნდთან" თავდამსხმელები, მოდესტე (დისკვალიფიცირებულია) და შიპლოკი (ტრავმა) დააკლდებათ.

### ბრძოლა ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის

მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" სეზონის წინ დასახულ მიზანს მიაღწია: ევროპალიგის საგზური გაინაღდა. ჰო, მერვეადგილოსან „აუგსბურგთან" უპირატესობა ფინიშამდე ორი ტურით ადრე 6 ქულას შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ თეორიულად ჯერ კიდევ დასაშვებია, რომ „გლადბახი" საუკეთესო შვიდეულში ვერ მოხვდეს, მაგრამ ლუსიენ ფავრის გუნდს „აუგსბურგთან" შედარებით ბურთების ბრწყინვალე შეფარდება აქვს - ასე რომ, „გლადბახს" ევროპალიგაში თამაში განაღდებული აქვს. დარჩენილ ორ ტურში „გლადბახისთვის" გასარკვევი მხოლოდ ისაა, თუ რომელ ადგილს დაიკავებს და, შესაბამისად, რომელი ეტაპიდან დაიწყებს ევროსარბიელზე მოღვაწეობას, თუმცა... საქმე ისიცაა, რომ „გლადბახს" ჯერ კიდევ შეუძლია მეოთხე ადგილის დაკავება და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება! ფავრის გუნდი ამჟამად მეოთხე პოზიციაზე მყოფ „ლევერკუზენს" სამი ქულით ჩამორჩება!

33-ე ტურში მიონხენგლადბახელთა მეტოქე „მაინცია", რომელიც მეშვიდე ადგილზეა, მაგრამ ეს პოზიცია ჯერაც გასანაღდებელი აქვს.

ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის „გლადბახზე" უკეთესი შანსი „ვოლფსბურგს" აქვს - დიტერ ჰეკინგის გუნდი „ლევერკუზენს" ოდენ ქულით ჩამორჩება! „ვოლფსბურგს" ამჯერად „შტუტგარტთან" ექნება საქმე - გუნდთან, რომელსაც მეორე ბუნდესლიგაში პირდაპირ დაქვეითების საფრთხე აღარ ემუქრება, აი, სარელეგაციო მე-16 ადგილზე კი შეიძლება მაინც დაქვეითდეს. თუმცა შვაბები დიდად არ ნერვიულობენ, რადგან „ჰამბურგს" 5 ქულით უსწრებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ბედი მათსავე ხელშია.

„ლევერკუზენი", რომელიც მეოთხე ადგილზეა და, შესაბამისად, ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისთვის გაჩაღებულ ბრძოლაში საუკეთესო სიტუაციაშია, ფრანკფურტის „აინტრახტს" სტუმრობს და თუ უნდა, რომ საუკეთესო ოთხეულიდან გამოსვლის საფრთხე არ დაემუქროს, აუცილებლად უნდა მოიგოს.

### ჰამბურგი დეპრესიაშია

„ჰამბურგის" ბედი ჯერ კიდევ „ჰამბურგის" ხელშია, რადგან მე-16 ადგილზეა და ჯერ ამ პოზიციის შენარჩუნება, მერე კი სარელეგაციო დუელებში გამარჯვება მართებს. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ამ ტურში „ჰამბურგი" „ბაიერნს" ხვდება. რეკორდმაისტერი „დაჭრილია"! ბავარიული გრანდი მადრიდის „რეალმა" „დაჭრა"! ასეთი „ბაიერნი" კი „ჰამბურგისთვის" ორმაგად საშიშია - დიდი შანსია, რომ ხოსეპ გვარდიოლას გუნდმა „რეალის" ჯავრი სწორედ „ჰამბურგზე" იყაროს.

„ისღა დაგვრჩენია, იმის იმედი გვქონდეს, რომ სხვებიც წააგებენ," - ამბობს ჰამბურგელთა მარცხენა მცველი მარსელ იანსენი და სხვებში, რა თქმა უნდა, „ნიურნბერგსა" და „ბრაუნშვაიგს" გულისხმობს.

თუ „ნიურნბერგი" გავარდა, ეს ამ კლუბის ისტორიაში ელიტიდან რიგით მე-8 დაქვეითება იქნება. ფრანკებმა ბოლო ხუთი მატჩი დათმეს და მიუხედავად ამისა, დროებითი მწვრთნელი როჯერ პრინცენი ამბობს, ჯერ კიდევ არ გავვარდნილვართ და ბრძოლას ვაგრძელებთო. იმისათვის, რომ ცრემლების ოკეანე ნიურნბერგში მინიმუმ ერთი ტურით მაინც გადაიდოს, ფრანკებს „ჰანოვერთან" სამი ქულა სჭირდებათ.

მიუხედავად იმისა, რომ „ბრაუნშვაიგი" ბოლო ადგილზეა და ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია, ბოლო სამეულიდან ამ კლუბის ფანები ყველაზე კარგ ხასიათზე არიან. „ფაქტია, რომ ჰამბურგსა და ნიურნბერგში ჩვენზე გაცილებით მეტს ნერვიულობენ. სწორედ ესაა ჩვენი შანსი," - აცხადებს „ბრაუნშვაიგის" მენეჯერი მარკ არნოლდი და დასძენს, ჩვენი გუნდი მენტალურად ძალიან ძლიერიაო. გადარჩენის შანსის შესანარჩუნებლად „ბრაუნშვაიგს" „აუგსბურგის" დამარცხება სჭირდება.

**გოტფრიდ ლენცი**

● ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები

**უნიონ ესპან.–არსენალი 0:1 (0:0)**

გოლი: 0:1 ბრაგიერი (66)

**ს.პორტენიო–კრუზეირო 0:2 (1:1)**

გოლები: 0:1 დედე (80), 0:2 დაგობერტო (90+4)
გაძევება: ბრუნო როდრიგო (78. კრუზეირო), კორუხო (84. სერო პორტენიო), გუისა (85. სერო პორტენიო)

**გრემიო–სან ლორ. 1:0 პენ. 2:4 (0:1)**

გოლი: 1:0 დუდუ (83)

**ატლ. მინეირო-ატლ. ნასიონალი**

გვ. დასრულდა

# სტუმრების დღე



ეს წამია „სან ლორენსო" 1/4 ფინალში გავიდა

ლიბერტადორესის თასზე კიდევ სამი მეოთხედფინალისტი გაირკვა. სამივე წყვილში, მომდევნო ეტაპზე სტუმარი გავიდა. წინა დღის მსგავსად, მატჩები ამჯერადაც ძალიან დაძაბული და დრამატული გამოდგა.

ჩილეში, „უნიონ ესპანიოლამ" სარანდის „არსენალს" უმასპინძლა და სტუმართა ცენტრალური მცველის, **დიეგო ბრაგიერის** გოლის გამო 0:1 წააგო. „მეთოფეები" 1/4 ფინალში ასუნსიონის „ნასიონალს" შეხვდებიან, რომელმაც წინა ეტაპზე „ველეს სარსფილდს" მოუგო.

ძალიან გაუჭირდათ ბრაზილიის და არგენტინის ჩემპიონებს. „კრუზეიროს", საშინაო მატჩის ფრედ დასრულების შემდეგ, სტუმრად მოგება ან შედეგიანი ფრე სჭირდებოდა. თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც ბრაზილიელებს **ბრუნო როდრიგო** გაუძევეს, მაგრამ ამ ეპიზოდიდან ორ წუთში, კაცნაკლული „კრუზეირო" **დედემ** იხსნა და წინ გაიყვანა. გაშვებულმა ბურთმა მასპინძლები აანერვიულა და შედეგად, არბიტრმა მოედნიდან ჯერ **კორუხო**, მერე კი ესპანელი **დანიელ გუისა** გააძევა. ბოლო წამებზე, „სერო პორტენიო" მთელი გუნდი წინ წავიდა და 94-ე წუთზე მეორე გოლიც გაუშვა.

„კრუზეიროსგან" განსხვავებით, არგენტინის ჩემპიონმა წააგო, მაგრამ მომდენო ეტაპზე მაინც გავიდა. „გრემიოს" და „სან ლორენსოს" დაპირისპირებაში ყველაფერი პენალტების სერიაში გადაწყდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი **დუდუმ** 83-ე წუთზე გაიტანა, დარჩენილ დროში კი გუნდებმა ვერაფერი შეცვალეს და გამარჯვებულის გამოსავლენად 11-მეტრიანები გახდა საჭირო. „გრემიო" ლეგიონერებმა დაალალატეს - არგენტინელმა **ერნან ბარკოსმა** და ურუგვაელმა **მაქსიმილიანო როდრიგესმა** ვერ გაიტანეს, სტუმართა მხრიდან კი ოთხივე დარტყმა ზუსტი იყო.

ბოლო, მერვე 1/4-ფინალისტის ვინაობა დღეს დილით, „ატლეტიკოების" დერბიში უნდა გარკვეულიყო. აქვე, გეტყვით, თუ ვინ ვის დაუპირისპირება მომდევნო ეტაპზე:

**1/4 ფინალში ითამაშებენ:**

ლანუსი-ბოლივარი
სან ლორენსო-კრუზეირო
დეფენსორი-ატლ. მინეირო /ატლ. ნასიონალი
ნასიონალი (ა)-არსენალი

**ტატო ბაციკაძე**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXVI ტურის წინ

# ათლეტები ყურადღების ცენტრში

## 2 მაისი

**ვალეკანო-ბილბაო 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** რაცი (რაიო ვალეკანო), მუნიაინი (ბილბაო)
**ტრავმა:** ა. ბანგურა, ხოსე კარლოსი, ხ. ვიერა, ტიტო - ეკისა, გურპეგი, კიკე სოლა, იბაი გომესი, ინიგო პერესი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 21 თამაში: +4 =8 -9 (32:37)**
ბოლო 6 მატჩი
+4 =1 -1 (12-8) +3 =1 -2 (10-6)

## 3 მაისი

**ბარსელონა-ხეტაფე 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** პედრო ლეონი, ლისანდრო ლოპესი, მარიკა (სამივე „ხეტაფე“)
**ტრავმა:** ალბა, ნეიმარი, პიკე, ვალდესი, პუიოლი, კუენკა, ჯონათან დოს სანტოსი - დ. კასტრო, მოია

ურთიერთშეხვედრები
**სულ 23 თამაში: +17 =3 -3 (53:21)**
ბოლო 6 მატჩი
+5 =0 -1 (12-5) +2 =1 -3 (4-5)

**მალაგა-ელჩე 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ანხელერი, ამრაბატი (ორივე „მალაგა“), საპუნარ
**ტრავმა:** სერხიო სანჩესი, ტისონე - მანუ დელ მორალი, ა. ხიმენესი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 5 თამაში: +3 =0 -2 (6:4)**
ბოლო 6 მატჩი
+3 =0 -3 (9-8) +1 =3 -2 (4-6)

**ოსასუნა-სელტა 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ნინო, ლოლო, სისი - ა. ფერნანდესი, ველიტონი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 17 თამაში: +4 =3 -10 (10:23)**
ბოლო 6 მატჩი
+1 =3 -2 (4-8) +3 =1 -2 (11-11)

**ვალიადოლიდი-ესპანიოლი 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბერგდიხი, ა. რუბიო (ორივე „ვალიადოლიდი“), ხავი ლოპესი, სტუანი (ორივე „ესპანიოლი“)
**ტრავმა:** - მატიონი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 31 თამაში: +7 =11 -13 (22:36)**
ბოლო 6 მატჩი
+1=3 -2 (3-6) +1 =1 -4 (7-12)

## 4 მაისი

**ალმერია-ბეტისი 14:00**

**დისკვალიფიკაცია:** დუბარბიერი, ტრუხილიო (ორივე „ალმერია“)
**ტრავმა:** ვერსა, ჰ. მარტინესი - სარა, ამაია, მატილია, სალვა სევილია, დიდაკ ვილა, ხოსე კარო, ჩული, ხავი ტორესი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 5 თამაში: +2 =1 -2 (4:6)**
ბოლო 6 მატჩი
+1=1 -4 (7-14) +1 =0 -5 (6-12)

**ლევანტე-ატლეტიკო 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ხუანფრანი (ატლეტიკო)
**ტრავმა:** ბ. დიავარა, დ. ნავარო, ივანშიტცი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 19 თამაში: +5 =3 -11 (20:30)**
ბოლო 6 მატჩი
+1 =2 -3 (5-7) +6 =0 -0 (9-1)

**სევილია-ვილიარეალი 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** დ. ფიგეირაში, იბორა (ორივე „სევილია“), ტრიგეროსი (ვილიარეალი)
**ტრავმა:** სისინიო, კრისტოფორო, ჩერიშევი - დორადო, პაბლო ინიგესი

ურთიერთშეხვედრები
**სულ 27 თამაში: +13 =7 -7 (40:30)**
ბოლო 6 მატჩი
+4 =0 -2 (13-6) +2 =1 -3 (5-7)

## 5 მაისი

**სოსიედადი-გრანადა 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** ბრაჰიმი, ელ-არაბი (ორივე „გრანადა“)
**ტრავმა:** - რობერტო

ურთიერთშეხვედრები
**სულ 7 თამაში: +3 =2 -2 (12:10)**
ბოლო 6 მატჩი
+3 =2 -1 (7-8) +1 =0 -5 (2-14)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 35 | 28 | 4 | 3 | 75-22 | 88 |
| 2. ბარსელონა | 35 | 27 | 3 | 5 | 97-30 | 84 |
| 3. რეალი | 34 | 26 | 4 | 4 | 98-32 | 82 |
| 4. ბილბაო | 35 | 19 | 8 | 8 | 62-38 | 65 |
| 5. სევილია | 35 | 17 | 8 | 10 | 66-50 | 59 |
| 6. სოსიედადი | 35 | 16 | 9 | 10 | 59-51 | 57 |
| 7. ვილიარეალი | 35 | 15 | 7 | 13 | 54-43 | 52 |
| 8. ვალენსია | 35 | 12 | 9 | 14 | 47-48 | 45 |
| 9. ვალეკანო | 35 | 13 | 4 | 18 | 45-71 | 43 |
| 10. სელტა | 35 | 12 | 7 | 16 | 44-52 | 43 |
| 11. ლევანტე | 35 | 10 | 12 | 13 | 31-42 | 42 |
| 12. ესპანიოლი | 35 | 11 | 8 | 16 | 39-46 | 41 |
| 13. მალაგა | 35 | 11 | 8 | 16 | 37-44 | 41 |
| 14. გრანადა | 35 | 11 | 4 | 20 | 30-53 | 37 |
| 15. ელჩე | 35 | 8 | 12 | 15 | 28-47 | 36 |
| 16. ოსასუნა | 35 | 9 | 8 | 18 | 29-58 | 35 |
| 17. ხეტაფე | 35 | 9 | 8 | 18 | 30-51 | 35 |
| 18. ალმერია | 35 | 9 | 6 | 20 | 38-69 | 33 |
| 19. ვალიადოლიდი | 34 | 6 | 14 | 14 | 33-54 | 32 |
| 20. ბეტისი | 35 | 5 | 7 | 23 | 29-70 | 22 |

**ბომბარდირები:** 30 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 27 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო), ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 16 - არიც ადურისი (ბილბაო), ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)

**ლა ლიგის 36-ე ტური დღეს, ბილბაოს „ატლეტიკის“ თამაშით დაიწყება და ორშაბათს, მეორე ბასკური გუნდის, „სოსიედადის“ თამაშით დასრულდება. კვირას კი მადრიდის „ატლეტიკოს“ ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია...**



„რეალი“-“ვალენსია“. შარშან „ბერნაბეუზე“ გუნდებმა 1:1 ითამაშეს, შარშანწინ - 0:0

### ატლეტიკო ჩემპიონობისკენ მიიწევს...

ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასული „როხიბლანკო“ გასვლაზე „ლევანტეს“ ხვდება, რომელსაც პრიმერაში ადგილი უკვე დაზღვეული აქვს და სატურნირო მოტივაცია აღარ ამოძრავებს. გამარჯვების შემთხვევაში, **დიეგო სიმეონეს** გუნდი ჩემპიონობისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს - ტიტულამდე სულ სამი ქულა დარჩება.

სტუმრებს დისკვალიფიკაციის გამო წინა ტურში გაძევებული **ხუანფრანი** არ ეყოლებათ, ასე რომ, ხუანფრანების დუელი არ შედგება. „ლევანტეს“ ტრავმების გამო რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი დააკლდება, თუმცა მიუხედავად ამისა, სტუმრებისთვის „სიუდად დე ვალენსიაზე“ თამაში იოლი არ იქნება - „ატლეტიკოს“ ამ სტადიონზე 2007 წლის შემდეგ არ მოუგია. მადრიდელებს „ბაყაყებთან“ პირველ წრეშიც გაუჭირდათ, მაგრამ **დიეგო კოშტას** მიერ ზუსტად შესრულებული პენალტის წყალობით 3:2 მოიგეს.

### ...ატლეტიკი ჩემპიონთა ლიგისკენ

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტური დღეს, „რაიო ვალეკანოს“ და ბილბაოს „ატლეტიკის“ თამაშით დაიწყება. მადრიდელები ბოლო დროს შესანიშნავ ფორმაში არიან - **პაკო ხემესის** გუნდმა ბოლო 10 შეხვედრიდან 7 მოიგო, 2 ფრედ დაასრულა და მხოლოდ ერთი წააგო, ისიც სტუმრად „რეალთან“. განსაკუთრებით კარგად მადრიდელები შინ თამაშობენ - „ვალეკანომ“ ბოლო 5 საშინაო მატჩი მოიგო, არადა, იქამდე, 12 შეხვედრაში მხოლოდ 3 გამარჯვება და 9 წაგება ჰქონდა.

ამ საოცარი ტრანსფორმაციის წყალობით, „რაიო“ უკვე მე-9 ადგილზეა და მას გავარდნა აღარ ემუქრება, არადა, ჯერ კიდევ თებერვლის ბოლოს გუნდი მე-19 პოზიციაზე იყო, პაკო ხემესი კი „ჩემოდნებზე იჯდა“.

კარგ ფორმაშია „ბილბაოც“, რომელმაც ბოლო 4 მატჩიდან სამი მოიგო და კიდევ ერთი გამარჯვების შემთხვევაში, **ერნესტო ვალვერდეს** გუნდი მეოთხე ადგილს გაინაღდებს. მოგეხსენებათ, „ატლეტიკი“ საშინაო გუნდად ითვლება, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ 34-ე ტურში, „ნოუ კამპზე“ დამარცხებამდე, ბასკებს გასვლით მატჩებში 7-მატჩიანი წაუგებელი სერია ჰქონდათ.

### ღამურები ბერნაბეუზე

ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება - „რეალი“ „ვალენსიას“ უმასპინძლებს. **კარლო ანჩელოტის** გუნდი ჰეთთრიქის შესასრულებლად იბრძვის და იმისთვის, რომ „ტრიპლეტის“ შესრულების შანსი დაიტოვოს, მხოლოდ საკუთარი გამარჯვება საკმარისი არ იქნება. გარდა იმისა, რომ „მერენგესმა“ „ვალენსიას“ უნდა მოუგოს, მას მეორე ვალენსიური კლუბი, „ლევანტეც“ უნდა დაეხმაროს.

ევროტურნირებზე ასპარეზობის მიუხედავად, ორივე გუნდი ძირითადი შემადგენლობით ითამაშებს. მართალია, „ვალენსიას“ სატურნირო მოტივაცია აღარ შერჩა, მაგრამ „ბერნაბეუზე“ კარგად თამაში პრესტიჟის საქმეა. გარდა ამისა, **ხუან ანტონიო პიციმ** წელს სტუმრად „ბარსელონას“ მოუგო და არგენტინელ-ესპანელი სპეციალისტი ეცდება, რომ მართლაც უნიკალურ შედეგს მიაღწიოს და ერთ სეზონში ესპანეთის ორივე გრანდი დაამარცხოს.

„ვალენსიამ“ მადრიდში ბოლო 2008 წელს მოიგო, ზოგადად კი „რეალი“ უკანასკნელად 2009 წელს დაამარცხა. იქიდან მოყოლებული, გუნდებმა ჩემპიონატში და თასზე 11 თამაში ჩაატარეს, საიდანაც 8 „რეალმა“ მოიგო, სამი მატჩი კი ფრედ დასრულდა.

04.05. მადრიდი
სანტიაგო ბერნაბეუ
23:00

**რეალი**

ბოლო 6 მატჩი
+4=0-2 +1=3-2
ურთიერთშეხვედრები
45 თამაში: +26=9-10 (88-55)

**ვალენსია**

სავარაუდო შემადგენლობები

რეალი: დ. ლოპესი; პეპე, ვარანი, კარვახალი, მარსელო; ჩაბი ალონსო, მოდრიჩი, დი მარია; ბეილი, ბენზემა, რონალდო

ვალენსია: ალკასერი; კარტაბია, პარეხო, ფეგული; კეიტა, ფუეგო; ბერნატი, პერეირა; მატიო, რ. კოშტა; გუაიტა

### იოლი გასეირნება

რეალურად მეორეზე, პოტენციურად კი მესამე ადგილზე მყოფი „ბარსელონა“ „ხეტაფეს“ უმასპინძლებს და ალბათ, იოლ გამარჯვებასაც მოიპოვებს. მადრიდელებმა წინა ტურში „მალაგას“ მოუგეს და გასავარდნი ზონა დატოვეს, თუმცა მათი უკან დაბრუნების შანსი საკმაოდ დიდია, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ სტუმრებს დისკვალიფიკაციის გამო სამი გამორჩეული ფიგურა - **ლისანდრო ლოპესი, ჩიპრიან მარიკა** და **პედრო ლეონი** არ ეყოლებათ.

**ხერარდო მარტინოს** ტრადიციულად ბევრი ტრავმირებული ჰყავს, მაგრამ ლაზარეთს ახალი არავინ დამატებია, რაც უკვე კარგი ამბავია.

„სევილიას“ და „ვილიარეალის“ მატჩს რამდენიმე კვირის წინ ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ ახლა სიტუაცია განსხვავებულია. „ყვითელ წყალქვეშა ნავს“ ჩავარდნა ჰქონდა, რის გამოც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას გამოეთიშა, ევროპალიგაზე ასპარეზობა კი **მარსელინოს** გუნდს 99 პროცენტით განაღდებული აქვს. „სევილია“ მეოთხე ადგილის დასაკავებლად კი იბრძვის, მაგრამ „ბილბაოსთან“ განცდილი მარცხის შემდეგ, **უნაი ემერის** გუნდის შანსები მიზერულია. მეტიც, როგორც უკვე ვთქვით, თუ დღეს „ბილბაომ“ მოიგო, ამ მხრივ ყველანაირი ინტრიგა მოკვდება.

**ტატო ბაციკაძე**

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXVI ტურის წინ

# ოლიმპიკების დერბი
## და ბრეტანული დერბი თასზე

**ლიგა 1-ის მორიგი ტური ცოტა განსხვავებულ რეჟიმში ჩატარდება, კერძოდ კი მატჩები პარასკევს, კვირას და მომავალ ოთხშაბათს გაიმართება. შაბათი დღე კი „სტად დე ფრანსზე“ საფრანგეთის თასის ფინალს მიეძღვნება. ერთმანეთს „რენი“ და „გენგამი“ ხვდებიან.**

შეგახსენებთ, რომ ბრეტანულმა გუნდებმა 2009 წელსაც დერბიში გაათამაშეს თასი და მაშინ „გენგამმა“ 2:1 მოიგო. გენგამელებს ზედიზედ ოთხჯერ ჰყავთ დამარცხებული „რენი“. ისე დაემთხვა, რომ ეს კლუბები ლიდერებს, პსჟ-სა და „მონაკოს“ სტუმრობენ. ასე რომ, გახდება თუ არა „პარი სენ-ჟერმენი“ ამ ტურშივე ჩემპიონი, მხოლოდ ოთხშაბათს გავიგებთ.

სამაგიეროდ, „ლილის“ მატჩი დღეს ტურს გახსნის და ჩვენ უკვე გვეცოდინება გაინაღდებს თუ არა **რენე ჟირარის** გუნდი მესამე ადგილს. ამისათვის ლილელებმა უბრალოდ უნდა მოიგონ გასვლაზე „ბასტიასთან“. კი, სათქმელად ადვილია, მაგრამ გასაკეთებლად... კორსიკაზე გამარჯვება რთულია, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ბასტიელები რეალურად უმოტივაციონი არიან.

თუ „ლილი“ ვერ მოიგებს, იმის იმედად უნდა იყოს რომ „სენტ ეტიენს“ ფეხი დაუცდება და ამ შემთხვევაშიც გაინაღდებს მესამე ადგილს. „მწვანეები“ „მონპელიეს“ მასპინძლობენ და გამარჯვება სჭირდებათ, რადგან მოსისხლე მტერი „ლიონი“ უკან მისდევთ. **კრისტოფ გალტიეს** გუნდი თითქოს მშვენიერ ფორმაშია - 3 მოგება და 3 ფრე. თუმცა სწორედ ამ სამმა ფრემ „სენტ ეტიენს“ მესამე ადგილზე გასვლის რეალური შანსი მოუსპო. გუნდს მეოთხე პოზიციაც კბილებით აქვს დასაცავი. მონპელიელებს კი მოტივაცია აღარ აქვთ, მაქსიმუმ სეზონის ათეულში დასრულებისთვის იბრძოლონ და ესეც გაუჭირდებათ.

„ლორიანი“-“აიაჩოს“, „ვალანსიენი“-“ბორდოსა“ და „ტულუზი“-“ნანტის“ მატჩებს რეალურად სატურნირო დატვირთვა არ აქვთ. ისინი ისევ და ისევ პრესტიჟისთვის, რაც შეიძლება უფრო მაღალ ადგილზე გასასვლელად თუ ითამაშებენ.

სამაგიეროდ, უაღრესად მნიშვნელოვანია „რეიმსი“-“ევიანისა“ და „სოშო“-“ნიცას“ დაპირისპირებები. რეიმსელთათვის მართლაც პრესტიჟის საკითხია ის, რომ ჩემპიონატი, რაც შეიძლება მაღალ ადგილზე დაასრულონ. თანაც გუნდს 8 ტურია, არ უმარჯვია და ამ სერიის შეწყვეტაც სურს. აი, ევიანელებს კი საკმაოდ მძიმე მდგომარეობა აქვთ და არის საშიშროება, რომ „სოშომ“ მათთან სხვაობა მინიმუმამდე შეამციროს და ამით გავარდნის საფრთხე ძალიან რეალური გახდეს.

რაც უნდა გააკეთოს „ევიანმა“, „სოშომ“ თავისი მატჩი აუცილებლად უნდა მოიგოს. მონბელიარელები ძალიან ბევრს შრომობენ იმისთვის, რომ ელიტაში ადგილი შეინარჩუნონ და თითქმის მოტივაციადაკარგულ „ნიცას“ შინ თუ ვერ მოუგეს, ყველაფერი ერთბაშად წყალში ჩაეყრებათ. თანაც კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ „ევიანის“ გარდა, სოშოელთა უშუალო კონკურენტებს „გენგამსა“ და „რენს“ ოთხშაბათს უმძიმესი საგარეო თამაშები ელით - შესაბამისად „მონაკოსთან“ და პსჟ-სთან. ასე რომ, მონბელიარელები გამარჯვების შემთხვევაში რომელიმეს მაინც მიუახლოვდებიან.

დაბოლოს, თუ „მარსელს“ ჯერ კიდევ სჯერა, რომ ხუთეულში შესვლა შეუძლია, ტურის ცენტრალურ შეხვედრაში საკუთარ „ველოდრომზე“ „ლიონს“ უნდა სძლიოს და მასთან სხვაობა 2 ქულამდე შეამციროს. თუმცა სტუმრებს თავისი გეგმები აქვთ, როგორც იცით, ისინი „სენტ ეტიენის“ დევნას აგრძელებენ. ბოლო ინფორმაციით, ლიონელებს ტრავმების გამო ისევ არ ეყოლებათ **იოან გურკუფი, კლემან გრენიე, გუედა ფოფანა** და **მიგელ ლოპეში**, ხოლო **ბაქარი კონე** დისკვალიფიცირებულია. ასეა თუ ისე, „ოლიმპიკების“ დერბი თვალსასეირო უნდა გამოვიდეს.

## 2 მაისი

ბასტია-ლილი 22:30

## 4 მაისი

სტ. ეტიენი-მონპელიე 16:00
ლორიანი-აიაჩო 19:00
სოშო-ნიცა 19:00
რეიმსი-ევიანი 19:00
ტულუზი-ნანტი 19:00
ვალანსიენი-ბორდო 19:00
მარსელი-ლიონი 23:00

## 7 მაისი

მონაკო-გენგამი 21:00
პსჟ-რენი 23:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 35 | 25 | 8 | 2 | 76-20 | 83 |
| 2. მონაკო | 35 | 22 | 9 | 4 | 59-28 | 75 |
| 3. ლილი | 35 | 19 | 10 | 6 | 40-21 | 67 |
| 4. სტ. ეტიენი | 35 | 17 | 9 | 9 | 48-32 | 60 |
| 5. ლიონი | 35 | 16 | 10 | 9 | 53-39 | 58 |
| 6. მარსელი | 35 | 14 | 11 | 10 | 47-37 | 53 |
| 7. ბორდო | 35 | 12 | 12 | 11 | 46-41 | 48 |
| 8. რეიმსი | 35 | 11 | 12 | 12 | 41-47 | 45 |
| 9. ტულუზი | 35 | 11 | 12 | 12 | 42-49 | 45 |
| 10. ნანტი | 35 | 12 | 8 | 15 | 36-39 | 44 |
| 11. ბასტია | 35 | 12 | 8 | 15 | 39-55 | 44 |
| 12. ლორიანი | 35 | 11 | 10 | 14 | 45-49 | 43 |
| 13. მონპელიე | 35 | 8 | 18 | 9 | 45-45 | 42 |
| 14. ნიცა | 35 | 12 | 6 | 17 | 30-39 | 42 |
| 15. რენი | 35 | 9 | 13 | 13 | 41-41 | 40 |
| 16. გენგამი | 35 | 10 | 8 | 17 | 31-40 | 38 |
| 17. ევიანი | 35 | 9 | 11 | 15 | 34-50 | 38 |
| 18. სოშო | 35 | 8 | 10 | 17 | 33-57 | 34 |
| 19. ვალანსიენი | 35 | 7 | 8 | 20 | 35-59 | 29 |
| 20. აიაჩო | 35 | 3 | 11 | 21 | 34-67 | 20 |

**ბომბარდირები:** 25 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 16 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი), ედინსონ კავანი (პსჟ); 15 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი)

**გიორგი კაკაბაძე**

# პრემიერლიგას წარმოგიდგენთ europe-bet.com

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXVI ტურის წინ

# შანსი თუნდაც თეორიული


ლეონ ოსმანი „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრაში ბრძოლას გვპირდება

03.05. ლივერპული გუდისონ პარკი 20:30

**ევერტონი**

ბოლო 6 მატჩი

+4=0-2 | +3=2-1

ურთიერთშეხვედრები

157 თამაში: +58=40-59 (210-220)

**სიტი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** -
**ტრავმა:** გიბსონი, ოვიედო, კონე, მირალიაში, დისტენი, პიენაარი, ტრაორე - ნავასი, დ. სილვა, ნასტასიჩი

## 3 მაისი

**ვესტ ჰემი–ტოტენჰემი 15:45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტომკინსი, მ. ტეილორი, ბორიელო - უოლკერი, ვერტონგენი, ლამელა, კაპუ, ტაუნსენდი, დემბელე

ბოლო 6 მატჩი: +2=0-4 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები: სულ 103 თამაში: +36=23-44 (147-160)

**ასტონ ვილა–ჰალი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჯ. ბენეტი, ოკორე, ბაკუნა, ჰერდი, ბენტეკე, გარდნერი, კოზაკი, ნზოგბია - მაკგრეგორი, ბრეიდი, მაკშეინი

ბოლო 6 მატჩი: +0=1-5 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 6 თამაში: +5=1-0 (8-0)

**იუნაიტედი–სანდერლენდი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** რაფაელი, ვან პერსი - კი, ს. ფლეტჩერი, კ. ვესტვუდი, კუელიარი

ბოლო 6 მატჩი: +4=0-2 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 117 თამაში: +55=27-35 (204-160)

**ნიუკასლი–კარდიფი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** - კალა
**ტრავმა:** სანტონი, სისოკო, სისე, რ. ტეილორი, დე იონგი, ობერტანი, ს. ამეობი - ჰადსონი, ნუნი

ბოლო 6 მატჩი: +0=0-6 | +1=2-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 33 თამაში: +12=7-14 (53-45)

**სტოკი–ფულჰემი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** შოუკროსი -
**ტრავმა:** ჰუთი, ეთერინგტონი - სიდუელი, დაფი, ბრიგსი, მიტროლლუ

ბოლო 6 მატჩი: +3=1-2 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 31 თამაში: +9=7-15 (33-45)

**სუონსი–საუთჰემპტონი 18:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** მიჩუ, რანხელი, ბარტლი - კ. დევისი, იოშიდა, შნაიდერლინი, ჯ. როდრიგესი, რამირესი

ბოლო 6 მატჩი: +3=1-2 | +2=1-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 9 თამაში: +3=3-3 (12-12)

## 4 მაისი

**არსენალი–ბრომვიჩი 16:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ვერმალენი, უილშირი, უოლკოტი, ოქსლეიდ-ჩემბერლენი, გიბსი, მიაიჩი, გნაბრი - ს. რიდი, რიჯუელი, გერა, მაკოლი

ბოლო 6 მატჩი: +3=2-1 | +2=2-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 120 თამაში: +61=28-31 (212-154)

**ჩელსი–ნორვიჩი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** რამირესი -
**ტრავმა:** ჩეხი, ოსკარი -

ბოლო 6 მატჩი: +4=0-2 | +1=0-5

ურთიერთშეხვედრები: სულ 34 თამაში: +13=11-10 (50-39)

## 5 მაისი

**პალასი–ლივერპული 23:00**

**დისკვალიფიკაცია:** - ჰენდერსონი
**ტრავმა:** დიკგაჩოი - ხ. ენრიკე

ბოლო 6 მატჩი: +5=0-1 | +5=0-1

ურთიერთშეხვედრები: სულ 28 თამაში: +6=6-16 (20-61)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 36 | 25 | 5 | 6 | 96-46 | 80 |
| 2. ჩელსი | 36 | 24 | 6 | 6 | 69-26 | 78 |
| 3. სიტი | 35 | 24 | 5 | 6 | 93-35 | 77 |
| 4. არსენალი | 36 | 22 | 7 | 7 | 65-41 | 73 |
| 5. ევერტონი | 36 | 20 | 9 | 7 | 57-36 | 69 |
| 6. ტოტენჰემი | 36 | 20 | 6 | 10 | 52-49 | 66 |
| 7. იუნაიტედი | 35 | 18 | 6 | 11 | 60-40 | 60 |
| 8. საუთჰემპტონი | 36 | 14 | 10 | 12 | 52-45 | 52 |
| 9. ნიუკასლი | 36 | 14 | 4 | 18 | 39-57 | 46 |
| 10. სტოკი | 36 | 11 | 11 | 14 | 39-50 | 44 |
| 11. პალასი | 36 | 13 | 4 | 19 | 28-43 | 43 |
| 12. სუონსი | 36 | 10 | 9 | 17 | 51-52 | 39 |
| 13. ჰალი | 35 | 10 | 7 | 18 | 36-45 | 37 |
| 14. ვესტ ჰემი | 36 | 10 | 7 | 19 | 38-49 | 37 |
| 15. ბრომვიჩი | 35 | 7 | 15 | 13 | 42-54 | 36 |
| 16. ასტონ ვილა | 35 | 9 | 8 | 18 | 36-53 | 35 |
| 17. სანდერლენდი | 35 | 8 | 8 | 19 | 37-57 | 32 |
| 18. ნორვიჩი | 36 | 8 | 8 | 20 | 28-60 | 32 |
| 19. ფულჰემი | 36 | 9 | 4 | 23 | 37-79 | 31 |
| 20. კარდიფი | 36 | 7 | 9 | 20 | 31-69 | 30 |

**ბომბარდირები:** 30 - ლუის სუარესი (ლივერპული), 20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 19 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი),

„ევერტონს" უნიკალური შანსი ჰქონდა სეზონის მე-4 ადგილზე დასასრულებლად, თუმცა ბოლო სამ ტურში ორი მარცხის შემდეგ მერსისაიდელებს იმედი თითქმის გადაეწურათ. „არსენალი", ვინც სოლიდური სხვაობით არის წინ გაჭრილი, დარჩენილ ტურებში ერთი მოგებითაც კი ინალდებს ჩემპიონთა ლიგის საგზურს. ასე რომ, **რობერტო მარტინესის** გუნდს ისევ ევროპალიგის იმედად მოუწევს ყოფნა. სწორედ ამ გარემოებამ და რა თქმა უნდა, „ევერტონი"-"ლივერპულის" ისტორიულმა მტრობამ აფიქრებინა საფეხბურთო მილეთს, რომ ხვალინდელ შეხვედრაში „ლურჯები" მეტოქეს თავს არ შეაკლავენ და ამით თანაქალაქელს საჩემპიონოდ გზას არ გაუთავისუფლებენ. სწორედ ამას ამტკიცებს „ევერტონის" ყოფილი თავდამსხმელი, საფეხბურთო ანალიტიკოსი **ენდი გრეი:** *„ამ თემაზე პიტერ რიდს („მანჩესტერ სიტისა" და „სანდერლენდის" ყოფილი თავკაცი. რედ) ველაპარაკე და აღმოჩნდა, რომ ჩვენი აზრები დაემთხვა. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა „ევერტონის" ფანებისთვის გუნდის წაგება არ იქნება განსაკუთრებულად მტკივნეული, თუნდაც ამით მათ საჩემპიონთალიგო ოცნებებს დაესვას წერტილი. მეორე მხრივ, დარწმუნებული ვარ, რომ მასპინძელი ფეხბურთელები იოლად არ დანებდებიან. თუკი „სიტი" „გუდისონზე" მოიგებს, ჩემპიონიც გახდება. წარმოუდგენელია, მანჩესტერელებმა „ასტონ ვილასთან" ან „ვესტ ჰემთან" დაკარგონ ქულები".*

ამგვარი სცენარი მიუღებელი აღმოჩნდა „ევერტონის" 32 წლის ნახევარმცველის **ლეონ ოსმანისთვის.** ფეხბურთელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი გუნდი „სიტისთან" მაქსიმუმს შეეცდება და ამას გააკეთებს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და არა „ლივერპულის". *„ეჭვიც კი არ შეგეპაროთ, რომ ბოლომდე ვიბრძოლებთ, რადგან პროფესიონალები ვართ და ეს ჩვენი ვალია. „სიტისთან" დაძაბული შეხვედრისთვის ვემზადებით და გამარჯვებას ვგეგმავთ. იქამდე, ვიდრე ჯერ კიდევ გვაქვს თეორიული შანსიც კი, ჩემპიონთა ლიგისთვის ბრძოლას არ შევწყვეტთ. კარგია, რომ ჩვენი თამაშისკენ უზარმაზარი ყურადღება იქნება მოპყრობილი,"* - განაცხადა ოსმანმა „დეილი მეილთან" ინტერვიუში რამდენიმე დღის წინ.

**ლევან ბიბილაშვილი**

იტალია. სერია A. XXXVI ტურის წინ


ენახოთ, ვინ ვის წააქცევს

# მილანური ჯახი

## და ტურინი სკუდეტოს მოლოდინში

## 4 მაისი

**კატანია–რომა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** დესტრო, ნაინგოლანი (რომა).
**ტრავმა:** ალმირონი, ანდუხარი, ბელუში - ბენატია, ტოლოი, ბალცარეტი, სტროტმანი.

ბოლო 6 შეხვედრა: 1-0-5 | 6-0-0

ურთიერთშეხვედრები: სულ 18 თამაში: +9=6-3, (37-19)

**კიევო–ტორინო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჟილე (ტორინო).
**ტრავმა:** ცეზარი, ჰეტემაი, ფრეი - მაზიელო, პასკუალე, ბაშა, ფარნერუდი.

ბოლო 6 შეხვედრა: 2-0-4 | 4-1-1

ურთიერთშეხვედრები: სულ 19 თამაში: +4=7-8, (21-26)

**ჯენოა–ბოლონია 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** პორტანოვა (ჯენოა).
**ტრავმა:** მათუზალემი, ჩენტურიონი, კალაიო, კუჩკა, დე ჩელიე - დელა როკა, პერესი.

ბოლო 6 შეხვედრა: 1-1-4 | 0-2-4

ურთიერთშეხვედრები: სულ 13 თამაში: +5=3-5, (19-17)

**პარმა–სამპდორია 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ფელიპე - მესბა.
**ტრავმა:** ვერგარა, პოცი - ობიანგი.

ბოლო 6 შეხვედრა: 1-1-4 | 2-1-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 29 თამაში: +12=8-9, (36-37)

**უდინეზე–ლივორნო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ბარდი, რინაუდო (ლივორნო).
**ტრავმა:** კელავა, ლაძარი, ბასტა, მაიკოსუელი, დი ნატალე, დომიცი - ლუჩი.

ბოლო 6 შეხვედრა: 1-2-3 | 0-1-5

ურთიერთშეხვედრები: სულ 11 თამაში: +7=2-2, (17-6)

## 5 მაისი

**ლაციო–ვერონა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ედერსონი - დონატი, რომულო, მარტინიო, იტურბე.

ბოლო 6 შეხვედრა: 3-1-2 | 4-0-2

ურთიერთშეხვედრები: სულ 10 თამაში: +5=1-4, (24-21)

**იუვენტუსი–ატალანტა 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** ჩიგარინი (ატალანტა).
**ტრავმა:** კაცოლა, მორალესი, ბრიენცა (ატალანტა).

ბოლო 6 შეხვედრა: 5-0-1 | 2-1-3

ურთიერთშეხვედრები: სულ 32 თამაში: +17=8-7, (56-36)

## 6 მაისი

**ფიორენტინა–სასუოლო 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** მანიანელი (სასუოლო).
**ტრავმა:** ჰეგაზი, როსი, რებიჩი, გომესი - ალექსე, აჩერბი, ბრიგი, ბიანკო, მანფრედინი.

ბოლო 6 შეხვედრა: 6-0-0 | 5-1-0

ურთიერთშეხვედრები: სულ 1 თამაში: +1=0-0, (1-0)

**ნაპოლი–კალიარი 17.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** მაჯო, რაფაელი - ადრიანი, ვეჩინო, ეკდალი, ნენე, კაბრერა.

ბოლო 6 შეხვედრა: 6-0-0 | 5-1-0

ურთიერთშეხვედრები: სულ 27 თამაში: +9=13-5, (34-30)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 35 | 30 | 3 | 2 | 75-23 | 93 |
| 2. რომა | 35 | 26 | 7 | 2 | 71-19 | 85 |
| 3. ნაპოლი | 35 | 20 | 9 | 6 | 64-36 | 69 |
| 4. ფიორენტინა | 35 | 18 | 7 | 10 | 59-37 | 61 |
| 5. ინტერი | 35 | 14 | 15 | 6 | 57-25 | 57 |
| 6. ტორინო | 35 | 14 | 10 | 11 | 54-45 | 52 |
| 7. ლაციო | 35 | 14 | 10 | 11 | 49-47 | 52 |
| 8. ვერონა | 35 | 16 | 4 | 15 | 56-58 | 52 |
| 9. პარმა | 35 | 13 | 12 | 10 | 53-45 | 51 |
| 10. მილანი | 35 | 14 | 9 | 12 | 53-46 | 51 |
| 11. ატალანტა | 35 | 14 | 5 | 16 | 40-47 | 47 |
| 12. სამპდორია | 35 | 12 | 8 | 15 | 43-52 | 44 |
| 13. ჯენოა | 35 | 10 | 10 | 15 | 38-46 | 40 |
| 14. კალიარი | 35 | 9 | 12 | 14 | 34-46 | 39 |
| 15. უდინეზე | 35 | 11 | 6 | 18 | 36-49 | 39 |
| 16. კიევო | 35 | 8 | 6 | 21 | 31-52 | 30 |
| 17. ბოლონია | 35 | 5 | 13 | 17 | 27-55 | 28 |
| 18. სასუოლო | 35 | 7 | 7 | 21 | 34-65 | 28 |
| 19. ლივორნო | 35 | 6 | 7 | 22 | 36-69 | 25 |
| 20. კატანია | 35 | 5 | 8 | 22 | 26-63 | 23 |

**ბომბარდირები:** 21 - ჩირო იმობილე (ჯენოა); 20 - ლუკა ტონი (ვერონა); 19 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი); 17 - გონსალო იგუაინი (ნაპოლი); 15 - როდრიგო პალასიო (ინტერი)

**სერია A-ს 36-ე ტური სამ დღეზეა გაწერილი, ბოლო ორი შეხვედრა კი უჩვეულო დღეს, სამშაბათს გაიმართება. საქმე იმაშია, რომ შაბათს „სტადიო ოლიმპიკოზე" იტალიის თასის ფინალია და შესაბამისად, ყველაზე გვიან თავიანთ შეხვედრებს სწორედ „ფიორენტინა" და „ნაპოლი" ჩაატარებენ. ტურის ცენტრალური მატჩი „სან სიროზე" გაიმართება, სადაც „მილანი" „ინტერს" შეასკდება...**

### დერბი დელა მადონინა

მილანურ გრანდებს საუკეთესო დროება არ უდგათ, მაგრამ მათი დაპირისპირება ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. იყო დრო, მუდმივად „მილანი" იგებდა, ბოლო პერიოდში კი უპირატესობა „ინტერს" აქვს. მიმდინარე სეზონში, ორივე გუნდი ევროპალიგის საგზურისთვის იბრძვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპალიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

და მიზანთან გაცილებით ახლოს „ნერაძურია". თამამად შეიძლება ითქვას, რომ „როსონერისთვის" ეს ბოლო შანსია ევროსაგზურს წაეპოტინოს, „ინტერი" კი მარცხის შემთხვევაშიც მეოთხე ადგილზე დარჩება. მოკლედ, „მილანი" უფრო მოტივირებული უნდა იყოს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ დერბიმ სატურნირო ცხრილი არ იცის.

მწვრთნელები საყვარელ ტაქტიკას არ უღალატებენ: **კლარენს ზეედორფი** 4-2-3-1 სქემას აირჩევს და წინ **მარიო ბალოტელის** გაუშვებს. სუპერმარიოს უკნიდან **რიკარდო კაკა, კეისუკე ჰონდა** და **ადელ ტაარაბტი** დაეხმარებიან. რაც შეეხება „ინტერს", **ვალტერ მაცარი** კვლავ **როდრიგო პალასიოს** და **მაურო იკარდის** ტანდემს დაეყრდნობა. მოახლოებული დერბის პროგნოზირება მართლაც შეუძლებელია და ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ ამ უაღრესად საინტერესო პაექრობას.

## სკუდეტოს მოლოდინში

თუ „იუვენტუსი" საკუთარ მოედანზე „ატალანტას" დაამარცხებს, სკუდეტოს ოფიციალურად მოიპოვებს. დიახ, ამჯერად ტურინელებს აღარ მოუწევთ „რომას" ყურება და მათი მორიგი წარმატება დიდი გამარჯვების ტოლფასი იქნება. **ანტონიო კონტეს** კარგად ესმის, რომ მისი გუნდისთვის გადამწყვეტი მომენტი დგას და მიუხედავად ევროპალიგაზე უმნიშვნელოვანესი პაექრობისა, ბერგამოელებთან დაპირისპირებაზეც გააკეთა კომენტარი:

*„დიდი ბრძოლისთვის ვემზადებით და მჯერა, რომ სასურველ მიზანს მივაღწევთ. რა უნდა იყოს იმაზე უფრო კარგი, როდესაც საკუთარ გულშემატკივრებთან ერთად ჩემპიონობას ზეიმობ. „ატალანტა" მთელი გუნდით ჩადგება დაცვაში და ყურადღებით გვმართებს ყოფნა - თუ ჩავთვლით რომ უკვე ჩემპიონები ვართ, აუცილებლად დავისჯებით; ამიტომ, სრული მობილიზება საჭირო".*

„რომა" „კატანიას" ესტუმრება და შესაძლოა, სიცილიური გუნდი სერია B-ს გაისტუმროს, „ნაპოლი" და „ფიორენტინა" კი თავიანთ შეხვედრებს სამშაბათს გამართავენ - **რაფა ბენიტესის** გუნდი „კალიარის" უმასპინძლებს, **ვინჩენცო მონტელას** სამწყსო კი - „სასუოლოს". საინტერესო მატჩები შედგება ევროპალიგის საგზურებისთვის მებრძოლ გუნდებს შორის, რომში „ლაციო" „ვერონას" უმასპინძლებს.

**ლაშა წიკლაური**

04.05. მილანი
სან სირო
17:00

**მილანი**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +5=0-1 | +2=4-0 |
| ურთიერთშეხვედრები | |
| 47 თამაში: +18=11-18 (66-64) | |

**ინტერი**

სავარაუდო შემადგენლობები




დისკვალიფიკაცია: -
ტრავმა: - ხუან ჟეზუსი

# იუვე შინ დაეცა

**იუვენტუსი-ბენფიკა 0:0 (1:2)**

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - კასერესი, ბონუჩი (73. ჯოვინკო), კიელინი - ლიხტშტაინერი, ვიდალი (78. მარკიზიო), პირლო, პოგბა, ასამოა - ტევესი, ლორენტე (78. ოსვალდო)

**ბენფიკა (4-3-3):** ობლაკი - პერეირა, ლუიზაო, გარაი, გილერმე სიკეირა - ენცო პერესი, რუბენ ამორიმი, გაიტანი (76. სალვიო) - ლ. მარკოვიჩი (86. სულეიმანი), როდრიგო (68. ანდრე ალმეიდა), ლიმა

**არბიტრი:** მარკ კლატენბურგი (ინგლისი)

**გაფრთხილება:** ასამოა – ობლაკი, ენცო პერესი, ენცო პერესი, როდრიგო, სალვიო

**გაძევება:** ენცო პერესი (67. ბენფიკა); ლ. მარკოვიჩი (89. ბენფიკა, სათადარიგოთა სკამიდან); ვუჩინიჩი (89. იუვენტუსი, სათადარაიგოთა სკამიდან)

**კუთხური:** 9-2 **ჯარიმა:** 17-16 **თამაშგარე:** 5-1 **კარში დარტყმა:** 14-3(7-1) **ბურთის ფლობა:** 63%-37%

**მაყურებელი:** 40 775


„ბენფიკა" ხარობს

თითქოს ისე ჩანდა, რომ „ბენფიკას" მთავარმა მწვრთნელმა **ჟორჟე ჟესუსმა** წინა მატჩისგან განსხვავებით, შეტევაში უფრო თამამად თამაში გადაწყვიტა. ყოველ შემთხვევაში, პირველ წუთებში ლისაბონელები აქტიურად გამოიყურებოდნენ და **როდრიგომ** კინაღამ გოლიც გაიტანა, მაგრამ ბურთი **სტეფან ლიხტშტაინერს** მოხვდა. ნელ-ნელა „ბებერმა ქალბატონმა" მეტოქის შევიწროება დაიწყო. „იუვემ" ჯერ ბურთი დაიჭირა და ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა და შემდეგ, ეს სათამაშო უპირატესობაშიც გადაზარდა. ეფექტურად თამაშობდა **პოლ პოგბა**, მაგრამ შედეგი არ ჩანდა... უნდა ვახსენოთ **ანდრეა პირლოს** შორეული გასროლა და **იან ობლაკის** „სეივიც", **არტურო ვიდალის** სახიფათო დარტყმაც და კიდევ ერთი-ორი ასეთი ნახევრადმომენტი. ამის მერე კი, ტურინელებმა რეალური შანსების შექმნა დაიწყეს - **ფერნანდო ლორენტემ კარლოს ტევესს** თავით დაუგდო და არგენტინელის ნახევრადმაკრატელა ცოტათი გადასცდა. „არწივებს" შესვენებამ სულზე მოუსწრო - პირლოს ჩაწოდების მერე, **ლეონარდო ბონუჩის** თავური ასცდა ცოტათი მიზანს. ხოლო პოგბას დახვეწილი გადაცემის შემდგომ, **კვადვო ასამოამ** ცოტა აგრესიულად ჩააწოდა ვიდალისკენ, ჩილელმა იდეალურად ვერ დაარტყა, მაგრამ ბურთი მაინც კარში წავიდა და სტუმართა კაპიტანმა **ლუიზაომ** ის ხაზიდან გამოიტანა.

მეორე ტაიმი „ბენფიკას" მწვავე შეტევებით დაიწყო და როდრიგოს ორი შანსი მიეცა, მაგრამ ჯერ ხელსაყრელი პოზიციიდან გადააცილა, მერე კი **ლაზარ მარკოვიჩის** პასი ცოტა უხეშად მიიღო და ბურთი წინ გაექცა, რის გამოც მას **ჯანლუიჯი ბუფონმა** დაასწრო. ამ მონაკვეთში მოიწყინა **დიეგო Aარმანდო მარადონამაც**, რომელიც ამ შეხვედრას ესწრებოდა და თანამემამულე ტევესს ქომაგობდა. კარლიტო ცოტა პასიური გახდა. ამას პირლოს მზაკვრული ჯარიმა მოჰყვა, მაგრამ ობლაკმა ბურთის მოგერიება შეძლო. მერე კი იყო ეპიზოდი, რომელზეც ბევრი საუბარი იქნება - ვიდალის ჩაწოდებისას ლორენტეს ხელი მარკოვიჩმა შეუშალა, სერბს ბურთი ხელზე მოხვდა, მაგრამ **მარკ კლატენბურგმა** ეს ვერ დაინახა და პენალტი არ დანიშნა. სამაგიეროდ, ინგლისელმა არბიტრმა ცოტა ხანში 10 კაცით დატოვა სტუმრები, როდესაც **ენცო პერესს** მეორე ყვითელი უჩვენა ვიდალთან უხეშობისას. კონტემ უმალვე შეტევა გააძლიერა, ბონუჩი მოხსნა და **სებასტიან ჯოვინკო** გაიყვანა, მაგრამ... რეალური მომენტი „იუვემ" თითქმის ველარ შექმნა, ლისაბონელები თავს კარგად იცავდნენ. გავიდა გოლიც, როცა **კლაუდიო მარკიზიოს** ჩაწოდებისას პოგბამ აკრობატულ ნახტომში დაუგდო ასევე ცვლილებაზე შემოსულ **ოსვალდოს** და მანაც გაიტანა, მაგრამ პოგბაზე ოფსაიდი გახლდათ. ბოლო წამებზე პირლომ ჯარიმა კარგად ვეღარ დაარტყა, ხოლო **მარტინ კასერესისა** და მეტოქის საჯარიმოში ჩასული ბუფონის მცდელობა სტუმრებისთვის სანერვიულო გამოდგა, მაგრამ... ჟორჟე ჟესუსმა „ბენფიკა" ფინალში გაიყვანა და ვერავინ იტყვის დაუმსახურებლადო. საინტერესოა, რომ ორივე მატჩში პორტუგალიელებმა „იუვეს" კარში ზუსტად სულ სამჯერ დაურტყეს და ორჯერ გაუტანეს, ის ერთადერთი ზუსტი დარტყმაც დღევანდელ მატჩში (რომელიც სტატისტიკოსებმა აღმოაჩინეს), სიმართლე ითქვას, ძნელი გასახსენებელია. ჰო, ერთიც: მარკოვიჩის შეცვლის მერე, სათადარიგოთა სკამებს შორის და განსაკუთრებით შეცვლილ ლაზარსა და მინდორზე არგამოყვანილ **მირკო ვუჩინიჩს** შორის დიდი ჩხუბი იყო. შედეგად, კლატენბურგმა ორივე გააძევა. ასე რომ, „ბენფიკამ" გმირულად კი იბრძოლა და ფინალში გავიდა, მაგრამ იქ დისკვალიფიკაციის გამო **სალვიო**, ენცო პერესი და ლაზარ მარკოვიჩი არ ეყოლება, რაც დიდი დანაკლისია. ხოლო **ესეკიელ გარაი** დასისხლიანებული გაიყვანეს და ბოლო 8 წუთი სტუმრებმა სულაც 9 კაცით ჩაატარეს. ვნახოთ, არგენტინელი მაინც თუ მოასწრებს მომჯობინებას 14 მაისისთვის, როდესაც სწორედ „იუვენტუს არენაზე" პირენეულ ფინალს ვიხილავთ - „ბენფიკა"-"სევილია".

**გიორგი პაპაბაძე**

# ანდალუსიური ძაღლის ბედი

**ვალენსია-სევილია 3:1 (0:2)**

**გოლები:** 1:0 ფეგული (14), 2:0 ბეტუ (26-საკ. კარში), 3:0 მატიო (70), 3:1 მბია (90+4)

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟოაო პერეირა, რ. კოშტა, მატიო, ხუან ბერნატი - დანი პარეხო (79. ხავი ფუეგო), ს. კეიტა - ფეგული, ე. ვარგასი, პ. პიატი (62. კარტაბია) - ჟონასი (85. ბარაგანი)

**სევილია (4-2-3-1):** ბეტუ - კოკე, პარეხა, ფასიო, ფ. ნავარო (72. ა. მორენო) - დანიელ კარისო, მბია - ხ. რეიესი (79. მარინი), რაკიტიჩი, ვიტოლო - ბაკა (66. გამეირო)

**გაფრთხილება:** ხუან ბერნატი, ფეგული, დიეგო ალვეში, მატიო — დანიელ კარისო

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 11-19; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 11-8 (4-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%

**მაყურებელი:** 52 000

„მესტალიაზე" მორიგი საოცარი მატჩი გაიმართა, რომელსაც დრამატული, მეტიც ტრაგიკული ფინალი ჰქონდა, თუმცა ფეხბურთში, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, ერთი გუნდის ტრაგედია მეორე გუნდის ბედნიერებას ნიშნავს.

**ლუის ბუნუელის** და **სალვადორ დალის** ცნობილი სიურრეალისტური ფილმის, „ანდალუსიური ძაღლის" ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მომენტი, თვალის კაკლის სამართებლით გაჭრის ეპიზოდია. ეს სცენა ისეთივე უსიამოვნო შეგრძნებას ტოვებს, როგორიც გუშინ „ვალენსიას" ქომაგებს, **სტეფან მბიას** თავურის მერე დარჩებოდათ...

შეხვედრის 90 წუთი ისე მიილია, რომ „ვალენსიას" უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა. „ღამურებმა", მეოთხედფინალის მსგავსად, სტუმარს შანსი არც ამჯერად დაუტოვეს და „ბაზელის" მერე, „სევილიასაც" სამი უპასუხო ბურთი გაუტანეს, თუმცა 94-ე წუთზე ყველაფერი თავდაყირა დადგა - სტუმრებმა აუტი მოაწოდეს, მეტოქის საჯარიმოში ჩასულმა **ფედერიკო ფასიომ** „მეორე სართულზე" ორთაბრძოლა მოიგო და მეკარის საჯარიმოში პასი გააკეთა, სადაც მის გადაცემას მარტოდ დარჩენილი მბია გამოეხმაურა, ვინც ასევე თავით ითამაშა და „სევილია" ფინალში გაიყვანა.

შეგახსენებთ, რომ კამერუნელმა ნახევარმცველმა „ვალენსიას" პირველ შეხვედრაშიც გაუტანა, როდესაც აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში მყოფმა ქუსლით დაარტყა და ანგარიში გახსნა. ისე, არბიტრის ის შეცდომა რომ არა, შეიძლება ფინალში არა „სევილია", არამედ „ვალენსია" გასულიყო. ასეა თუ ისე, 27 წლის ფეხბურთელი 1/2 ფინალის გმირი გამოდგა...

მატჩის პირველი წუთები მასპინძელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, რამაც შედეგი ძალიან მალე გამოიღო. „სევილიამ" პირველ შეხვედრაში მოპოვებული ორბურთიანი ჰანდიკაპი 26 წუთში გაანიავა. შეხვედრის მე-14 წუთზე, **ედუ ვარგასმა** და **სოფიან ფეგულიმ** ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ალჟირელის ცრუმოძრაობით და დარტყმით დასრულდა. **ბეტუმ** რეაგირება კი მოახერხა, მაგრამ ფეგულის დარტყმის შემდეგ ადგილი მცირე რიკოშეტსაც ჰქონდა, რამაც პორტუგალიელი კარის დარაჯი დააბნია — 1:0.

პირველი გოლის შემდეგ, **ხუან ანტონიო პიცის** გუნდს უკან არ დაუხევია და შედეგად, მასპინძლებმა მეორეც გაიტანეს - **ჟონასის** თავურის შემდეგ ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, შემდეგ კი ბეტუს და კარში ისე აღმოჩნდა. მატჩის ამ მონაკვეთში „ღამურების" უპირატესობა ძალიან დიდი იყო, მაგრამ მეორე გოლმა პიცის შეგირდები დაამშვიდა.

მეორე ტაიმში ორივე გუნდი ფრთხილად თამაშობდა და საგოლე მომენტიც პრაქტიკულად არ იქმნებოდა. 70-ე წუთზე კი „ვალენსიამ" კუთხურის მოწოდების უფლება მიიღო, რომელიც მესამე გოლით დასრულდა - **რიკარდო კოშტას** პასით **ჟერემი მატიომ** იხეირა - 3:0. ამის შემდეგ, მასპინძლებმა უკან დაიხიეს და „სევილიას" დიეგო ალვეშის შეწუხების შანსი არ დაუტოვეს.


სიხარული და იმედგაცრუება - ეს წამია სტეფან მბიამ (№40) გადამწყვეტი გოლი გაიტანა

ბოლო წამებზე განვითარებული მოვლენების შესახებ კი თავშიც ვისაუბრეთ - „მესტალიაზე" შეკრებილი პუბლიკა გონებაში უკვე ტურინში გასამგზავრებელ ხარჯებს ითვლიდა, როდესაც **უნაი ემერის** გუნდმა აუტის მოწოდების უფლება მიიღო და ფედერიკო ფასიო მეტოქის საჯარიმოსკენ დაიძრა...

„სევილია" ევროპალიგის (უეფას თასის) ფინალში მესამედ გავიდა. წინა ორი ფინალი (2005/06 და 2006/07 სეზონებში) ანდალუსიელებს მოგებული აქვთ და თუ **ბელა გუტმანის** „წყევლა" ამჯერადაც იმოქმედებს, სევილიელები ჰეთთრიქსაც შეასრულებენ.

**ტატო ბაციკაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ვალერი ლიპარტელიანთან

# ფრანგების დამაღონებელი



ვალერი ლიპარტელიანი

ვალერი ლიპარტელიანი (90) ძიუდოისტთა ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ ვარსკვლავად იქცა, იმდენად დამაჯერებლად მოიგო ეს მნიშვნელოვანი ტურნირი. არადა, სულაც არ იყო ფორმაში, რადგან მთელი მოსამზადებელი ციკლი ნატკენი ფეხით ჩაატარა და სრულყოფილად ვერ ვარჯიშობდა. სამაგიეროდ, ამ გამარჯვებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი. მონპელიეში ის მეხუთედ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში და მეორედ გახდა კონტინენტის ჩემპიონი. ამასთან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა გუნდური ტურნირის მოგებაში. იქ სამიდან ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივეში იმარჯვა, თუმცა თავისი მნიშვნელობით ფასდაუდებელი იყო ნახევარფინალში რომაინ ბუფესთან გამარჯვება – გარდა იმისა, რომ მეტოქე მთელი თავით აღემატებოდა სიმაღლეში, თან პირადში არ უჭიდავია, ხოლო ქართველს დაღლილობა ეტყობოდა, იუკოთი მოუგო, რითაც მასპინძელთა უძლიერეს ნაკრებთან ვადამდელი გამარჯვება მოგვიტანა. ეს უძნელესი პაექრობა იყო, თორემ მისი წაგების შემთხვევაში მძიმე წონაში ტედი რინერთან შანსი თითქმის არ გვქონდა. ლიპარტელიანს ამ შეჯიბრების შესახებ ვესაუბრეთ.

**- ტურნირს ტრავმირებული შეხვდით, თუმცა ამას ჩემპიონობაში ხელი არ შეუშლია...**

- პრობლემები მართლაც იყო. მოგეხსენებათ, პარიზის ტურნირზე ფეხი ვიტკინე და აქტიურად ვარჯიშს ვერ ვახერხებდი, ხშირად მიწევდა გეგმიდან გადახვევა. ამის გამო, ფორმაში ვერ ვიყავი, მაგრამ მაინც გავიმარჯვე. მეორედ გავხდი ჩემპიონი და აქედან გამომდინარე, კმაყოფილი ვარ შეჯიბრებით. მსოფლიოს პირველობისთვის ეს ფორმა საკმარისი არაა, მეტია საჭირო. ტრავმა მთლიანად მოვიშუშე, აღარ მაწუხებს და შევეცდები, მსოფლიოს პირველობიდანაც ასეთივე შედეგით დავბრუნდე.

**- ამ ტრავმებიდან, ამ პრობლემებიდან გამომდინარე, რომლის საპირწონედაც იყო მაღალი კლასი, საინტერესოა, ჩემპიონატის წინ რას გეგმავდით?**

- ყველაფრის მიუხედავად, მაინც მხოლოდ ჩემპიონობას ვგეგმავდით. ევროპის ჩემპიონატში მეექვსედ გამოვდიოდი და მედლის გარეშე არც ერთიდან არ დავბრუნებულვარ. ყოველთვის ფავორიტად მივიჩნეოდი და ახლაც ასე იყო. მეტოქეზე ესეც მოქმედებს და მეც მიხარია, როცა ლიდერად მიმიჩნევენ. ამ ტურნირის წინ ცნობილი გახდა, რომ არ იჭიდავებდნენ ძირითადი კონკურენტები – რუსი კირილ დენისოვი და ბერძენი ილიას ილიადისი, თუმცა მერჩივნა, მათაც ესპარეზათ – რაც უფრო კონკურენტუნარიანია ჩემპიონატი და რაც მეტი ლიდერი მონაწილეობს, შეჯიბრებაც მით უფრო საინტერესოა.

**- ცალკეული შეხვედრებიდან რომელს გამოარჩევთ?**

- ლიტველ კაროლის ბაუზასთან შეხვედრას გამოვარჩევ, რომელიც ფიზიკურად ძალიან ძლიერია. მეოთხედ მომიწია მასთან შეხვედრამ და ყველა მოვუგე, დადებითი ბალანსი მაქვს, მაგრამ ამჯერად ჩემივე შეცდომით გდება გავუშვი, თუმცა მაინც მოვუგე - ჩოქბჯენში ჩავიყვანე და შევბოჭე. ეს ჩემი ტაქტიკა იყო.

**- კარგია, რომ ჩოქბჯენი ისევ აქციეთ ერთ-ერთ კოზირად...**

- უკვე მართლაც ისე ვარ, ვისაც კი ჩავყვები ჩოქბჯენში – რუსი იქნება თუ სხვა ქვეყნის წარმომადგენელი, ყველა გამირბის. ახლაც თუ გადავხედავთ კადრებს, ნახევარფინალში უნგრელი კრისტიან ტოტიც და ფინალში რუსი კირილ ვოპროსოვიც ცდილობდნენ, ხაზს გარეთ გასულიყვნენ, მსაჯს შეხვედრა რომ გაეჩერებინა.

**- ფინალში მოგება თითქოს არ გაგჭირვებიათ.**

- ფინალს ყოველთვის დამატებითი დატვირთვა ახლავს. აქედან გამომდინარე, ვცდილობდი, ტაქტიკურად წარმემართა შეხვედრა და ყურადღება არ გამემახვილებინა ლამაზ გდებაზე, იპონით მოგებაზე. ვფიქრობ, შეხვედრა სწორად წარვმართე, როგორც დამიგეგმეს მწვრთნელებმა.

**- წინ მსოფლიოს ჩემპიონატია. როგორ ფიქრობთ, რამდენად სერიოზული რეფორმა გჭირდებათ მოსამზადებელ გეგმაში?**

- სერიოზული რეაგირება რამდენადაა საჭირო, ამაზე მწვრთნელებმა უნდა გიპასუხონ – შორიდან ვინც უყურებს ამ ყველაფერს, ის უფრო ხედავს, რაა გამოსასწორებელი, ხარვეზი და რა კუთხითაა სამუშაო. ვფიქრობ, მეტი ფიზიკური მომზადება გვჭირდება. არ ვიტყვი, რომ ვინმესთან გამიჭირდა, მაგრამ მსოფლიოზე მეტია საჭირო.

**- გუნდურ ტურნირზე რას იტყვით?**

- გუნდური შეჯიბრება მართლაც სხვა ფენომენია. რუსებმა თქვეს, მერამდენედ უნდა ვიდგეთ მეორე ადგილზე, ეს ვერცხლის მედლები მოგვბეზრდა უკვეო. მეტოქეები დათრგუნულები გამოდიან ჩვენთან საჭიდაოდ. შეგუებულები არიან იმ აზრს, რომ შანსი არ აქვთ. ეს ძალიან სასიხარულოა, თუმცა ამას უფრო მეტი ყურადღება და დაფასება სჭირდება. აი, ზედიზედ მესამედ გავხდით ევროპის ჩემპიონები, ძიუდოს ევროპულმა ფედერაციამ შარშანდელი სეზონის საუკეთესო გუნდად დაგვასახელა, მაგრამ დარბაზი არ გვაქვს სავარჯიშოდ.

**- ფრანგებთან დაძაბული შეხვედრა გქონდათ, ფაქტობრივად – ნაადრევი ფინალი.**

- ეს მართლაც დაძაბული შეხვედრა იყო. ფრანგებს ძალიან უნდოდათ, 2011 წლის შედეგი გაემეორებინათ, როცა გუნდურში ვაჟებშიც და ქალებშიც ჩემპიონები გახდნენ, მაგრამ ამის განხორციელებაში ხელი შევუშალეთ, გავუწბილეთ იმედები სპორტსმენებსაც და ქომაგებსაც. ძალიან დაღონებულები იყვნენ.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. პრესკონფერენცია

# ისევ დარბაზის ძებნაში



მარცხნიდან: თამაზ თევზაძე, ლევან ყიფიანი, ირაკლი უზნაძე

გუშინ ევროპის ჩემპიონატიდან წარმატებით დაბრუნებულ ძიუდოისტებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანიც** შეხვდა. პრესკონფერენციას ძიუდოს ნაკრები კიდევ უფრო სრული შემადგენლობით ესწრებოდა, ვიდრე გუშინწინ საკუთრივ ფედერაციაში გამართულ ანალოგიურ შეხვედრას. სამაგიეროდ, არ ყოფილა ფედერაციის პრეზიდენტი **დავით ქევხიშვილი**. როგორც გუშინწინ, ახლაც წარმატებაზე მეტად ძირითად სასაუბრო თემად უდარბაზოდ და უბაზოდ დარჩენილი ნაკრები იქცა, თუმცა სარემონტოდ დაკეტილი ძიუდოს აკადემიიდან ფედერაციაც გამოსახლებაზეა.

ცხადია, გვერდი არც მონპელიეში მიღწეულ წარმატებას - გუნდურში გამარჯვებასა და პირადში მოპოვებულ 2-2 ოქრო-ვერცხლს აუარეს. პრესკონფერენციის დასაწყისში ძიუდოისტებს ასეთი გამოსვლა მინისტრმა მიულოცა, რომელიც ტურნირს არ დასწრებია, რადგან იმ პერიოდში ბაქოში იმყოფებოდა სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონფერენციაზე. სამაგიეროდ, იქიდან პირდაპირ კავშირზე ყოფილა მონპელიეში მყოფ თავის მოადგილე **თამაზ თევზაძესთან**. გუნდურის მოგების შემდეგ, როცა სიხარული საჯაროდ გამოუხატავს, აზერბაიჯანის მინისტრს გაჰკვირვებია, ჩვენ ერთი ვერცხლი მოვიპოვეთ და იმას ვაპიარებთ ამდენი ხანიო (სინამდვილეში, იქაურებმა ორი მედალი ირგუნეს - თითო ვერცხლი და ბრინჯაო). მისივე ინფორმაციით, ეს წარმატება გუშინ დილით მთავრობის სხდომაზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილსაც** აღუნიშნავს.

ნაკრების გამოსვლასა და სამომავლო გეგმებზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** ისაუბრა:

*„გუნდი კარგად გამოვიდა პირადშიც და, განსაკუთრებით - გუნდურში. ამ რანგის ტურნირზე პირადში მოპოვებული 4 მედალი დიდი წარმატებაა, ხოლო გუნდურში ძლიერი ბრძოლა გვქონდა ნახევარფინალში ფრანგებთან. მათთან ბიჭებმა ძალიან კარგად იჭიდავეს და მეტოქეებთან ერთად მსაჯებსაც აჯობეს. ფინალში, ტრადიციულად რუსებს მოვუგეთ - 4:1. ყველას გილოცავთ ამ წარმატებას. ახლა ბიჭები ერთი კვირა დაისვენებენ და მერე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შევუდგებით მზადებას. ჩავატარებთ ერთობლივ შეკრებებს, გამოვალთ რამდენიმე ტურნირში, აგვისტოში კი მსოფლიოს ჩემპიონატია“.*

მთავარ თემას რაც შეეხება, როგორც გაირკვა, ჯერ სათადარიგო დარბაზიც არაა შეგულებული. ძიუდოს აკადემიის სამომავლო ბედს რაც შეეხება, მინისტრი დაჰპირდა სპორტსმენებს, რომ შეეცდება, იქაურობა ფედერაციას დარჩეს. ყიფიანმა ძიუდოს სასახლის მშენებლობაზეც ილაპარაკა. მისი თქმით, ეს მშენებლობა მართლაც იგეგმებოდა და ინვესტორიც შერჩეული იყო, თუმცა მან ვერ შეძლო ამის განხორციელება. შეჩერების მიზეზიც ეს გახდა, თუმცა თურმე საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მინისტრის თქმით, მიმდინარეობს ახალი სპონსორის ძიება და თან ლაპარაკია არა მარტივი ტიპის დარბაზზე, არამედ თანამედროვე სპორტულ კომპლექსზე, რომელშიც დარბაზის გარდა, იქნება სამკურნალო, სარეაბილიტაციო, გამაჯანსაღებელი სექტორები და თანამედროვე სპორტისთვის აუცილებელი ატრიბუტიკით აღჭურვილი.

მინისტრმა იმის პირობაც დადო, რომ ძიუდოისტებს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებაში ხელი არ შეეშლებათ. ამ საკითხის განსახილველად, თუ სად ივარჯიშებს გუნდი, პრესკონფერენცია მედიისთვის დაიხურა და სათათბიროდ მინისტრი გუნდთან ერთად დარჩა. როგორც მისმა მონაწილეებმა გვითხრეს, თურმე სპორტსმენებს სახელმწიფო კანცელარიის დარბაზი შესთავაზეს. ძიუდოისტებმა იქაურობა გუშინვე მოინახულეს და მოეწონათ კიდეც, მაგრამ გადაუჭრელ პრობლემად იქცა შენობაში შესვლის, საშვების საკითხი - გუნდი ხომ ის 9 კაცი არაა, ვინც ნაკრებში ხვდება, თავის მწვრთნელ-დამხმარე პერსონალიანად დაახლოებით 50 კაცზეა ლაპარაკი. აი, სწორედ ეს ციფრი გახდა პრობლემა.

ამდენად, დარბაზის ძებნა ჯერ ისევ გრძელდება, მანამ კი ძიუდოისტები კვლავაც თავის ძველ ბაზაზე მოემზადებიან ვაკეში, ძიუდოს ყოფილ ცენტრალურ დარბაზში, რომელიც ამჟამად სამბოს ეკუთვნის.

**ირაკლი თავაძე**

პარლამენტი

*საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტი (თავმჯდომარე - ოლიმპიური ჩემპიონი **ლერი ხაბელოვი**, პირველი მოადგილე - ოლიმპიური ჩემპიონი **შოთა ხაბარელი**) კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში აქტიურადაა ჩართული ჩვენს ქვეყანაში სპორტის განვითარებისა და მისი სოციალური ფუნქციის ამაღლების საქმეში. ახალი მოწვევის პარლამენტის ზემოხსენებულ კომიტეტს დღემდე არაერთი აქტუალური საკითხი აქვს განხილული. რედაქცია დაუკავშირდა კომიტეტის ხელმძღვანელებს და სთხოვა „ლელოს“ მეშვეობით გაეხადათ საჯარო განხილული საკითხები, რაზედაც თანხმობა სიამოვნებით მივიღეთ. ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს როგორ რეაგირებენ ჩვენს საკანონმდებლო ორგანოში ქართული სპორტის პრობლემებზე და როგორია გადაწყვეტილებების შედეგები.*

*დღეიდან დროდადრო შემოგთავაზებთ პარლამენტიდან მიღებულ ინფორმაციებს.*

## ჩოგბურთმა თავი პარლამენტიდანაც შეგვახსენა

საქართველოში ჩოგბურთის პრობლემებს საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტმა სპეციალური სხდომა მიუძღვნა. გამოირკვა, რომ ფედერაციას არ გააჩნია ოფისი; არასაკმარისია კორტები, კომუნალური გადასახადების დიდი ტარიფი, რაც გათანაბრებულია კომერციულ ფირმებთან; ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ასპარეზობების დასაფინანსებლად არასაკმარისია თანხები, ამასთან გამოითქვა სინანული ჩვენში ჩოგბურთის არასათანადო პროპაგანდასთან დაკავშირებით. დაისვა საკითხი კანონში „სპორტის შესახებ“ ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე.

კომიტეტმა წერილით მიმართა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს. სამინისტრომ გატარებული ღონისძიებების შესახებ კომიტეტს გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს.

**ქართული სპორტის რედაქცია**

საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია, ვეტერანი წყალბურთელები, თანაგრძნობას უცხადებენ ცნობილ ვეტერან წყალბურთელს და მწვრთნელს ჯუმბერ წიკლაურს ძმის, **ნოდარ წიკლაურის** გარდაცვალების გამო.

სუმო

# აქუბარდიას ევროპული ბრინჯაოები

23-წლამდელ სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატს აპრილის მიწურულს პოლონეთის დედაქალაქმა უმასპინძლა. ვარშავაში ქართველთაგან მხოლოდ **ზურაბ აქუბარდიამ** იასპარეზა. იგი სამი წელიწადია, კონტინენტის პირველობებზე გამოდის. 2012 წელს მან 18-წლამდელებში პირადი პირველობა მოიგო. შარშანაც ამავე ასაკში ოქროს მედალი დაიმსახურა, ოღონდ გუნდურში **გიგა გელაშვილსა** და **ზაზა ხუბულურთან** ერთად. წლეულს ევროპაზე მხოლოდ ზურაბი გაემგზავრა, რადგან გელაშვილმა ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის გამო ვიზის გაფორმება ვერ მოასწრო, ხუბულური კი რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად.

აქუბარდიამ ვარშავაში ორი ბრინჯაო დაიმსახურა: -115 კილოში მან ზედიზედ სძლია პოლონელ სტარჩევსკის და აზერბაიჯანელ ამადოვს, ნახევარფინალში რუს ბეროევთან დამარცხდა, სამაგიეროდ, მესამე ადგილისთვის პაექრობაში უკრაინელ ევდოკიმოვს აჯობა.


ზურაბ აქუბარდია

მეორე ბრინჯაო ზურაბმა აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მოიპოვა... ქართველმა სუმოისტმა თავიდან აქაც ორი ორთაბრძოლა მოიგო ნორვეგიელ და ესტონელ მეტოქეებთან. ნახევარფინალი რუს ბარაზდოვთან (იგი ევროპის ჩემპიონი გახდა) წააგო, თუმცა კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე მაინც ავიდა პოლონელი როზუმის ძლევით.

- ამჟამად ჩვენი სუმოისტები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ეს შეჯიბრება 12-16 ივნისს სოფიაში გაიმართება. ბულგარეთის დედაქალაქში წამსვლელთა ვინაობა უფროსებში ცნობილია: მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში ლევან ბერიანიძე და ავთანდილ ცერცვაძე იჭიდავებენ, -115 კილოში გიორგი მეშვილდიშვილი მოსინჯავს ძალებს, ხოლო სამივე სპორტსმენი გუნდურშიც იბრძოლებს მედლებისთვის. რაც შეეხება 18-წლამდელთა პირველობას, ამ ასპარეზობისთვის რამდენიმე სპორტსმენი ემზადება. ვარშავაში წამსვლელი სამი საუკეთესოს ვინაობა 8 მაისისთვის გახდება ცნობილი, - გვითხრა სუმოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ რუხაძემ.

აქვე დავძენთ, რომ მოყვარულ სუმოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი აგვისტოს მიწურულს ტაივანში გაიმართება.

ვაჟა დანელია

ხელბურთი

# ემზადებიან

საქართველოს 16 და 20-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდები მომავალი შეჯიბრებებისთვის ემზადებიან. 16-წლამდელები ამჟამად დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე გადიან წვრთნას. ისინი მაისის პირველ დეკადაში უკრაინის საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებენ, იქიდან დაბრუნებულები კი 15 მაისს სახელოვანი ქართველი ხელბურთელის - **ჯემალ ცერცვაძის** სახელობის ტურნირში მოსინჯავენ ძალებს. ორი დღის წინათ ჩვენი ბიჭები 20 წლის ხელბურთელებით დაკომპლექტებულ აზერბაიჯანის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. მასპინძლებმა შემართებით ჩაატარეს მატჩი და წარმატებას მიაღწიეს - 30:17. მეორე დღეს სტუმრებმა რამდენიმე მოთამაშით გააძლიერეს გუნდი და სასპორტო კომპლექს „არენაში“ ქართველ თანატოლებს შეხვდნენ. პირველი ტაიმი 15:14 მოიგეს. შესვენების შემდეგ **ბექა ორჯონიკიძისა** და **ლევან გელაშვილის** შეგირდებმა პაექრობაში გარდატეხის შეტანა შეძლეს და 29:26 გაიმარჯვეს. სამწუხაროდ, ამ ორთაბრძოლაში ტრავმა მიიღო საქართველოს ნაკრების მარცხენა გარემარბმა **ზურაბ აბრამიშვილმა**. ჯერჯერობით უცნობია, მოასწრებს თუ არა იგი გამოჯანმრთელებას 20 მაისისთვის, როცა ჩვენი გუნდი ანდორაში გაემგზავრება IHF მსოფლიოს თასის ევროპის ზონალური ტურნირის სათამაშოდ.

ვაჟა დანელია

პრობლემა. ვინ უპასუხებს?

# დევს თუ აღარ დევს ოლიმპიური მედალი მოსწავლის ჩანთაში?

ამდღეებში რედაქციაში მოგვაკითხა უმაღლესი განათლების სპორტის ახალგაზრდა სპეციალისტმა და გულისტკივილით შემოგვჩივლა: მინდა სკოლაში ბავშვებთან მუშაობა, მაგრამ ვერსად გავარკვიე, სად სჭირდებათ სპეციალისტი სკოლაში. თანახმა ვარ წავიდე რაიონში, თუნდაც სოფელში და ვემსახურო მოზარდთა ფიზიკურ აღზრდასო.

ამ ახალგაზრდა სპეციალისტის მოსწავლეობის დროს ასე იყო: განათლების სისტემის ყველა რგოლში, დაწყებული სამინისტროდან რაიონის განათლების განყოფილებით დამთავრებული, ყველგან მუშაობდა კადრი, რომელსაც მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის და ბავშვთა სპორტის სისტემის კოორდინაცია და გამართული მუშაობის ხელმძღვანელობა-კონტროლი ევალებოდა. მკაცრად აღირიცხებოდა კადრები და სკოლებში ნაწილდებოდნენ მოთხოვნის შესაბამისად.

ბოლო წლებში სულ აიბურდა ყველაფერი. ამ სფეროში მწყობრი სისტემა დაინგრა, სანაცვლოდ კი დიდი სურვილი დარჩა აჩრდილად. იმის ნადილი, რომ ამერიკის კოლეჯებს გავტოლებოდით, ძირითადად პიარად დარჩა. შესაძლებლობების გაუთვალისწინებლობამ სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა - ბევრგან სკოლებიდან თითქმის განიდევნა ფიზიკური კულტურის, გნებავთ, სპორტის ანბანის სწავლება. დავასამარეთ სიბრძნე იმის შესახებ, რომ „ოლიმპიური მედალი მოსწავლის ჩანთაში დევს“. ჰკითხეთ, ვეტერან ოლიმპიურ ჩემპიონებს საიდან და როგორ დაიწყო მათი სპორტთან ურთიერთობა, როგორ გადაიდგა პირველი ნაბიჯები. იმავეს გეტყვიან სხვა ჩემპიონებიც.

ასე რომ, კითხვა დაისვა, ვინ უპასუხებს.

„ლელოს“ ქართული სპორტის რედაქცია

**P.S.** თქვენც გაწუხებთ რამე პრობლემა? დაგვიკავშირდით, მოგვმართეთ „ლელოს“ ბოლო გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული ნებისმიერი საკონტაქტო საშუალებით.

ჩოგბურთი


მარცხნიდან - სოფიო შაფათავა, სოფიო ქვაცაბაია, ოქსანა კალაშნიკოვა, მაკა ჩახნაშვილი და ეკატერინე გორგოძე

# 11 საფეხურით დაწინაურდა

ამას წინათ შიაულიაიში (ლიტვა) საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებმა (**სოფიო შაფათავა, ოქსანა კალაშნიკოვა, ეკატერინე გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია, კაპიტანი - მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი**) ფედერაციის თასზე მეორე ევროაფრიკულ ზონაში ოთხი გუნდი (ბოსნია-ჰერცეგოვინა, სამხრეთი აფრიკა, ეგვიპტე და ფინეთი) დაამარცხა და პირველ ჯგუფში აღზევდა. ამ წარმატებამ ჩვენი ნაკრები მსოფლიო კლასიფიკაციაში 11 საფეხურით აღაზევა და ამჟამად მე-40 ადგილი უკავია. განსაკუთრებით კი ლიხტენშტეინელებმა იყოჩაღეს - წინ 33 საფეხურით წაიწიეს. ამ ქვეყნის ქალთა გუნდმა საქართველოსთან ერთად პირველ ევროაფრიკულ ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვა.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# საუკეთესო ათეულში ერთი ქართველია

## სამაისო რეიტინგი

ფიდემ საპირველმაისოდ მოჭადრაკეთა ტრადიციული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალთა საუკეთესო ასეულს სათავეში უდგას უნგრელი იუდით პოლგარი 2685 პუნქტით. ათეულში შემდეგ მოდიან: ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2629), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2613), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2561), **ნანა ძაგნიძე** (2541), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2540), ჟაო სიუე (ჩინეთი, 2538), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2532), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2526) და ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2525). ასეულში, ძაგნიძის გარდა, არიან: 12. **ბელა ხოტენაშვილი** (2518), 27. **ლელა ჯავახიშვილი** (2475), 34. **ნინო ხურციძე** (2460), 39. **სალომე მელია** (2454), 57. **ნინო ბაციაშვილი** (2417), 67. **მერი არაბიძე** (2406), 72. **სოფიკო გურამიშვილი** (2396), 87. **თამარ წერეთელი** (2375), 92. **მაია ლომინეიშვილი** (2366).

ვაჟთა ასეულის ლიდერია მსოფლიოს ჩემპიონი მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2882). მას საგრძნობლად ჩამორჩება სომეხი ლევონ არონიანი (2815), რომელსაც მეორე საფეხური უკავია. 3. ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2792), 4. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2785), 5. ფაბიანო კარუანა (იტალია, 2783), 6. ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2783), 7. ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2772), 8. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2772), 9. სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2770), 10. ლეინიერ პერეს დომინგესი (კუბა, 2768).

ქართველთაგან საუკეთესო ასეულში ერთადერთია **ბაადურ ჯობავა**. 2712 პუნქტით მას 35-ე ადგილი უკავია. 20-წლამდელ გოგონათა ასეულში მეხუთე ადგილზეა **მერი არაბიძე** (2406). **მარიამ დანელიას**, რომელიც ერთი წელიწადია ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს და აქტიურ ჭადრაკს, ფაქტობრივად, ჩამოშორდა, 2237 პუნქტით 32-ე ადგილი უკავია. ამ ასაკის ვაჟთა საუკეთესო ასეულში არავინ გვყავს.

ვაჟა დანელია


ნანა ძაგნიძე


დავით ბენიძე

# ბენიძე ყველაზე სწრაფია

ცხრა შესაძლებლიდან რვა ქულა - ასეთი მაჩვენებლით დაასრულა გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოჭადრაკე ვაჟთა გრან პრის პირველი ეტაპი ბლიცში დიდოსტატმა **დავით ბენიძემ**, რამაც მას პირველი ადგილი მოუტანა. ბენიძემ შვიდ მეტოქეს (**სერგო ცომაიას, ავთანდილ გიორგაძეს, ზურაბ ჯავახაძეს, დავით ჯოჯუას, ლუკა პაიჭაძეს, მალხაზ სულაშვილს** და **ბაჩანა მორჩიაშვილს**) სძლია, მეექვსე და მეცხრე ტურებში, შესაბამისად, საერთაშორისო ოსტატ **შოთა აზალაძესა** და დიდოსტატ **ლაშა ჯანჯღავას** დაუზავდა და მთავარი პრიზიც (259 ლარი) დაისაკუთრა. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა რაპიდში პირველ ეტაპზე უძლიერესი შოთა აზალაძე. 7 ქულით მესამე ადგილი საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლაშა ჯანჯღავამ დაიკავა.

ვაჟა დანელია

კალათბურთი. ქართველი თურქეთში



# გალა მეოთხეა

თურქეთის ჩემპიონატის რეგულარული ეტაპის დასრულებამდე ერთი ტური დარჩა. **მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაიმ“ შინ „ოლინ ერდინე“ 93:78 დაამარცხა და მეოთხე პოზიციაზე დამკვიდრდა.

მანუჩარმა შეხვედრა სასტარტო ხუთეულში დაიწყო, 17 წუთში 7 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი და 1 ჩაჭრა მოინაგრა. მის ანგარიშზე 4-დან 2 ორქულიანი და 3-დან 1 სამიანია.

რეგულარული ეტაპის ბოლო ტურში, 4 მაისს „გალა“ „უსაკს“ მიიღებს.

ვაჟა სიმონიშვილი

## გვილოცავენ...

განუზომელია გაზეთ „ლელოს“ დამსახურება ქართული სპორტისა და სპორტის ქომაგების წინაშე. მარტო ის რად ღირს, რომ ეს გაზეთი სპორტის მემატიანეა და შთამომავლობას უსასრულოდ გაუცოცხლებს ჩვენი სპორტის დიდებას და ამ დიდების შემოქმედთა სახელებს. მეამაყება, რომ „ლელოს“ მკითხველებმა მე გამიცნეს არა მხოლოდ როგორც სპორტსმენი, არამედ, როგორც პუბლიკაციათა ავტორიც და მომეცა სტიმული გამომეცა რამდენიმე წიგნი.

ჩვენ, ყველანი, ბედნიერები ვართ, რომ ასეთი ისტორიული, თაობათა საყვარელი გაზეთი გვაქვს.

გილოცავთ!

გურამ სალარაძე
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში



ლეგიონერები

# მაშინ, როცა წაგებაც სასურველია


ჯაბა ბრეგვაძე მეტოქეების მარწუხებში

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშება მომავალ უქმეებზე დასრულდება. უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ მორაგბეთა ოთხ გუნდს პლეი ოფის საგზური მოპოვებული აქვს. ესენი არიან: „ტულონი", „მონპელიე", „კლერმონი" და „მეტრო რასინგი".**

ურთულესი სიტუაციაა სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხურებზე. აქ ერთი გუნდი, ბასკური „ბიარიცი" უკვე გავარდნილია. ერთბაშად სამ გუნდს კი თანაბარი, 50-50 ქულა დაუგროვდა. მათ შორისაა ქართველი შერკინების ბურჯის **გიორგი ჟღენტის** „პერპინიანიც". კატალონიელებმა სეზონი კარგად დაიწყეს, მაგრამ რეგულარული გათამაშების მიწურულს მათ რიგებში რაღაც მოიშალა. ერთი ხანობა, ტრავმის გამო ჟღენტიც არ თამაშობდა, რაც გუნდის შერკინებას აშკარად დაეტყო.

„პერპინიანი" ბოლო ტურში სტუმრად ეთამაშება **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონს". „ვულკანებმა" პლეი ოფი კი გაინაღდეს, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში შანსი აქვთ, პირველ ან მეორე ადგილზე დაასრულონ რეგულარული ჩემპიონატი, რაც გუნდს საშუალებას მისცემს პირდაპირ ნახევარფინალში იასპარეზოს. თანაც, „კლერმონს" საკუთარ მოედნზე ორ წელიწადზე მეტია არ წაუგია და, სავარაუდოდ, არც „პერპინიანს" დაუთმობს რამეს.

კატალონიურ გუნდს მხოლოდ იმისთვის შეუძლია იბრძოლოს, რომ შვიდი და ნაკლები ქულით წააგოს, რათა ერთი პრემიალური ქულა აიღოს. იმ შემთხვევაში, თუ მისი კონკურენტებიდან ერთ-ერთი, „ოიონაქსი" ან „ბაიონი" ისე დამარცხდება, რომ პრემიალურ ქულას ვერ მოიპოვებს, მაშინ პირველ დივიზიონში დარჩება.

თუმცა, „პერპინიანის" პირველი დივიზიონიდან გავარდნა შესაძლოა ჟღენტისთვის კარგიც იყოს, რადგან მისი მიწვევა ფრანგული რაგბის გრანდს, „ტულუზს" სურს. ჩვენებურმა კი კატალონიურ კლუბში ხელშეკრულების მიხედვით კიდევ სამი წელიწადი უნდა ითამაშოს. თუ „პერპინიანი" გავარდება ჟღენტს „ტულუზში" გადასვლა გაუადვილდება. ამის შანსი კი საკმაოდ დიდია.

კიდევ ერთი ბასკური გუნდი „ბაიონი", რომელსაც „პერპინიანის" მსგავსად 50 ქულა აქვს, შინ ეთამაშება მოქმედ ჩემპიონს, **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს", რომელსაც ასევე ჰაერივით სჭირდება გამარჯვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, პლეი ოფის მიღმა დარჩეს. გამორიცხული არ არის, ეს შეხვედრა კასტრელების რიგებში ფეიქრიშვილისთვის ბოლო აღმოჩნდეს, რადგან მომავალი სეზონიდან ის პარიზული „მეტრო რასინგის" ღირსებას დაიცავს.

„პერპინიანის" კიდევ ერთი კონკურენტი, პირველი დივიზიონის დებიუტანტი „ოიონაქსი" სტუმრად ეთამაშება **კარლენ ასეიშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივს", რომელიც აბსოლუტურად უმოტივაციოა, რადგან არც გავარდნა ემუქრება და მოგების შემთხვევაშიც ისე ვერ დაწინაურდება, რაიმე სახეირო რომ მიიღოს. ცხადია, ეს „ოიონაქსელების" წისქვილზე ასმხას წყალს, მაგრამ არც „ბრივია" ის გუნდი, საქმე სალაპარაკოდ გაიხადოს.

პლეი ოფში გასულები უკვე დავასახელეთ. თუმცა მათ ბრძოლა ჯერაც არ შეუწყვეტიათ, რადგან პირველი ან მეორე ადგილი პირდაპირ ნახევარფინალში თამაშის უფლებას იძლევა. ბოლო ტურის წინ 73 ქულით ლიდერი **კონსტანტინე მიქაუტაძისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონია", რომელიც ბოლო ტურში შინ ეთამაშება **ზურაბ ჟვანიასა** და **დავით ქუბრიაშვილის** „სტად ფრანსეს", რომელიც 64 ქულით მე-7 ადგილზეა და პლეი ოფში მოხვედრის შანსი აქვს.

ტულონელებმა ახლახან „ჰაინეკენის თასის" ფინალის საგზური მოიპოვეს და ყველანაირად ეცდებიან საფრანგეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში პირდაპირ, შესარჩევი ეტაპის გარეშე მოხვდნენ. საამისოდ, მათ პარიზელებს აუცილებლად უნდა მოუგონ, ეს კი „სტად ფრანსეს" საპლეიოფო ექვსეულისკენ გზას დაუკეტავს.

„ტულონს" ორი ქულით ჩამორჩება **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „მონპელიე", რომელიც შინ ეთამაშება **დავით ხინჩაგიშვილის** „მეტრო რასინგს". ეს პარიზული გუნდი ასევე ორი ქულით ჩამორჩება „მონპელიეს" და გამარჯვების შემთხვევაში შანსი აქვს პირდაპირ ნახევარფინალში მოხვდეს.

არადა, მონპელიელები ბოლო ტურებში როგორც შინ, ისე გასვლით მატჩებში შესანიშნავად ასპარეზობენ და ჩემპიონობას სერიოზულად უმიზნებენ. ცხადია, ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, გუნდი საკმაოდ ხალასად გამოიყურება და, წესით, ბოლო, გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ძალ-ღონე უნდა ეყოს.

მესამეადგილოსან „კლერმონზე" უკვე ვთქვით. კიდევ ერთი „ქართული გუნდი", **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი" 64 ქულით მისთვის უჩვეულო, მეექვსე ადგილზეა. ტულუზელები ბოლო ტურში შინ ეთამაშებიან „გრენობლს", რომელსაც დივიზიონიდან გავარდნა მხოლოდ თეორიულად ემუქრება. ცხადია, ფრანგული რაგბის გრანდი შანსს ხელიდან არ გაუშვებს და ჩემპიონობისთვის ბრძოლას განაგრძობს. მიუხედავად იმისა, რომ „ტულუზი" წლეულს არასტაბილურად ასპარეზობს, უმთავრესი ფავორიტია.

პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსი აქვს **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდოს", თუმცა, ამ გუნდს იქ ნამდვილად არავინ ელის. ბორდოელები ბოლო ტურში შინ ეთამაშებიან უკვე გავარდნილ „ბიარიცს".

### XXVI ტური

**ბორდო-ბიარიცი, ბაიონი-კასტრი, ტულუზი-გრენობლი, ბრივი-ოიონაქსი, ტულონი-სტად ფრანსე, კლერმონი-პერპინიანი, მონპელიე-მეტრო რასინგი.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტულონი - 73 ქულა, 2. მონპელიე - 71, 3. კლერმონი - 69, 4. მეტრო რასინგი - 69, 5. კასტრი - 66, 6. ტულუზი - 64, 7. სტად ფრანსე - 64, 8. ბორდო - 59, 9. ბრივი - 57, 10. გრენობლი - 53, 11. ბაიონი - 50, 12. ოიონაქსი - 50, 13. პერპინიანი - 50, 14. ბიარიცი - 40.**


ვიქტორ კოლელიშვილის ლიონი უკვე ელიტაშია

საქართველოს ჩემპიონატი


აკადემია-ნიქარა

# დაუმარცხებელი ექვსია

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგაში მეხუთე ტურის მატჩები გაიმართა. დაუმარცხებელი ორივე, A და B ჯგუფში, სამ-სამი გუნდი დარჩა, რომლებიც სავარაუდოდ, სწორედ შეჯიბრების ფავორიტები იქნებიან. ესენი არიან: A ჯგუფში, თბილისის „ლოკომოტივი", თბილისის „ლელო" და თბილისის „აკადემია"; B ჯგუფში, რუსთავის „ხარები", ქუთაისის პირველი გუნდი და თბილისის „არმაზი".**

A ჯგუფში დაწინაურებულ სამეულს, სავარაუდოდ, კონკურენციას თბილისის „ხულიგანა" გაუწევს, რომელმაც მე-5 ტურში „ლელოსთან" დიდი ანგარიშით წააგო - 11:69. ეს „ხულიგანას" მეორე მარცხი იყო მიმდინარე გათამაშებაში. „ლელოს" მსგავსად დიდი ანგარიშით მოიგეს სხვა ლიდერებმაც - „ლოკომოტივმა" და „აკადემიამ". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რკინიგზელებს უშუალო კონკურენტებზე ერთით მეტი მატჩი აქვთ გამართული და 24 ქულით პირველ ადგილზე არიან.

### ჭაბუკთა A ლიგა

### A ჯგუფი

**ბათუმი-ზვავი 85:11, ლოკომოტივი-ყოჩები 66:17, ხულიგანა-ლელო 21:69, აკადემია-ნიქარა 48:9.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ლოკომოტივი - 24 ქულა, 2. ლელო - 20, 3. აკადემია - 20, 4. ხულიგანა - 14, 5. ბათუმი - 9, 6. ნიქარა - 8, 7. ბორჯომი - 0, 8. ყოჩები - 0, 9. ზვავი - 0.**

### VI ტური

**ზვავი-ბორჯომი, ყოჩები-აკადემია, ლელო-ლოკომოტივი, ნიქარა-ბათუმი.**

B ჯგუფში აქამდე დაუმარცხებელი იყო „არმია", მაგრამ მეხუთე ტურში მას დამაჯერებლად სძლია „არმაზმა" 63:12, რომელსაც კონკურენტებზე ერთით ნაკლები მატჩი აქვს გამართული. აქ სატურნირო ცხრილის სათავეში რუსთავის „ხარები" და ქუთაისის პირველი გუნდი არიან 25-25 ქულით.

პირველი გამარჯვება მოიპოვა დედოფლისწყაროსა და პატარძეულის გაერთიანებულმა გუნდმა, რომელმაც სტუმრად სძლია თბილისის „ტორნადოს" - 28:24.

### B ჯგუფი

**არმაზი-არმია 63:12, ხარები-ჯვაროსნები 48:3, ტორნადო-დედოფლისწყარო 24:28, იუნკრები-აია 2 21:37, აია1-იმერეთი 74:3.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ხარები - 25 ქულა, 2. აია1 - 25, 3. არმაზი - 19, 4. არმია - 19, 5. ტორნადო - 11, 6. ჯვაროსნები - 6, 7. აია 2 - 4, 8. იმერეთი - 4, 9. დედოფლისწყარო - 4, 10. იუნკრები - 0.**

### VI ტური

**არმია-ხარები, დედოფლისწყარო-აია 2, იმერეთი-ტორნადო, ჯვაროსნები-აია1, არმაზი-იუნკრები.**

სიახლე

# ზე რაგბი იზრდება

**ზე რაგბის წლევანდელ გათამაშებაში 15 გუნდი ასპარეზობს. თუმცა, ახლახან ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა სტივ ტიუმ განაცხადა, რომ მათი რიცხვი 2016 წლიდან 18 გუნდამდე გაიზრდება.**

დღესდღეობით ზე რაგბიში ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის ხუთ-ხუთი გუნდი ასპარეზობს. სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირი დიდი ხანია ითხოვს გუნდების კვოტა ექვსამდე გაუზარდონ. ამიტომ სანზარმა (ზე რაგბის საორგანიზაციო კომიტეტმა) გადაწყვიტა რევოლუციური ცვლილებები განახორციელოს.

უკვე გადაწყვეტილია, რომ 18 გუნდი ორ კონფერენციაში განაწილდება. ავსტრალიის კონფერენციაში 10 გუნდი ითამაშებს - ხუთი ავსტრალიური და ამდენივე ახალზელანდიური. ეს ის გუნდებია, რომლებიც ზე რაგბიში ამჟამადაც ირჯებიან.

მეორე, სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში კი რვა გუნდი იქნება. აქედან ექვსი სამხრეთაფრიკულია, ერთი არგენტინული და ერთის ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა. სავარაუდო კანდიდატები აშშ და იაპონია არიან. მატჩები შესაძლოა სინგაპურსა და ჰონკონგშიც გაიმართოს.

მიღებული გადაწყვეტილება რაგბის განვითარებას შეუწყობს ხელს სამხრეთ ნახევარსფეროში. ერთი არგენტინული კლუბის ზე რაგბიში ჩართვა კი ამ ქვეყნის ოვალური ბურთით თამაშს კიდევ უფრო მძლავრს და კონკურენტუნარიანს გახდის.

სამხრეთელები, თამამად შეიძლება ითქვას, შესანიშნავად ზრუნავენ არგენტინული და არა მარტო ამ ქვეყნის რაგბის განვითარებაზე, რასაც ვერაფრით ვიტყვით ევროპული და ჩვენი რაგბის ურთიერთობაზე.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი

NBA-პლეი ოფი



მაიკ დ'ენტონი

# ლეიკერსმა დ'ენტონის არ აპატია

„ლოსანჯელეს ლეიკერსის" გენერალურმა დირექტორმა **მიტჩ კუპჩაკმა** ოფიციალურად გამოაცხადა კალიფორნიული გუნდის მთავარი მწვრთნელის **მაიკ დ'ენტონის** გათავისუფლების შესახებ. 62 წლის სპეციალისტის გადაყენების მიზეზი გახდა არადამაკმაყოფილებელი შედეგები, - იტყობინება NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი.

*„მთელი „ლეიკერსის" სახელით მადლობას ვუხდით მაიკს შრომითი ეთიკის, პროფესიონალიზმისა და პოზიტიური ურთიერთობებისთვის, რომელიც ყოველდღე მოჰქონდა გუნდში. ჩვენ მას ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებთ"*, - განაცხადა კუპჩაკმა.

დ'ენტონიმ „ლეიკერსი" 2012 წლის ნოემბერში ჩაიბარა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ 154 მატჩში კალიფორნიულმა გუნდმა მხოლოდ 67 მოიგო და 87-ჯერ დამარცხდა, გარდა ამისა, 2004-05 წლების სეზონის შემდეგ, პირველად ვერ მოხვდა პლეი ოფში.

ჯერ ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, ვის ჩააბარებენ „ლეიკერსს", თუმცა ამ პოსტის დაკავების ერთი მსურველი გამოჩნდა. „ოკლაჰომას" 39 წლის ვეტერანი **დერეკ ფიშერი** ამ სეზონის შემდეგ ასრულებს კარიერას და NBA-ში მთავარი მწვრთნელის რანგში აპირებს დარჩენას. მან უკვე გამოთქვა „ლეიკერსის" გაძღოლის მზადყოფნა.

ჩოგბურთი



ხუან-მარტინ დელ პოტრო

# კარგი ამბავი დელ პოტროსგან

ადრე გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, არგენტინელი **ხუან-მარტინ დელ პოტროსთვის** 2014 წლის სეზონი დასრულებული იყო. ამის შესახებ თავად ჩოგბურთელი ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ სამხრეთამერიკელს აქვს აშშ-ის ღია პირველობაზე თამაშის შანსი.

დელ პოტრო თებერვლის შემდეგ არ გასულა კორტზე, გაზაფხულზე კი მაჯაზე ოპერაცია გაიკეთა. მაისისთვის მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანის აღდგენით პროცესში დიდი პროგრესი შეიმჩნეოდა, ამიტომაც არგენტინელი ზაფხულის ბოლოსკენ გეგმავს ATP-ის ტურში დაბრუნებას.

*„ვაპირებ ისევ ავიღო ჩოგანი ხელში ორი თვის შემდეგ. იმედია, აგვისტოში შევძლებ დაბრუნებას"*, - აცხადებს არგენტინელი ჩოგბურთელი.

დელ პოტროს გეგმა ასეთია: მას სურს მონაწილეობა მიიღოს ტორონტოსა და ცინცინატის მასტერსებში, რათა უკეთ მოემზადოს აშშ-ის ღია პირველობისთვის. შეგახსენებთ, რომ არგენტინელს კარიერაში „დიდი სლემის" ერთადერთი ტურნირი აქვს მოგებული და ეს სწორედ ამერიკის ჩემპიონატია.

# უიმბლდონზე სხვა ცვლილებებიცაა

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, უიმბლდონის ორგანიზატორებმა გაზარდეს 2014 წლის ტურნირის საპრიზო ფონდი, თუმცა ეს არ არის ერთადერთი სიახლე, რომლითაც გამორჩეული იქნება კალენდარში „დიდი სლემის" რიგით მესამე ჩემპიონატი.

უიმბლდონის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, რომ მატჩები 17 კორტზე ჩატარდება. მე-14 და მე-15 კორტებზე ჩოგბურთელები ვერ გავლენ. ეს არის ტურნირის ორგანიზატორთა გეგმა საჩოგბურთო კლუბის ტერიტორიის ოპტიმიზაციისკენ. ამ ორი კორტის გაუქმების




წყალობით, დამატებითი ფართობი ექნებათ ბოლბოებს, ფოტოგრაფებს, აგრეთვე გაიხსნება მედიარესტორანი, რომელიც 24 საათის განმავლობაში იმუშავებს.

# სულ ცოტა სასწაულამდე

„ტორონტო" კინალამ გუშინდელი სათამაშო დღისა და მთლიანად პირველი რაუნდის მთავარი იმედგაცრუება გახდა. რომ არა **კაილ ლაურის** აუღელვებელი თამაში დაცვასა და შეტევაში (ამ კალათბურთელმა 36 ქულით პლეი ოფში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა), „ბრუკლინი" სასწაულის ავტორი გახდებოდა. ამ გუნდმა ერთ მეოთხედში 26-ქულიანი (!) ჩამორჩენა გააბათილა და ახლოს იყო მესამე მატჩის მოგებასთან.

„ნეტსმა" კარგად დაიწყო მატჩი, მაგრამ მეორე მეოთხედის მეორე ნახევარში „რეპტორზს" ორი შთამბეჭდავი გაქცევა ჰქონდა - 13:0 და 11:1.

მესამე მეოთხედში თამაში ნაუვიდა **ჯო ჯონსონს**, რომელმაც 12 წუთში 18 ქულა დააგროვა. ის მარტო ებრძოდა კანადურ კლუბს, მაგრამ „ტორონტოს" უპირატესობა მხოლოდ იზრდებოდა და მესამე მეოთხედის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე, სხვაობამ 26 ქულა შეადგინა. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ მომენტში მოდუნდა მასპინძელი გუნდი, ჯონსონმა კი გააგრძელა მეტოქის ფარის „დაბომბვა". მეოთხე მეოთხედში მას მხარში ამოუდგნენ **დერონ უილიამსი** და **მირზა ტელეტოვიჩი**. პირველ ოთხი წუთში „ნეტსმა" 13:5 გაქცევა მოაწყო და სხვაობა 11 ქულამდე შემცირდა. ეს უკვე აღარ იყო კატასტროფული ჩამორჩენა. ამასობაში, „ბრუკლინის" შემადგენლობაში კიდევ ერთმა კალათბურთელმა „გამოილვიძა" - **ანდრე ბლეტჩმა** მოინდომა და ვიხილეთ სტუმრების ახალი სპურტი - 13:4. სირენამდე სამი წუთით ადრე ჯო ჯონსონის სამქულიანით ანგარიში გათანაბრდა. ასეთ დროს, როცა ერთი გუნდი კარგავს სოლიდურ უპირატესობას, ველარ პოულობს რეზერვს აღდგენისთვის, მაგრამ „ტორონტოს" შემადგენლობაში იყო ლაური, რომელმაც გადაარჩინა კიდეც მასპინძლები.

საფინალო სირენამდე ერთი წუთით ადრე, თანაბარი ანგარიშისას მან სამქულიანი ჩააგდო, ბლეტჩის ზუსტი შეტევის შემდეგ კი ორი საჯარიმო გამოიყენა **დეროზანმა**. მაგრამ „ბრუკლინმა" 17 წამში მოასწრო 5-ქულიანი ჩამორჩენის ერთამდე დაყვანა. დეროზანმა მორიგი ორი საჯარიმო გამოიყენა, რის შემდეგაც ლაურიმ კარგად დაიცვა თავი ბლეტჩის წინააღმდეგ, რომელმაც ბურთი საკუთარ ნახევარზე დააბრუნა და შეტევის უფლება „რეპტორზს" გადაეცა, რაც კანადური კლუბის სერიაში მესამე გამარჯვებას ნიშნავდა.

**ტორონტო-ბრუკლინი 115:113**

**28:25, 34:19, 29:25, 24:44**

ტ: ლაური (36+6 პასი), დეროზანი (23+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), ვალანჩუნასი (16+6 მოხსნა), ვასკესი (15+6 მოხსნა), ჯონსონი (11+6 მოხსნა).

ბ: ჯონსონი (30+5 მოხსნა), ტელეტოვიჩი (17+7 მოხსნა), უილიამსი (13+9 პასი+4 ჩაჭრა), ანდერსონი (13), პირსი (10).

**სერია: 3-2**




შეტევაში იონას ვალანჩუნასი

# სპურსი ამჯერად კარგი იყო ...

პირველად „დალასთან" სერიაში „სან ანტონიომ" აჩვენა ის თამაში, რომლის წყალობითაც რეგულარული ჩემპიონატი მოიგო. გუნდს გამოსდიოდა სამქულიანები, **ტონი პაკერი** კარგად ათამაშებდა კომბინაციებს... ამ ყველაფრის შედეგი კი ის იყო, რომ „სპურსმა" სოლიდური სხვაობით მოიგო პირველი ნახევარი.

დიდი შესვენების შემდეგ, თამაშის სცენარში დიდად არაფერი შეცვლილა. მასპინძლები ინარჩუნებდნენ 7-10-ქულიან უპირატესობას. „დალასი" მხოლოდ სამქულიანების წყალობით ტოვებდა მატჩში ინტრიგას, სამწამიანი ზონა კი მთლიანად **გრეგ პოპოვიჩის** შეგირდებს ჰქონდათ ოკუპირებული. მაგრამ მეოთხე მეოთხედში ბრწყინვალედ ათამაშდა **დირკ ნოვიცკი**. ვეტერანმა გერმანელმა 10-დან შვიდი ტყორცნა მოათავსა კალათში. სწორედ მისი საშუალო სროლები დაუპირისპირა „დალასმა" **ტიაგო სპლიტერის** ფარქვეშ შესანიშნავ თამაშს. სირენამდე სამი წუთით ადრე, **ვინს კარტერმა** მორიგი სამქულიანი მოათავსა კალათში და სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა, მაგრამ იქვე ტონი პარკერმა (თამაშის დღეს ფრანგი მამა გახდა) სამქულიანი მოათავსა კალათში, დანკანმა ორი საჯარიმო გამოიყენა, იმავე პარკერმა ლეი-აპი გაიფორმა... 30 წამით ადრე 9-ქულიანი უპირატესობა გამარჯვებას ნიშნავდა.

აღვნიშნავთ, რომ „სპურსმა" პირწმინდად დაამარცხა მეტოქე სამწამიან ზონაში - 58 ქულა 28-ის წინააღმდეგ, თანაც მხოლოდ ექვსი შეცდომა დაუშვა, რაც პლეი ოფში კლუბის ახალი რეკორდია. ახლა, „დალასმა" უნდა სცადოს საკუთარ მოედანზე სერიის მეექვსე მატჩის მოგება, რათა ისევ დაბრუნდეს სან ანტონიოში მეშვიდე შეხვედრის ჩასატარებლად.

**სან ანტონიო-დალასი 109:103**

**27:26, 31:23, 21:22, 30:32**

ს-ა: პარკერი (23+5 პასი), ჯინობილი (19+5 პასი+3 ჩაჭრა), სპლიტერი (17+12 მოხსნა+5 პასი), დანკანი (16+12 მოხსნა+3 დაფარება), ლეონარდი (15+8 მოხსნა).

დ: კარტერი (28), ნოვიცკი (26+15 მოხსნა), ელისი (21+6 პასი).

**სერია: 3-2**

„ჰიუსტონი" ბოლომდე იბრძვის და არ ნებდება „პორტლენდს", რომელიც გუშინდელ მატჩამდე 3:1-ს იგებდა სერიას. საკუთარ მოედანზე „როკეტსმა" შეძლო **ლამარკუს ოლდრიჯის** შეჩერება, რომელმაც ამ პლეი ოფში თავისი ყველაზე ცუდი მატჩი ჩაატარა. „ბლეიზერსის" ლიდერმა 12-დან მხოლოდ სამი ტყორცნა მოათავსა კალათში და დაცვაში ვერაფერი დაუპირისპირა **დუაიტ ჰოვარდს**.




ტონი პარკერმა მამობა მოგებით აღნიშნა

თუ პირველმა მეოთხედმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, მეორეში ოდნავ უკეთ „ჰიუსტონი" გამოიყურებოდა, თუმცა „პორტლენდიც" ახერხებდა მინი-გაქცევების მოწყობას. თავიდან სპურტი „რაკეტებს" ჰქონდათ - 11:0, იქვე „ბლეიზერსმა" უპასუხა 7:0 გაქცევით. ამის შემდეგ, ზედიზედ 10 უპასუხო ქულა დააგროვეს **ლინმა, ჰარდენმა** და **პარსონსმა**, მაგრამ აქ საქმეში ჩაერთო **ლილარდი** და სტუმრები 8:0 გაიქცნენ. დიდი შესვენებისთვის „ჰიუსტონი" რვა ქულით იყო წინ.

მესამე მეოთხედში კარგი მიზანი ჰქონდათ **უესლისა** და **ბატუმს**, მაგრამ მათ მონდომებას შორი და საშუალო დისტანციებიდან **ჯერემი ლინი** პასუხობდა. მიუხედავად ამისა, „პორტლენდის" უკვე ნახსენებმა დუეტმა ზედიზედ სამი სამქულიანი მოათავსა კალათში და მეოთხედის ბოლოს სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა. ბოლო 12-წუთეულში სტუმრები სამჯერ მიუახლოვდნენ მეტოქეს ერთი ქულის მანძილზე, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება და მით უმეტეს, წინ გასვლა ვერც ერთხელ ვერ შეძლეს. როგორც კი ლინის თამაში მოიშალა, მისგან ლიდერობა **ჯეიმს ჰარდენმა** გადაიბარა. სამწუთნახევრით ადრე, ლილარდმა კიდევ ერთხელ შეამცირა სხვაობა ორ ქულამდე, მაგრამ ჰარდენმა ამას სამქულიანით უპასუხა და ასე დაიწყო „ჰიუსტონის" გადამწყვეტი 8:0 გაქცევა.

მეექვსე მატჩი პორტენდში გაიმართება და „ბლეიზერსმა" უნდა მოიგოს, რათა მეშვიდე მატჩის ჩატარებამ არ მოუწიოს ჰიუსტონში.

**ჰიუსტონი-პორტლენდი 108:98**

**30:27, 26:21, 26:29, 26:21**

ჰ: ჰოვარდი (22+14 მოხსნა+3 დაფარება), ლინი (21), პარსონსი (20), ჰარდენი (17+7 პასი+3 ჩაჭრა), აშიქი (10+15 მოხსნა).

პ: მეტიუზი (27+3 დაფარება), ლილარდი (26+8 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა), ლოპესი (17+8 მოხსნა+4 დაფარება), ბატუმი (15+5 მოხსნა).

**სერია: 2-3**

# 30 ევროპელი დრაფტზე

გუშინ, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ 2014 წლის დრაფტში მონაწილე ყველა კალათბურთელის სია გამოაქვეყნა.

ჩამონათვალში ჭარბობენ NCAA-ის ლიგის მოთამაშეები. მათი რიცხვი 45-ს შეადგენს. ასევე საკუთარი კანდიდატურა წარმოადგინა 30-მა უცხოელმა კალათბურთელმა.

ბოლო შეფასებების თანახმად, პირველ ნომრად აირჩევენ **ენდრიუ უიგინსს**. შემდეგ ადგილებზე იქნებიან: **ჯოელ ემბიდი, ჯაბარი პარკერი, ჯულიუს რენდლი** და **დანტე ეკზამი**.

შეგახსენებთ, რომ პირველი ნომრის არჩევის ყველაზე მეტი შანსი აქვს რეგულარული ჩემპიონატის ყველაზე სუსტ გუნდს „მილუოკი ბაქსს".

დრაფტი 26 ივნისს, ნიუ იორკში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# 20 წელია ჯადოქარი აღარ არსებობს

20 წლის წინათ, პირველ მაისს, იტალიის იმოლას ტრასაზე დაიღუპა მსოფლიო სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი უდიადესი მრბოლელი **აირტონ სენა**. უდიდესი ნიჭი, ფენომენალური სისწრაფე, საოცრებები წვიმიან ტრასებზე, მუდმივი ლტოლვა გამარჯვებებისკენ - ეს არის ლეგენდარული ბრაზილიელის მოკლე დახასიათება.

აირტონ სენას ბიოგრაფიის მთავარი მომენტები ყველასთვის კარგად არის ცნობილი: მონტე კარლოს წვიმიანი რბოლა 1984 წელს, პირველი გამარჯვება 1985 წელს ეშტორილში, ლეგენდარული კვალიფიკაცია 1988 წელს მონაკოში, **ალენ პროსტთან** ლეგენდარული დაპირისპირება სამი ფანტასტიკური ფინალით იაპონიაში 1988-90 წლებში, კარიერაში მოგებული 41 რბოლა, სამი საჩემპიონო ტიტული...

მაგრამ არსებობს სხვა, ბევრისთვის არც ისე კარგად ნაცნობი აირტონ სენა, არადა, უამრავი საინტერესო ფაქტი არსებობს...

## პატარა აირტონი ჯანმრთელი არ იყო

ბავშვობაში სენას სერიოზული პრობლემები ჰქონდა გადაადგილებასთან დაკავშირებით. ბავშვს ყველაზე მარტივ კიბეებზე ასვლაც კი უჭირდა. **ნეიდე სენა** (აირტონის დედა) იხსენებდა, რომ პატარა ბიჭს ყოველთვის ორ პორცია ნაყინს აძლევდნენ, რადგან ერთი აუცილებლად ძირს უვარდებოდა.

## შეიძლება პროფესიონალი მრბოლელი არ გამოსულიყო

1981 წელს, სენა შესანიშნავად გამოვიდა ფორმულა 1600-ში და თითქოს უნდა გაეგრძელებინა კარიერული წინსვლა. მაგრამ აირტონს მამის მოთხოვნით ბრაზილიაში დაბრუნებამ მოუწია - მშობელი უარს ამბობდა შემდეგი სეზონისთვის შვილის სპონსორობაზე და მისგან უნივერსიტეტში ჩაბარებას მოითხოვდა. ახალგაზრდა პილოტს საკუთარი ფული არ ჰქონდა, სხვა სპონსორების მოძიება კი პრაქტიკულად არარეალური იყო. აირტონს დანებებამ მოუწია. მთელი შემოდგომა და ზამთარი მამას ბიზნესში ეხმარებოდა. საბოლოოდ, ან აირტონმა მოახერხა მამის გადარწმუნება, ან უფროს სენას მობეზრდა შვილის ნაღვლიანი გამომეტყველების ყურება და მომავალი „ჯადოქარი" უკან, ევროპაში გაამგზავრა.

## სენა დედის გვარია

ამ გვარით გამოსვლა აირტონმა ორი მიზეზით გადაწყვიტა: ჯერ ერთი, არ სურდა გაერისკა საკუთარი გვარით, რადგან ეშინოდა - წარუმატებლობის შემთხვევაში ოჯახის დისკრედიტაცია არ მოეხდინა. მეორე მიზეზი ის იყო, რომ გვარი **და სილვა** ბრაზილიაში ძალიან გავრცელებულია.

## რთული ურთიერთობა ჰქონდა ნელსონ პიკესთან

ფორმულა 1-ში სენას მთავარი მეტოქე მხოლოდ **ალენ პროსტი** არ ყოფილა - მისი კიდევ ერთი პრობლემა იყო ფრანგის მეგობარი და აირტონის თანამემამულე - **ნელსონ პიკე**. მათ შორის ურთიერთობის გარკვევა ხშირად ტრასის მიღმა ხდებოდა. ჭორების თანახმად, პიკემ 1984 წელს ხელი შეუშალა სენას კონტრაქტის გაფორმებას „ბრებემთან". მას არ სურდა თანაგუნდელად ახალგაზრდა ტალანტის ხილვა. დიადი ბრაზილიელები ვერ ეწყობოდნენ ერთმანეთს. ჯერ კიდევ 80-იანი წლების შუაში, ნელსონმა არასასიამოვნო ფრაზები წარმოთქვა ახალგაზრდა თანამემამულის მისამართით, აირტონი კი ვალში არ რჩებოდა. ორ პილოტს შორის სიტყვიერი ომის ერთ-ერთი ნათელი დადასტურება: ნელსონმა გაავრცელა ჭორი, რომ სენა ჰომოსექსუალი იყო და ცივი ურთიერთობა ჰქონდა გოგონებთან. აირტონმა კი მიანიშნა, რომ პიკეს ცოლს **კატარინას**, როგორც ქალს, კარგად იცნობს.

## ავტოსპორტს პირად ცხოვრებაზე მაღლა აყენებდა

სინამდვილეში, სენას ცხოვრებაში ბევრი ქალი არსებობდა - პიკე ამის გამო სულ ტყუილად ნაღვლობდა. მაგრამ ოჯახური ბედნიერება ბრაზილიელს არ მოსწრებია. ამის მიზეზი კი ის არის, რომ აირტონი ყოველთვის რბოლებს ქალებზე მაღლა აყენებდა. 1981 წელს, ბრაზილიელმა თავისი ახალგაზრდობის გატაცებაზე - **ლილიანზე** იქორწინა, მაგრამ ქალმა მალე მიატოვა ის, რადგან სარბოლო მანიაკთან ცხოვრება აუტანელი აღმოჩნდა. სენა 24 საათი რბოლებით ცხოვრობდა და კარიერის პიკზეც არ აძლევდა საკუთარ თავს მოდუნების უფლებას. უიღბლო ქორწინების შემდეგ, აირტონი ხელთათმანივით იცვლიდა ქალებს - მსახიობებს, მოდელებს, არისტოკრატებს, ტელეწამყვანებს... მისი ბოლო შეყვარებული გახდა პორტუგალიელი მოდელი **ადრიანა გალისტეუ**. მასთან რომანის დროს, სენა ოჯახის შექმნაზე დაფიქრდა, მაგრამ მის გეგმებს ასრულება არ ეწერა.

## ავტოსპორტის გარდა, სხვა ინტერესებიც ჰქონდა

თავისუფალ დროს აირტონი წყლის თხილამურებით, თევზაობითა და ავიამოდელირებით იყო დაკავებული. ბრაზილიელი ამბობდა - მის ცხოვრებაში ფორმულა 1 რომ არ ყოფილიყო, სამხედრო მფრინავი გამოვიდოდა. სენას საყვარელი კერძი კი ძეხვის სენდვიჩები იყო ყველით, კეტჩუპითა და მარწყვის ჯემით.

## მოგებისთვის ყველაფერზე წავიდოდა

1989 წელს, სან მარინოს გრანპრის დროს პროსტსა და სენას შორის მომწიფებული კონფლიქტი აშკარა გახდა. პილოტებმა შეთანხმებას მიაღწიეს - ეჭვგარეშე იყო, რომ „მაკლარენს" ყველაზე სწრაფი მანქანა ჰყავდა და პარტნიორებმა მოილაპარაკეს - არ შეუტევდნენ ერთმანეთს პირველ მოსახვევში. სენამ პოულიდან ლიდერობა მოიპოვა, მაგრამ ოთხი წრის შემდეგ **გერჰარდ ბერგერმა** საკუთარი „ფერარი" დაამტვრია და რბოლა შეწყვიტეს. რესტარტი უკეთ პროსტს გამოუვიდა და პირველ მოსახვევში პირველი შევიდა, მაგრამ სენამ დაივიწყა პირობა, ვირაჟისას გვერდში ამოუდგა ფრანგს და შემდეგ მოსახვევში ლიდერობა წაართვა მას! აირტონმა მოიგო ის რბოლა, ალენი კი მეორეზე გავიდა. აღშფოთებულმა ფრანგმა პოდიუმზე ხელი არ ჩამოართვა სენას და თანაგუნდელი ღალატში დაადანაშაულა. ბრაზილიელმა კი კრიტიკა არ მიიღო და განაცხადა, რომ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა და თან ფორმალურად ეს უკვე მეხუთე და არა პირველი წრე იყო. იმ მომენტიდან, პროსტი და სენა დიდი ხანი მტრები იყვნენ.

## დაუფიქრებლად მიდიოდა რისკზე სხვების გამო

სავარაუდოდ, ბევრმა იცის ეს ისტორია: 1992 წლის სეზონში, ბელგიის გრანპრის კვალიფიკაციისას, ფრანგმა პილოტმა **ერიკ კომამ** მანქანა დაამტვრია. ბოლიდი სახიფათო ადგილას იდგა, სადაც პილოტები ძალიან მაღალი სიჩქარით მოძრაობდნენ. სენას არც უფიქრია, ისე გააჩერა საკუთარი მანქანა. სიცოცხლის რისკის ფასად კომას ბოლიდთან მიირბინა და ხანძრამდე გამორთო ელექტროკვება. ერთი წლის შემდეგ, ისევ ბელგიაში აირტონი ანალოგიურად მოიქცა, როცა **ალესანდრო ძანარდის** დაეხმარა უმძიმესი ავარიის შემდეგ.

## ყველა ქვეყანაში პოპულარული არ იყო

ბრაზილიაში აირტონს აღმერთებდნენ, იაპონელი ფანებისთვისაც ის კერპი იყო, მაგრამ საფრანგეთში, გასაგები მიზეზების გამო, დიდი პოპულარობით არ სარგებლობდა. 1992 წელს, სენა ბრიტანეთში ტრასაზე გააჩერეს და სიჩქარის გადაჭარბებისთვის დააჯარიმეს. ლეგენდის თანახმად, პოლიციელებმა ბრაზილიელს უთხრეს: *„ჯერ მენსელივით ისწავლე მანქანის მართვა".*

## 1993 წელს ფორმულა 1-ის დატოვება შეეძლო

1992 წელს, როცა „უილიამსმა" ყველა მეტოქე გაანადგურა, აირტონი მიხვდა, რომ ტიტულისთვის ბრძოლა მხოლოდ ამ გუნდის ბოლიდით შეიძლებოდა. BBC-ის კომენტატორ **ჯეიმს ჰანტის** დახმარებით, მან **ფრენკ უილიამსს** ინგლისურ გუნდში ანაზღაურების გარეშე გამოსვლა შესთავაზა, მაგრამ ბრაზილიელს პროსტმა დაასწრო, რომელმაც „უილიამსთან" კონტრაქტი გააფორმა და ამით, არაოფიციალურად ვეტო დაადო გუნდში სენას მისვლას. ბრაზილიელი მიხვდა, რომ 1993 წელს პერსპექტივა არ ჰქონდა და CART-ში გადასვლაზე დაფიქრდა, მაგრამ **რონ დენისმა** დაიყოლია ერთი რბოლისთვის კონტრაქტის გაფორმებაზე, შემდეგ კიდევ ერთი და ა. შ. ასე გაატარა მან 1993 წლის მთლიანი სეზონი „მაკლარენში" და მხოლოდ სეზონის ბოლოს დატოვა ეს გუნდი.




## ბევრი მეტსახელი ჰქონდა

ბავშვობაში ახლობლები პატარა აირტონს „ბეკუს" ეძახდნენ, როცა ევროპაში გადავიდა, ინგლისელებმა მას „ჰარი" შეარქვეს, რადგან სრული სახელი ძალიან რთული მოეჩვენათ. უკვე მოგვიანებით მრბოლელმა ყველასთვის ცნობილი მეტსახელები მიიღო - „წვიმის კაცი" და „ჯადოქარი".

## პიტლეინზე სიჩქარის შეზღუდვა სენას გამო შემოიღეს

1993 წელს, „დონინგტონ-პარკზე" ევროპის გრანპრი სენას ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული რბოლაა - ბრაზილიელმა პირველივე წრიდან მოიპოვა ლიდერობა, როცა ოთხი მეტოქე ჩამოიცილა, ფინიშზე კი 83 წამი მოუგო მეორე ადგილზე გასულ **დეიმონ ჰილს**. მაგრამ ის გრანპრი მხოლოდ აირტონის ბრწყინვალე გამოსვლით არ ყოფილა გამორჩეული - 57-ე წრეზე ბრაზილიელი პიტსტოპზე შევიდა წვიმის საბურავის „სლიკებით" შესაცვლელად, მაგრამ წვიმის გაძლიერება შეამჩნია, პიტლეინზევე გადაიფიქრა საბურავების შეცვლა, სიჩქარე არ დაუგდია, ისე დაუქნია ხელი მექანიკოსებს და რბოლა გააგრძელა. „დონინგტონ-პარკზე" ბოქსები ტრასის შიგნით არის აშენებული, ასე რომ, ბრაზილიელმა პრაქტიკულად მოჭრა ბოლო ნელი მოსახვევი და სწრაფი წრე დააფიქსირა, რომელიც ლეგალურად აღიარეს - მაშინ პიტლეინზე სიჩქარეზე შეზღუდვა არ არსებობდა. სწორედ იმ რბოლის შემდეგ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ აღიარა სიტუაციის აბსურდულობა და დააწესა პიტლეინზე 80 კმ/სთ-მდე სიჩქარის შეზღუდვა.

## ფიცხი ხასიათი ჰქონდა

1993 წელს, იაპონიის გრანპრის შემდეგ **ედი ირვაინი** სენას მუშტების მსხვერპლი გახდა. რბოლაში ირლანდიელი ერთ წრეს აგებდა სენასთან, მაგრამ მაინც სცადა ბრაზილიელის გასწრება, რითაც ხელი შეუშალა მას. აირტონმა რბოლა მაინც მოიგო, შემდეგ კი ირვაინს „კლინიკური იდიოტი" უწოდა „ჯორდანის" ბოქსებს მიაშურა და ირლანდიელს სახეში გაარტყა.

## სენას მხიარული თანაგუნდელი ჰყავდა

ალენ პროსტის „მაკლარენიდან" წასვლის შემდეგ, ფრანგის ადგილი ხუმარა გერჰარდ ბერგერმა დაიკავა. ავსტრიელისთვის რთული იყო ბრაზილიელის დონეზე გამოსვლა და მეორე პილოტის როლით კმაყოფილდებოდა. მიუხედავად ამისა, ის დადებითად მოქმედებდა აირტონზე და მთლიანად გუნდში ატმოსფეროზე. ეს ბერგერის ხუმრობებისა და სენას საპასუხო მოქმედების წყალობით ხდებოდა. ერთხელ, სენამ თავი მოიწონა ახალი საგზაო კეისით, რომელიც მეტისმეტად გამძლე იყო. ბერგერმა მაშინვე გადაწყვიტა მისი შემოწმება და დიპლომატი მნიშვნელოვანი დოკუმენტებით ვერტმფრენიდან მოისროლა. მეორედ გერჰარდმა სენას სასტუმრო ნომერში ბაყაყები შეუშვა და როცა სენა მასთან განრისხებული მივარდა, ავსტრიელმა უცოდველად იკითხა - გველი ხომ არ უპოვია ნომერში. აგრეთვე ბერგერი სენას პასპორტში პილოტის ფოტოს შიშველი მოდელების ფოტოებით ცვლიდა. ბრაზილიელი ცდილობდა ვალში არ დარჩენილიყო - ერთმანეთზე აწებებდა ბერგერის საკრედიტო ბარათებს და წვერის საპარს ქაფს ასხამდა ავსტრიელის ფეხსაცმელში მნიშვნელოვანი ვახშმის წინ.

## დიდი გული ჰქონდა

ზოგიერთებს არასამართლიანად მიაჩნდათ აირტონი უგულო ეგოისტად. მათ ეგონათ, რომ მისთვის არსებობდა მხოლოდ საკუთარი თავი, რბოლები და ტიტულები. ბრაზილიელის სიკვდილის შემდეგ გაირკვა, რომ ის უდიდეს თანხას გაიღებდა ხოლმე სიღარიბესთან საბრძოლველად - იმოლაში მომხდარ ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე, პილოტმა დააარსა ფონდი - Ayrton Senna Foundation, რომელიც ბრაზილიაში და მთელ მსოფლიოში უნდა დახმარებოდა ახალგაზრდა ადამიანებს. ცხოვრებაში სენას ერჩივნა არ ელაპარაკა ამაზე, რადგან არ სურდა ამის აფიშირება. თავისი ქონება (400 მილიონი დოლარი) სენამ ასევე ქველმოქმედებას შესწირა.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# ლოსანჯელესური სასწაული

ჰოკეის ეროვნული ლიგის პლეი ოფში მეორე რაუნდის ყველა მონაწილე გაირკვა. გუშინ სამ სერიაში გაიმართა მეშვიდე გადამწყვეტი შეხვედრა, რომელთაგანაც ყველაზე დრამატული აღმოჩნდა „კოლორადოსა" და „მინესოტას" დაპირისპირება. შეხვედრის მსვლელობისას, მასპინძლები ოთხჯერ გავიდნენ წინ, მაგრამ მაინც ვერ მოიპოვეს გამარჯვება. საშუალოზე დაბალი დონის თამაში აჩვენა წლის საუკეთესო მეკარის პრიზზე ნომინირებულმა რუსმა მეკარე **სერგეი ვარლამოვმა**, რომელსაც შეეძლო შვეიცარიელი **ნინო ნიდერაიტერის** ორი გოლის შემთხვევაში თავისიანების გადარჩენა. რუსის არადამაჯერებელმა თამაშმა გააჩინა კითხვა: ღირს თუ არა ვარლამოვისთვის გადამწყვეტ მატჩებში კარის ნდობა? 2009 წელს, ის „ვაშინგტონისა" და „პიტსბურგის" სერიის მეშვიდე მატჩში შეცვალეს, როცა ოთხი სწრაფი გოლი გაუშვა. სოჭის ოლიმპიადაზე კი ფინეთთან მეოთხედფინალში მან **ბობროვსკის** დაუთმო კარი მას შემდეგ, რაც მისი გუნდი 1:3 ჩამორჩა.

ასეა თუ ისე, „მინესოტამ" კარგად ისარგებლა ვარლამოვის შეცდომებით და მეორე ეტაპზე გავიდა. „კოლორადოს" კი მაინც შექება ეკუთვნის, განსაკუთრებით კი მის დებიუტანტ მწვრთნელს **პატრიკ რუას**. შარშანდელი სეზონის აუტსაიდერმა რეგულარულში ბრწყინვალედ ითამაშა, რუა კი მხოლოდ მეხუთე მწვრთნელი გახდა NHL-ის ისტორიაში, ვინც თავის სადებიუტო სეზონში 50 გამარჯვებას მიაღწია.

■ ■ ■

„ლოს ანჯელესის" სასწაული შედგა. „კინგზი" გახდა მეოთხე გუნდი ისტორიაში, რომელმაც შემდეგ რაუნდში გაალწია იმ დროს, როცა 0:3-ს აგებდა სერიას. „სან ხოსემ" ვერ შეძლო მეშვიდე მატჩში საკუთარი მოედნის უპირატესობის გამოყენება და მთლიანად ჩააგდო შეხვედრა. „ზვიგენებმა" მეორე პერიოდის დასაწყისში გახსნეს ანგარიში, მაგრამ ამის შემდეგ, „კინგზის" დაცვა და მეკარე **ჯონათან კუიკი** გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა მასპინძლებისთვის. შეტევაში „შარქსის" უნიათობის დემონსტრაცია გახდა მასპინძლების თამაში რიცხობრივი უპირატესობის დროს - მათ ექვსი ცდიდან ვერც ერთხელ ვერ გაითამაშეს ზედმეტი ჰოკეისტი. ასევე უნდა აღვნიშნოთ „სან ხოსეს" ვეტერანი ლიდერი **ჯო ტორნტონი**, რომელმაც ბოლო ოთხ მატჩში ერთი ქულაც ვერ აიღო.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, „შარქსის" მთავარი მწვრთნელი **ტოდ მაკლენანი** ავტომატურად მიუახლოვდა პოსტიდან განთავისუფლებას და მისი რეაქციიდან გამომდინარე, ის მზად არის კლუბის ხელმძღვანელობის ამგვარი გადაწყვეტილებისთვის.

რაც შეეხება ლოს ანჯელესს, „მეფეები" პლეი ოფის მეორე რაუნდში „ანაჰაიმს" შეხვდებიან და პირველად ერთმანეთის წინააღმდეგ სტენლის თასზე ითამაშებენ გუნდები, რომელთა სტადიონებს შორის მანძილი 30 მილს შეადგენს.

■ ■ ■

„ნიუ იორკ რეინჯერსმა" შეძლო მეშვიდე მატჩში „ფილადელფიას" დამარცხება, რითაც დაადასტურა სტატისტიკის სამართლიანობა: ნიუიორკულმა კლუბმა შინ სერიის მეშვიდე შეხვედრა ექვსიდან ექვს შემთხვევაში მოიგო.

თამაშის გადამწყვეტი მონაკვეთი იყო მეორე პერიოდი, რომელშიც მასპინძლებმა **კარჩილოსა და პულიოს** გოლებით ორჯერ აიღეს „ფლაიერზის" გოლკიპერის **სტივ მეისონის** კარი, ამის შემდეგ კი მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნეს.

უნდა გამოვყოთ „რეინჯერსის" კარგი თამაში დაცვაში. „ფილადელფიას" შემადგენლობაში თამაშობს 7 ისეთი ჰოკეისტი, რომლებმაც რეგულარულში 20-შაიბიანი ზღვარი გადალახეს, მაგრამ ნიუიორკელთა საიმედო დაცვამ მათ არანაირი შანსი არ დაუტოვა.



ლოს ანჯელეს კინგზი

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| რეინჯერსი-ფილადელფია | 2:1 |

0:0, 2:0, 0:1

გოლები: 1:0 კარჩილო-2 (ცუკარელო-2, კლაინი-1); 2:0 პულიო-2 (ბრასარი-2, სტრალმანი-2), 2:1 ეკესონი-2 (ქობურნი-3, რიდი-2).

სერია: 4-3

| დასავლეთი | |
|---|---|
| კოლორადო-მინესოტა | 4:5 (ო) |

2:1, 0:1, 2:2, 0:1

გოლები: 1:0 ჰოლდენი-3 (მაკგინი-3, დუშენი-2), 1:1 მ. კოივუ-1 (კოილი-2, მოულსონი-1), 2:1 მაკგინი-2 (ჰიშონი-1, რ. უილსონი-2), 2:2 ჰიტლი-1 (გრანლუნდი-3, ბროდინი-2), 3:2 პ. შჩასტნი-5 (პარენტო-1, გენინი-1), 3:3 ნიდერაიტერი-1 (ბროძიაკი-1, ჰიტლი-3), 4:3 ე. ჯონსონი-1 (პარენტო-2, დუშენი-3), 4:4 სპარჯონი-2 (ნიდერაიტერი-2, ბროძიაკი-2), 4:5 ნიდერაიტერი-2 (ბროძიაკი-3, ჰიტლი-4).

სერია: 3-4

| სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 1:5 |
|---|---|

0:0, 1:2, 0:3

გოლები: 1:0 ირვინი-1 (ჰერტლი-3, შეპარდი-4), 1:1 დაუტი-1 (ჯ. კარტერი-4, გაბორიკი-2), 1:2 კოპიტარი-4 (ჯასტინ უილიამსი-2, კლიფორდი-1), 1:3 ტოფოლი-3 (პირსონი-2, მუზინი-3), 1:4 ბრაუნი-2 (კოპიტარი-6), 1:5 პირსონი-1 (ლუისი-1).

სერია: 3-4

| პლეი ოფი. I რაუნდი | |
|---|---|
| **გოლი+პასი** | |
| შჩასტნი (კოლ) | 10 (5+5) |
| კოპიტარი (ლ-ანჯ) | 10 (4+6) |
| პარიზე (მინ) | 10 (3+7) |
| მაკინონი (კოლ) | 10 (2+8) |
| ნისკანენი (პიტ) | 8 (2+6) |
| მარტინი (პიტ) | 8 (0+8) |
| **გოლები** | |
| შჩასტნი (კოლ) | 5 |
| კოპიტარი (ლ-ანჯ) | 4 |
| სიმონდსი (ფილ) | 4 |
| ტარასენკო (ს-ლუი) | 4 |
| ჯეიმი ბენი (დალ) | 4 |
| ჯას. უილიამსი (ლ-ანჯ) | 4 |
| **პასები** | |
| მარტინი (პიტ) | 8 |
| მაკინონი (კოლ) | 8 |
| პარიზე (მინ) | 7 |
| კოპიტარი (ლ-ანჯ) | 6 |
| ნისკანენი (პიტ) | 6 |
| დაუტი (ლ-ანჯ) | 6 |
| კროსბი (პიტ) | 6 |

NHL პლეი ოფი. II რაუნდის კალენდარი

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი-მონრეალი**

1 მაისი. ბოსტონი-მონრეალი
3 მაისი. ბოსტონი-მონრეალი
6 მაისი. მონრეალი-ბოსტონი
8 მაისი. მონრეალი-ბოსტონი
10 მაისი. ბოსტონი-მონრეალი
12 მაისი. მონრეალი-ბოსტონი
14 მაისი. ბოსტონი-მონრეალი

**პიტსბურგი-რეინჯერსი**

2 მაისი. პიტსბურგი-რეინჯერსი
4 მაისი. პიტსბურგი-რეინჯერსი
5 მაისი. რეინჯერსი-პიტსბურგი
7 მაისი. რეინჯერსი-პიტსბურგი
9 მაისი. პიტსბურგი-რეინჯერსი
11 მაისი. რეინჯერსი-პიტსბურგი
13 მაისი. პიტსბურგი-რეინჯერსი

**დასავლეთი**

**ჩიკაგო-მინესოტა**

2 მაისი. ჩიკაგო-მინესოტა
4 მაისი. ჩიკაგო-მინესოტა
6 მაისი. მინესოტა-ჩიკაგო
9 მაისი. მინესოტა-ჩიკაგო
11 მაისი. ჩიკაგო-მინესოტა
13 მაისი. მინესოტა-ჩიკაგო
15 მაისი. ჩიკაგო-მინესოტა

**ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი**

3 მაისი. ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი
5 მაისი. ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი
8 მაისი. ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი
10 მაისი. ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი
12 მაისი. ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი
14 მაისი. ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი
16 მაისი. ანაჰაიმი-ლოს ანჯელესი

# ვანკუვერმა მწვრთნელი გაუშვა


ჯონ ტორტორელა

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ, დასავლეთი კონფერენციის მე-12 გუნდის - „ვანკუვერ კენაქსის" ხელმძღვანელობამ პოსტიდან გაანთავისუფლა მთავარი მწვრთნელი **ჯონ ტორტორელა**. ამ გადაწყვეტილებას ყველა ელოდა და ასეთმა დიდმა პაუზამ ექსპერტებში გაკვირვებაც კი გამოიწვია.

ტორტორელამ „ვანკუვერში" მხოლოდ ერთი სეზონი იმუშავა, მოიგო 36 მატჩი, 35 ძირითად დროში წააგო და 11 მარცხი ჰქონდა ოვერტაიმში ან ბულიტების სერიაში. ამასთან, გამოცდილ მწვრთნელს მოქმედი კონტრაქტით კიდევ ოთხი სეზონი ჰქონდა კანადურ კლუბში, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა „კენაქსის" ახალი პრეზიდენტი **ტრევორ ლინდენი**.

ასე რომ, „ვანკუვერი" მეოთხე გუნდია ლიგაში, რომელიც, ჯერჯერობით, მთავარი მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი. მანამდე საკუთარი დამრიგებლები დაითხოვეს „ნეშვილმა", „ვაშინგტონმა" და „ფლორიდამ".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| იუვენტუსი-ბენფიკა | 0:0 (1:2) |
| ვალენსია-სევილია | 3:1 (0:2) |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| გრიმსბი-გეიტშიდი | 1:1 |
| **დანია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰობრო-ჰორსენსი | 2:0 |
| **ნორვეგია** | |
| ოლესუნდი-ვიკინგი | 1:2 |
| ბოდო გლიმტი-ლილესტრიომი | 1:2 |
| მიოლდე-სტარტი | 2:0 |
| ოდ გრენლანდი-სარპსბორგი | 2:0 |
| ვოლერენგა-სტრიომსგოდსეტი | 3:0 |
| სიოგნდალი-რუსენბორგი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ფრედრიკსტადი-ულ კისა | 0:0 |
| ტრომსდალენი-ტრომსიო | 0:0 |
| ბაერუმი-ალტა | 0:3 |
| ბრინი-სანდეფიორდი | 1:3 |
| ჰიონეფოსი-ნესტ სოტრა | 0:1 |
| მიონდალენი-ჰიოდი | 1:3 |
| რანჰაიმი-ჰამ კამი | 2:0 |
| სტრომენი-კრისტიანსუნდი | 3:3 |
| **შვედეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| მალმიო-ჰელსინგბორგი | 0:2 |
| სირიუსი-ელფსბორგი | 1:4 |
| **ჩეხეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ტრშინეცი-კარვინა | 3:2 |
| **ჩეხეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ბრნო-პლზენი | 0:0 (0:2) |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| **ფინალი** | |
| სლოვანი-კოშიცე | 1:2 |
| **პოლონეთი** | |
| პოდბესკიძიე-იაგელონია | 2:1 |
| **ბულგარეთი** | |
| ლევსკი-ლოკომოტივი (პ) | 2:1 |
| **ლატვია** | |
| იელგავა-დაუგავა რიგა | 4:1 |
| BFC დაუგავა-ვენტსპილსი | 0:3 |
| სპარტაკი-მეტა | 4:1 |
| სკონტო-იურმალა | 1:0 |
| **გვატემალა** | |
| **პლეი ოფი** | |
| უნივერსიდადი-ჩელახუ | 2:2 |
| კოატეპეკე-კომუნიკასიონესი | 0:1 |
| **სინგაპური** | |
| გეილანგი-ტანიონგი | 1:1 |
| ტამპინესი-ნიიგატა | 1:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროპის თასი** | |
| **ფინალი** | |
| ვალენსია-უნიქს | 80:67 |
| **გერმანია** | |
| ბრემერჰავენი-ვეხტა | 99:89 |
| ალბა-სკაილაინერსი | 67:59 |
| ბრაუნშვაიგი-ბაიერნი | 76:83 |
| ბამბერგი-ბონი | 88:68 |
| ვიურცბურგი-ბაიროიტი | 71:62 |
| ოლდენბურგი-ლუდვიგსბურგი | 91:79 |
| ტრირი-ულმი | 72:84 |
| ტიუბინგენი-ჰაგენი | 105:86 |
| არტლანდი-მიტლდოიჩე | 89:69 |
| **ესპანეთი** | |
| გრან კანარია-ბარსელონა | 74:82 |
| რეალი-ხუვენტუდი | 106:88 |
| **იტალია** | |
| ვენეცია-რეჯო ემილია | 100:92 |
| აველინო-მილანი | 92:94 (ო) |
| **თურქეთი** | |
| გალათასარაი-ოლინი | 93:78 |
| სელჩუქი-მერსინი | 83:79 |
| ფენერბაჰჩე-ანკარა | 85:79 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ევროტური** | |
| ფინეთი-რუსეთი | 2:1 |
| ჩეხეთი-შვედეთი | 3:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მიუნხენი** | |
| სეპი-რამოსი | 6:3, 6:4 |
| ბერანკისი-მელცერი | 7:6, 3:6, 7:6 |
| ფალა-ჰაასი | 2:6, 4:6 |
| ფონინი-ბრაუნი | 7:6, 6:2 |
| დელ ბონისი-ბელუჩი | 7:5, 3:6, 2:6 |
| **ATP. ოეირაში** | |
| კარენო ბუსტა-ჰანესკუ | 3:6, 6:4, 3:6 |
| გარსია ლოპესი-ელიასი | 4:6, 6:3, 2:6 |
| რაონიჩი-კუევასი | 6:3, 6:2 |
| ლ. მაიერი-გოლუბევი | 6:1, 7:6 |
| ბერდიხი-დევარმანი | 6:3, 6:2 |
| ბერლოკი-კუბოტი | 6:4, 6:3 |
| **WTA. ოეირაში** | |
| კუზნეცოვა-ბუშარი | 6:4, 6:1 |
| ბაშჩინსკი-ბეგუ | 3:6, 6:7 |
| ვესნინა-ვინჩი | 7:6, 4:6, 7:5 |
| სუარეს ნავარო-ჰერცოგი | 6:1, 6:3 |

კრივი

# დაუმარცხებელი ბოლოჯერ იბრძოლებს?

ორ დღეში, აშშ-ის ქალაქ ლას ვეგასში საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართება - ნახევრადსაშუალო წონაში WBC-ის ჩემპიონი, პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერი** WBA-ის ტიტულის მფლობელ არგენტინელს, 30 წლის **მარკოს მაიდანას** (35-3, 31KO) შეხვდება.

გუშინ ცნობილი გახდა ჰონორარის ოდენობა, რომელსაც მოკრივეები ამ ბრძოლისთვის მიიღებენ. მეივეზერი მინიმუმ 32 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს, თუმცა ეს თანხა შეიძლება გაიზარდოს ბრძოლის ტელეტრანსლაციის გაყიდვის მიხედვით. რაც შეეხება მაიდანას, მისი შემოსავალი გაცილებით მოკრძალებული იქნება - 1.5 მილიონი დოლარი.

გუშინვე გაიმართა მომავალ ბრძოლასთან დაკავშირებით ბოლო ოფიციალური პრესკონფერენცია, რომელზეც 37 წლის მეივეზერმა ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ეს ბრძოლა, შესაძლოა, ბოლო აღმოჩნდეს მის კარიერაში.

მაიდანასთან შეხვედრა მესამე იქნება ფლოიდსა და ტელეარხ Showtime-ს შორის გაფორმებული კონტრაქტის თანახმად. მეივეზერს ამ ხელშეკრულებით კიდევ სამი ბრძოლის გამართვა უწევს, მაგრამ ეს ვალდებულება არ არის. თუ ამერიკელი მართლაც მოინდომებს მაიდანასთან ორთაბრძოლის შემდეგ კარიერის დასრულებას, Showtime-ს არ ექნება უფლება, დააძალოს მას დარჩენილი სამი შეხვედრის ჩატარება.


ფლოიდ მეივეზერი

პრესკონფერენციის შემდეგ ფლოიდმა ასეთი კომენტარი გაუკეთა თავის განცხადებას.

*„რატომ არ შემიძლია ამის გაკეთება? - ამბობს მეივეზერი. - შემიძლია ჩემი კარიერა ისე წარვმართო, როგორც თავად მოვისურვებ. თუ წასვლას გადავწყვეტ, ამას უპრობლემოდ გავაკეთებ. ვფიქრობ, რინგიდან წასვლა იმას ჰგავს, რომ მხატვარმა აღარ მოისურვოს ხატვა".*

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში მეივეზერი ამტკიცებდა, რომ კრივიდან 2015 წლის ბოლოს წავა, როცა Showtime-თან კონტრაქტი ამოეწურება. და უცებ, ასეთი მოულოდნელი განცხადება. შესაძლოა, ეს უკავშირდება ამერიკელის სურვილს - მაიდანასთან ბრძოლისადმი საზოგადოების უფრო მეტი ყურადღება მიიპყროს.

ვაჟა სიმონიშვილი ●●●●●●●●●●● ავტორიზაცია
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბანანის რევოლუცია

ამ კვირაში ევროპაში რევოლუცია მოხდა, არც ნარინჯისფერი და არც ვარდების... ბანანის რევოლუცია!

ყველაფერი 27 აპრილს დაიწყო: ესპანეთის ჩემპიონატში „ვილიარეალი“-“ბარსელონას“ მატჩისას, კუთხურის მოსანოდებლად ალამთან მისულ ბრაზილიელ დანი ალვეშს ბანანი ესროლეს. ბარსელონელი დაიხარა, ბანანი გაფცქვნა და გემრიელადაც უკბიჩა.

ეს რასიზმის გამოვლინებაა, დაასკვნეს სამართალდამცავებმა, გაშიფრეს ტრიბუნაზე მჯდომი ბანანის მსროლელი და „ვილიარეალის“ სტადიონზე შესვლა სამუდამოდ აუკრძალეს. როგორც იტყობინებიან, მას არც ფულადი ჯარიმა ასცდება.

თანამემამულისა და ბანანის ამბავი რომ შეიტყო, ნეიმარმა უმალ ჩაირბინა მალაზიაში, ბანანი შეიძინა და სოციალურ ქსელში ფოტოსურათი დადო მინაწერით: ჩვენ, ყველანი, მაიმუნები ვართ.

თავად ალვეშის კომენტარი კი ასეთი იყო: „11 წელია აქ ვთამაშობ და ვიცი, ჩემდამი დამოკიდებულების შესახებ. ერთი ადამიანი მასაზე აზრს ვერ შემაცვლევინებს, ამიტომ ბანანის სროლის ფაქტი იუმორით მივიღე.“

ალვეშთან დაკავშირებულ ამბავს ევროპაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, საიტებზე თუ სოციალურ ქსელებში სპორტსმენები საკუთარ პოზიციას ბანანის დემონსტრირებით აფიქსირებენ. ასე მოიქცა ესპანეთის საკალათბურთო გუნდი „კახასოლი“, რომელშიც ბექა ბურჯანაძე თამაშობს.



ბანანთან დაკავშირებული ინციდენტები აქამდეც მომხდარა: 2009 წელს მარიო ბალოტელის და მის იტალიელ თანაგუნდელს ერთ-ერთ რესტორანში ბანანი უჩვენეს... აი, რა უთხრა ამ ამბის შესახებ ჟურნალისტებს მარიომ:

- კიდევ კარგი, პოლიცია დროულად მოვიდა, თორემ თავს ვერ შევიკავებდი და იმ ადამიანს აუცილებლად ვცემდი.

ბალოტელიმ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ ტონი გაამკაცრა: ვინც ბანანს მესვრის, მოვკლავო!

რობერტო კარლოსის გაბრაზებას კი რუსი გულშემატკივრები ყოველი ფეხის ნაბიჯზე ცდილობდნენ. „ანჟის“ მაისურით მოასპარეზე ბრაზილიელის მისამართით ჯერ სამარაში ისროლეს ბანანი, შემდეგ სანკტ პეტერბურგში...

რა შეიძლება დაიწეროს დასკვნის სახით? - მსგავსი შემთხვევები არა მხოლოდ რასიზმის, არამედ დაბალი თვითშეგნების გამოვლინებაა.


ბექა ბურჯანაძე (მარცხნივ) სევილიელებთან


ნეიმარი


რობერტო კარლოსი


ბალოტელი


აგუერო და მარტა


მარცხნიდან: ოსკარი, დავიდ ლუისი და ვილიანი


მარიო პრანდელი (მარჯვნივ)


კოუტინიო (მარცხნივ) და სუარესი




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილე: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28)

მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608